

იხსოვიან-შეაყვანებოთ ვაჩნადი №1 (49), 2015, იანვარი ფასი 3 ლარი

იხსოვიან

ჩვენი მიზნები
დღევანდელი
სინამდვილის
20 წელიწადი

ქართული
მედიის
ხელშეწყობა

უჩინარი
ქართული
იუნივერსალი

ხანობანი,
სომხური
მედიის
ბაზარი

ვახტანგ ჭავჭავაძე
„ქართლის სოციალისტური
ქრონიკები“

7 გომად

(გომი IV) ფასი 7 ლარი

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 10 ლარი

იღებენ
ქვეყნი
უწყებო
იხსოვიან?

„დაე
თუქვენი“

უჩინარი
სოციალი
მიზნი 25
ქართული
ბუნებრი
იხსოვიან

შეწყობის
დახმარება

სოციალი
სოციალიზი
მიზნი
მიზნი ქვეყნი?




ჰ.რ.რ.ტოლკინი

ჰობიტი

22-დან

29 დეკემბრამდე

კიდევ 49 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხოთ, სანამ ცოცხალი ხარ



აგათა კრისტო

მრუდე სახლი

და აღარავინ
დარჩა

5-დან

12 იანვრამდე

გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად



6



7



9



10



12



50

სახეწვი

ახალი აზვები
 შმამსპირის უცნობი „პირველი ფოლიანტი“
 საფრანგეთში აღმოჩნდა..... 6
 ჯოკონდას პროტოტიპი ჩინელი
 მონა ქალია? 7

მოხალ აზვები
 „მხიარული ბავშვობა“ კველ როჭში 8
 ციგირიკელი კაციენტი 9

ახალი აზვები
 ვიკინგები — ლაშქრობები დედაწულით?! 10

აჩიუელი მემკვიდეჩოზა წიხნა მინაზა
 უჩინარი ქართული იერუსალიმი 12

სიხნა
 ჩვენი ეკოქა 20

ტხილიციები
 სახსალწლო მოგზაურობა საქართველოში
 — (მინოგრავიული ჩანახატები)..... 24

მსოფციო მოები და სააჩიუელი
 პირველ მსოფცილო ოჭში 25 ქართველი
 ბემერალი იბროდა 32

SOS
 დიდგული კველები უკველოდ
 იბარბებიან?!..... 36

სააჩიუელი ნეუსხიხეზელი ისტორიი
 „ოი და მემოქობი“..... 42

მემკვიდეჩოზა
 ქართველ მემკვიდეჩოზა სელრთხანი 45


ახალი აზვები
 ალკოქოლა „შამენა“ აღამიანი?! 50



53



59



62



72



77



84

სახეწი

მართლმადიდებელი ეკლესიის ფოსტა
 უცნაური ქვა იკოთეში 52

საეკლესიო ანტიკური ძეგლები
 ფაზისი 53

პოეზია
 ღინე — რუსეთი, უკრაინა — ოსმალეთი 59

საზოგადოებრივი „აქტიუნი“
 ყირიმი — შავი ზღვის ციტიადელის
 ისტორია 62

მედიკალინური სტატუსი
 მონტრეალის კონვენცია — შავი ზღვის
 „პასპორტი“ თითქმის 80 წლისა 72

რეპორაჟები
 „ღვთა მანა“ თურქეთში 77

ქალაქების დაბრუნება
 კანბაღალი, რომელიც იმპერატორი გახდა 84

სახელმწიფო ისტორია
 შამანური დაბადება 82

მსოფლიო სწავლილი საბაქო უმცირესები
 ანგორ-კატი 98

სწავლება
 მერაბ თაყაი: ჩემთან რომ მოხვდით
 და ინტერვიუს იღებთ, მგლის ბილეთის
 დამსახურება 106

ფიქციური ნახატი
 ისტორიული ამბები კმედი ჟურნალ-
 გაზეთებიდან 112

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის
 ცოდვის სამყარო 114
 სპანკორდი 122

ჟურნალ „ისტორიანი“ ძველი ნომრების შექმნა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ მალაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ხელახლოვის სვები

ოთხი წლის წინ, იანვარში ჟურნალი „ისტორიანი“ პირველად წარდგა მკითხველთა წინაშე და მას აქეთ ვცდილობთ, ყოველი ახალი ნომერი მკითხველთა სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით მოვამზადოთ. მეზუთე საახალწლო ნომერს სწორედ საახალწლო ტრადიციებით ვიწყებთ. „შემოდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!“ — ამგვარად ულოცავდა ოჯახში შესული მეკვლე ჩვენს წინაპრებს ახალ წელს, ამ სიტყვებს ვიმეორებთ ახლაც და ასევე გვინდა დავლოცოთ ჩვენი მკითხველების ოჯახები.

ვეცადეთ, გამორჩეულად საინტერესო, მრავალფეროვანი და ხალისიანი ყოფილიყო ჟურნალის საახალწლო ნომერი, თუმცა გვერდი ვერ ავუარეთ საყდრისის მოვლენებს. ისიც ჩანს, რომ ეს თემა კიდევ კარგა ხანს ააღვლევებს საზოგადოებას, ამ უძველესი ძეგლის დანგრევა-არდანგრევის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს. ჩვენც შეძლებისდაგვარად მივადევნებთ თვალს პროცესებს და მკითხველს შეულამაზებელ სიმართლეს მივაწვდით.

მძაფრი მოვლენების ფონზე, ერთგვარ „დამამშვიდებლად“ გამოდგება ფაზისის ისტორია, რომელიც დღემდე ელოდება ახალ აღმოჩენებს. უჩინარ ქართულ იერუსალიმში გვაგოგზაურებს რეპორტაჟი, რომელიც მოგვითხრობს წმინდა ქალაქში ყოფილი ქართული ეკლესია-მონასტრების „თავგადასავალზე“. არანაკლებ საინტერესოა შავი ზღვის ციტიადელის, ყირიმის ძველი დიდების ამბები და ისიც, თუ რატომ ენატრება ცენტრალური აფრიკის ხალხს კაციჭამია იმპერატორის, ჟან-ბედელ ბოკასას მმართველობის წლები.

— იქნებ მართლაც, ქართველმა ბავშვებმა ქართული ენა იმ სკოლებშიც შეისწავლონ, სადაც მათი მამები და პაპები კუთხეში ცალ ფეხზე დგომით ისჯებოდნენ ქართულად საუბრის გამო, — ეს მწერალ ფარნა-ბექა ჩილაშვილის სიტყვებია, რომლითაც იგი ეხმიანება თურქეთის რესპუბლიკაში დამტკიცებულ ქართული ენის სწავლების ახალ პროგრამას.

საახალწლო განწყობას შამპანურის ისტორია შეგიქმნით. მოდის მითად აღიარებული კოკო შანელი წერდა — „შამპანურს მხოლოდ ორ შემთხვევაში ვსვამ: როცა შეეყვარებული ვარ და როცა არ ვარ შეეყვარებული“. მკითხველს კი კიდევ ერთხელ ვულოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულებს და ვუსურვებთ, შამპანურით ბედნიერების სადღეგრძელო დაელოთ.



„შემოვლდი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!“ – ამბვარად ულოცავდა ოჯახში შესული მეკვლე ჩვენს წინაპრებს ახალ წელს და ასევე გვინდა მივულოცოთ ჩვენს მკითხველებსაც...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩაუა, ნიკოლოზ ხოფერიანი

კორექტორები:
**ნანა მაჭუფარიანი
ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge**

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გაერკვლების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

შექსპირის უსწოები „პირველი ფოლიანტი“ საფრანგეთში აღმოჩნდა

საფრანგეთის ჩრდილოეთში, ქალაქ სენ ომერის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოფენისთვის ემზადებოდნენ. ამ დროს თაროზე ძველ წიგნს გადააწყდნენ, რომელიც, მათი აზრით, არაფრით იყო გამორჩეული. მას აკლდა პირველი გვერდი, კატალოგი და შესავალი ნაწილი. ძველი წიგნით განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ბიბლიოთეკის შუა საუკუნეების განყოფილების დირექტორმა, რუმი კორდონიერმა გამოთქვა ეჭვი, რომ ეს შესაძლოა შექსპირის პიესების პირველი გამოცემა ყოფილიყო.



სენ ომერში ნაპოვნი ვეზემპლარი

„სოთბის“ აუქციონზე 5,2 მილიონ დოლარად გაყიდული ვეზემპლარი


„პირველი ფოლიანტი“ მწერლის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, 1623 წელს დაიბეჭდა 800 ვეზემპლარად. ამიტომ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ძველი ნაწარმოებების, მათ შორის „მაკბეტის“ შექსპირისეული სახე ამ გამოცემაში ყველაზე უკეთ შემონახა. მეგობრებისა და კოლეგების, მსახიობების ჯონ ჰემინგესისა და ჰენრი კონდელის მიერ რედაქტირებულ კრებულში შექსპირის 38 პიესიდან 36 შევიდა. მათ ხელი მიუწვდებოდათ ნაწარმოებების არა მხოლოდ ადრეულ ვარიანტებზე, არამედ ავტორისეულ შენიშვნებსა და პირველწყაროთა ცნობებზე.

წიგნში ხელნაწერი შენიშვნებიცაა, რაც მეცნიერებს საშუალებას მისცემს მეტი შეიტყონ იმის შესახებ, თუ როგორ დგამდნენ პიესებს შექსპირის თანამედროვეები.

ბევრი თეატრალური კომპანია, პიესის დადგმისას, თანამედროვე ინტერპრეტაციებს სწორედ ამ კრებულში დაცულ ვერსიას ამჯობინებს. თუმცა, შექსპირის პიესების პირველი ავტორიტეტული და ყველაზე სრულყოფილი კრებულის ორიგინალი იშვიათობაა. სენ ომერის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილ „პირველ ფოლიანტამდე“ მსოფლიოში მისი სულ 232 ვეზემპლარი იყო შემორჩენილი. მათგან ერთი, 2006 წელს „სოთბის“ აუქციონზე 5,2 მილიონ ამერიკულ დოლარად გაიყიდა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ცნობილი ბრიტანელი დრამატურგის პიესების წიგნს საფრანგეთში მიაკვლიეს. მანამდე ის საფრანგეთის ქალაქ დუეშიც აღმოჩნდა. შექსპირის შემოქმედების მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს კათოლიკურ ეკლესიასთან ბრიტანელი ავტორის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს.

მომზადებულია history.com-ის მიხედვით



ჯოკონდას პროტოტიპი

ჩინელი მონა ქალია?

ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ პროტოტიპი შესაძლოა ჩინელი მონა ქალი და იმპერატორულად, მხატვრის დედა იყოს. ამ თეორიის ავტორი ისტორიკოსი ანჯელო პარატიკოა, რომელიც ამჟამად ჰონკონგში მუშაობს.

ვინ არის გამოსახული და ვინჩის ცნობილ ტილოზე, რომელიც ამჟამად ლუვერშია დაცული, დიდი ხანია სამეცნიერო კვლევისა და დავის საგანია. ჰონკონგში მოღვაწე ისტორიკოსის ახალი თეორია თუ დადასტურდა, ეს ნიშნავს, რომ მხატვარი ნახევრად ჩინელი ყოფილა. თუმცა ისტორიკოსთა არგუმენტები არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება.

ანჯელო პარატიკო (ისტორიკოსი): „ღარწმუნებული ვარ, ლეონარდოს დედა აღმოსავლეთიდან იყო. თუმცა იმის დადასტურება, რომ ის ჩინელი იყო, დედუქციური მეთოდით მოგვიხდა.“

ლეონარდოს მამის მდიდარი კლიენტებიდან ერთ-ერთს ჰყავდა მონა, სახელად კატერინა. 1452 წელს, ლეონარდოს დაბადების შემდეგ კი, მფლობელის დოკუმენტებში მის შესახებ ინფორმაცია გაქრა. ანუ იქ აღარ მუშაობდა. აღორძინების ეპოქაში ისეთი ქვეყ-

ნები, როგორც არის იტალია და ესპანეთი, სავსე იყო აზიელი მონებით“.

საკუთარი თეორიის გასამყარებლად ისტორიკოსს ზიგმუნდ ფროიდის ფრაზაც მოჰყავს. ფროიდი წერდა, რომ ამ ტილოს დაწერისას მხატვრის შთაგონების წყარო იყო დედა. და ვინჩის ცხოვრებაში კი აღმოსავლური კვალი იგრძნობოდა. ანჯელო პარატიკოს აზრით, ეს იყო: „მაგალითად ის, რომ ხატავდა მარცხენა ხელით და მარცხნიდან მარჯვნივ. იყო ვეგეტარიანელი, რაც ტიპური ნამდვილად არ არის. მონა ლიზა, ალბათ დედამისის პორტრეტია, როგორც ამას ზიგმუნდ ფროიდი ჯერ კიდევ 1910 წელს ამბობდა. მის უკან ჩინეთის პეიზაჟი და სახის გამომეტყველებაც ისეთია, როგორც ჩინელის“. ახალი თეორიის ავტორი მალე დაასრულებს ცნობილი მხატვრის ცხოვრებასთან დაკავშირებულ წიგნსაც.

მომზადებულია Telegraph-ის მიხედვით

„მონა ლიზა“ და მისი ავტორი



„მხიარული გავფრთხილება“ ქველ რომში

ოსლოსა და ნიუკასლის უნივერსიტეტების მეცნიერებს იშვიათი შესაძლებლობა აქვთ, შეისწავლონ 2 ათასი წლის წინ მცხოვრები ბავშვების ცხოვრების სტილი. ამის საშუალება მათ ოქსირინჰუსის პაპირუსებმა მისცა. კაიროდან 160 კილომეტრით დაშორებული ქალაქი უძველესი დროიდან დიდ როლს ასრულებდა ეგვიპტის ცხოვრებაში. აქ არაერთი უნიკალური ნივთი და ჩანაწერია აღმოჩენილი.



ისტორიკოსები პაპირუსებში დაცული ინფორმაციის საფუძველზე ცდილობენ აღადგინონ სურათი, როგორ ცხოვრობდნენ ბავშვები

ნილოსის პირას გაშენებული ოქსირინჰუსი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი იყო როგორც რომაელების, ასევე ბიზანტიელთა მმართველობის დროს. აყვავების ხანაში ქალაქის მოსახლეობა 25 ათასს აღწევდა.

XIX საუკუნის ბოლოდან დღემდე აქ 7500-ზე მეტი პაპირუსი აღმოაჩინეს. ახ.წ. I საუკუნით დათარიღებული დოკუმენტები, მშრალი და ცხელი ჰავის წყალობით, შესანიშნავადაა შემონახული. შრომითი კონტრაქტებისა და ოფიციალური მასალების გარდა, დოკუმენტებს შორის არის მოქალაქეთა პირადი წერილები და კორესპონდენციები.

ახალგაზრდა ეგვიპტელთა ცხოვრება რომის იმპერიის პერიოდში მათი უცხოელი თანატოლებისგან დიდად არ განსხვავდებოდა,

თუ არ ჩავთვლით სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მრავალრიცხოვან მიღწევებს.

მაგალითად, ოქსირინჰუსის მდიდარ მოქალაქეთა შვილები ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, ერთგვარ გიმნაზიაში ერთიანდებოდნენ, რომლებიც თანამედროვე ბოისკაუტებს ჰგავდნენ და პატარა ეგვიპტელებს დიდი ცხოვრებისთვის ამზადებდნენ. ისინი ასევე სწავლობდნენ, როგორ უნდა აღზრდილიყვნენ სამაგალითო მოქალაქეებად.

ღარბი ოჯახების შვილები კი მცირე ასაკიდან იწყებდნენ მუშაობას, ყველაზე ხშირად საფეიქრო სახელოსნოში. საფეიქრო საქმის სწავლა მონების შვილებსაც შეეძლოთ, იმის მიუხედავად, რომ იმ ეპოქაში მონებს მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება. გოგონებს კი შინ ჯდომა და საოჯახო საქმის შესწავლა ევალებოდათ, რათა გათხოვების შემდეგ სამაგალითო ცოლები ყოფილიყვნენ.

ოქსირინჰუსის 7500-მდე პაპირუსს, რომელთა ასაკი 2000 წელია, ოსლოსა და ნიუკასლის უნივერსიტეტის პროფესორები, ვაილ ვუოლანტო და ეიფრილ პადსი სწავლობენ.

მკვლევართა აზრით, მარტივად ასახსნელია, თუ რატომ იყო ასე პოპულარული ქალაქში ფეიქრის პროფესია. ოქსირინჰუსი რომის იმპერიის ეპოქაში ძველი ეგვიპტის საფეიქრო მრეწველობის ცენტრი იყო.

მომზადებულია Daily Mail-ის მიხედვით



უძველესი პაპირუსი ამბობს, რომ რომაელი ბავშვები სანიშნულ მოქალაქის მანერებს გიმნაზიაში სწავლობდნენ

სიბიჩიანი ჰასიენტი

სიმსივნით პირველყოფილი ადამიანებიც იტანჯებოდნენ

სიმსივნე თანამედროვე დაავადება არ არის. ასეთია ამერიკელი, კანადელი და რუსი მეცნიერების ერთობლივი დასკვნა. სპეციალისტთა ყურადღება ციმბირში, მდინარე ანგარის ნაპირას ირკუტსკის ოლქში 1992 წელს აღმოჩენილმა უძველესი ადამიანის ნეშტმა მიიქცია. 35-45 წლის მამაკაცის ძვლები, რომელიც დაახლოებით 4500 წლის წინ, ანუ ადრე ბრინჯაოს ხანაში გარდაიცვალა, თითქოს ჩრჩილს შეეჭამა.



4500 წლის წინ გარდაცვლილი მამაკაცის ძვლები თითქოს ჩრჩილს შეეჭამა

მეცნიერები დიდხანს კამათობდნენ, რას უნდა გამოეწვია ძვლის ქსოვილის ასეთი დაზიანება. ეს პათოლოგიური პროცესი იყო, თუ სიკვდილის შემდგომი დაზიანებები. და მხოლოდ წლეულს, რადიოგრაფიული ანალიზის და კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით დადგინდა, რომ უძველეს ადამიანს მეტასტაზური, ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რბილი სტრუქტურის ქსოვილზე, მათ შორის ფილტვის, სარძევე ჯირკვლის, პროსტატის ან თირკმლების.

კვლევის ობიექტი კი ფილტვების კიბოთი უნდა გარდაცვლილიყო.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მამაკაცი ნადირობდა, ამიტომ ხშირად სუნთქავდა ხანძრის კვამლს და ფილტვების კიბოც სწორედ ამის გამო განუვითარდა. მეტასტაზები დიფუზიურად ნაწილდებოდა, რამაც ძვლების, ნეკნებისა და მენჯის ძვლების დაზიანებაც გამოიწვია. ამიტომ გარდაცვალებამდე იგი

ტკივილებითა და სისხლდენით იტანჯებოდა.

ნათესაები ხედავდნენ, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო და გარდაცვლილს დაკრძალვისას სამარხში სარიტუალო ნივთი ჩააყოლეს. მათგან ერთი გველს მოგვაცოცხლებს და მკვლევართა აზრით, ტკივილის სიმბოლოა.

ამ დასკვნამ შესაძლოა ნათელი მოჰფინოს ხანგრძლივ დავას, როდის გაჩნდა კიბოს დაავადება.

სპეციალისტთა ნაწილი ამ დრომდე მიიჩნევს, რომ სიმსივნე თანამედროვე სენია და დაბინძურებული გარემო მის გავრცელებას ხელს უწყობს. ნაწილი კი ფიქრობს, რომ კიბო ყოველთვის იყო კაცობრიობის თავსატეხი. ამერიკელი, კანადელი და რუსი მეცნიერების ეს ბოლო დასკვნა სწორედ ამ თეორიას ამყარებს.

მომზადებულია Plosone.org-ის მიხედვით

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..

☎ დარეკეთ: 219 60 13

✉ მოგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

ვიკინგები — ლაშქრობები დედაწულით?!

გენეტიკოსებმა დაადგინეს, რომ ახალი მიწების კოლონიზაციაში ვიკინგი ქალებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ოსლოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დნმ-ის ანალიზით გაარკვიეს, რომ მეკობრისა და დამპყრობლის იმიჯს მიღმა, ვიკინგები ერთგული მეოჯახეებიც იყვნენ.

ვიკინგებს მეუღლე და შვილები ყველგან თან დაჰყავდათ, მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები და მისდევდნენ ვაჭრობას.

მანამდე მკვლევრები ამტკიცებდნენ, რომ ახალი მიწების კოლონიზაციისას ვიკინგები ადგილობრივ ქალებს იტაცებდნენ და ცოლად ირთავდნენ.

ამ თეორიის გასაბათილებლად ნორვეგიელ ბიოლოგთა ჯგუფმა, რომელსაც ერიკა ჰა-გელბერგი ხელმძღვანელობდა, მასშტაბური კვლევა მოაწყო.

მეცნიერებმა ნორვეგიის ტერიტორიაზე ნაპოვნი, ვიკინგების 796-1066 წლებით დათარიღებული 45 ნეშტი შეისწავლეს. ბიოლოგებმა მიტოქონდრიული დნმ გამოიკვ-



ვიკინგები ახალ მიწებზე საოჯახო მეურნეობას მეუღლესთან და შვილებთან ერთად უძღვებოდნენ



ისლანდიელი ვიკინგები სალამქროდ მიემურებიან (შუა საუკუნეების ნახატი. აუტორი უცნობია)

ლიეს (მიტოქონდრიულ დნმ-ში კოდირებული ინფორმაცია დედისგან გადაეცემა როგორც ბიჭებს, ისე გოგონებს, მაგრამ ამ ინფორმაციის გადაცემა შემდეგი თაობისთვის მხოლოდ ქალებს შეუძლიათ).

მეცნიერებმა ძველი ვიკინგების გენეტიკური მასალები თანამედროვე ევროპელთა მიტოქონდრიული დნმ-ის 5191 ნიმუშს, ასევე მანამდე შესწავლილ ისლანდიელების დნმ-ის 68 ნიმუშს შეადარეს.

აღმოჩნდა, რომ ძველი ნორვეგიელებისა და ისლანდიელების დნმ დედის ხაზით ფაქტობრივად ისეთივეა, როგორც თანამედროვე ჩრდილოატლანტიკური ერების: შვედების, შოტლანდიელებისა და ინგლისელების. თუმცა ძველი ნორვეგიელების მიტოქონდრიული დნმ ყველაზე ახლოსაა ორკნეის, შეტლანდისა და შოტლანდიის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის დნმ-თან. სკანდინავიასთან ყველაზე ახლოს სწორედ ეს კუნძულები მდებარეობს.

იან ბილი, არქეოლოგი: „ირკვება, რომ ვიკინგების ქალებს გაცილებით მნიშვნელოვანი



ვიკინგები ხომალდებს აგებენ

ადგილი ეჭირათ კოლონიზაციის პროცესში, ვიდრე ადრე მიიჩნევდნენ. ნათელია, რომ როდესაც ვიკინგები ეპიზოდურად მარცვავენ ხომალდებს, ოჯახი თან არ მიჰყავდათ, მაგრამ როცა დამპყრობლურმა ლაშქრობებმა რეგულარული სახე მიიღო, მათ ოჯახებთან ერთად დაიწყეს მოგზაურობა“.

ერიკა ჰაგელბერგი, სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი: „ეს აღმოჩენა აცამტკვერებს ვიკინგებზე XIX საუკუნეში ჩამოყალიბებულ წარმოდგენას, რომ ისინი თავდამსხმელები და მძარცველები იყვნენ. ვიკინგები აფუძ-

ნებდნენ სოფლებს, მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები და ვაჭრობაც მათთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო“.

მეცნიერები არ უარყოფენ, რომ ვიკინგი მეომრები სისასტიკით მართლაც გამოირჩეოდნენ, თუმცა ამტკიცებენ, რომ ისინი საუკეთესო მეოჯახეები იყვნენ. კოლონიზაციის პროცესში კი ახალ მიწაზე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვსაც აშენებდნენ და საოჯახო მეურნეობას მეუღლესთან და შვილებთან ერთად უძღვებოდნენ.

მომზადებულია Live Science-ს მიხედვით

ეპიზოდურად თავდასხმებისას ვიკინგებს ოჯახი თან არ მიჰყავდათ, მაგრამ როცა დამპყრობლურმა ლაშქრობებმა რეგულარული სახე მიიღო, მათ ოჯახებთან ერთად დაიწყეს მოგზაურობა



უჩინარი ქართული იერუსალიმი

ყოფილი ქართული ეკლესია-მონასტრები წმინდა ქალაქში

ნაწილი I

წარსულში წმინდა მიწაზე ქართული თემის სიძლიერის დასტურად სხვადასხვა დროს ამ თემის მიერ აქ მრავალი ეკლესია-მონასტრის ფლობის ფაქტიც იკმარებს. მხოლოდ იმ საგანეთა რიცხვი, რომლებსაც ქართველები დროდადრო ერთპიროვნულად ფლობდნენ, ორ ათეულს აჭარბებს. ზოგიერთი მათგანის შესახებ ჩვენი ცოდნა წერილობით წყაროებში მოცემული ცნობებით ამოიწურება. ვიცით მათი სახელები, მაგრამ არ ვიცით მათი ზუსტი ადგილმდებარეობა. ზოგიერთი მათგანი უკვე აღარც არსებობს, ზოგი კი საფუძვლიანად გადასხვაფერდა ახალ მეპატრონეთა ხელში. გარდა ამისა, ჩვენი წინაპრები წმინდა მიწის ბევრ იმ ეკლესია-მონასტერშიც მოსაგროვდნენ, სადაც მათ გვერდით სხვა ეროვნების ბერ-მონაზვნებიც იყვნენ და რომელთა აღმენებაც მათ სახელს არ უკავშირდება.



მცირე მონასტრები ძველი ქუჩების „ჯიბებშია“ მიმაღული და ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ძველი იერუსალიმი, ფაქტობრივად, ასეთი „სახლების“ კონგლომერატს წარმოადგენს

ყოფილი ქართული ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი წმინდა ქალაქში ან მის შემოგარენში მდებარეობს. მათგან ყველაზე უკეთ შესწავლილი და ცნობილი იერუსალიმის ჯვრის მონასტერი გახლავთ. ქართველი საზოგადოებრიობა, პეტრე იბერის სახელითა და ადგილზე ნაპოვნი უძველესი წარწერებით, ასევე შედარებით უკეთ არის ინფორმირებული ბირ ელ-ქუტში წმინდა თეოდორეთა მონასტრის ნაშთების შესახებ. მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ეკლესია-მონასტრებისა, რომლებიც ჩვენს წინაპრებს ოდესღაც სჭე-

რიათ იერუსალიმში. მაგალითად, მღვდელი პეტრე კონჭოშვილი თავის წიგნში 18 ყოფილ ქართულ მონასტერზე წერს (XIX-XX სს. მიჯნაზე), თუმცა იქვე იმასაც გვაძინობს, რომ მის დროს ქართველთა საგანის სახელი მხოლოდ ჯვრის მონასტერსა და ჰქონდა შერჩენილი. ქართველი საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი წმინდა მიწაზე წინაპართა მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის შესახებ და მათ მიერ ნაშენებ-ნაქონ მრავალრიცხოვან ეკლესია-მონასტრებზე ნაკლებად არის ინფორმირებული. მართალია, საქართველოდან ისრაელში

ჩასული მომლოცველებისა თუ ტურისტების ნაკადი არ გამოირჩევა მრავალრიცხოვნობით, მაგრამ ისინიც კი, ვინც ბოლო წლებში ესტუმრა წმინდა მიწას, ჯვრისა და კატამონის მონასტრებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ნაკლებად ინტერესდებიან სხვა ქართული ყოფილი ეკლესია-მონასტრების მოხილვა-მლოცვით. ამის მიზეზი აღნიშნული წმინდა საფანეების შესახებ მათი მცირედ ინფორმირებულობაცაა, ტურისტულ პროგრამებში ე.წ. ქართული მარშრუტის გაუთვალისწინებლობის ფაქტიც და ალბათ, შეზღუდული დროის ფაქტორიც. ცალკე საუბრის თემა მომლოცველთა და ტურისტთათვის შესაფერისი გზამკვლევის არარსებობა. შედეგად, ისრაელის ტურისტულ-საცნობარო ბუკლეტებსა თუ ინტერნეტგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო მონასტრების ისტორიაზე მწირი და „შემსუბუქებული“ ქართული ისტორიული მასალების სრული ან ნაწილობრივი უგულებელყოფის ხარჯზე. ამ მიმართულებით ქართველ მეცნიერთა (აღმოსავლეთმცოდნეების, ისტორიკოსების, ფილოლოგების, პალეოგრაფების, კულტუროლოგების, ხელოვნებათმცოდნეების...) საქმიანობის გააქტიურებაზე ბევრად არის დამოკიდებული წმინდა მიწაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის დღემდე მართლაც სასწაულებრივად გადარჩენილი ძეგლების ისრაელში პოპულარიზება და სამომავლოდ მათი დაცულობის ხარისხი.

ეს ე.წ. მცირე მონასტრები წმინდა ქალაქის ძველი ქუჩების „ჯიბებშია“ მიმაღული; გარეგნულად ისინი ნაკლებად მოგვაგონებენ იმ სამონასტრო ნაგებობებს, რომლებიც ჩვენს წარმოდგენაშია ტრადიციულად; ისინი ორგანულად არიან ჩართული ძველი ქალაქის განაშენიანებაში და თავისი ვიწრო შესასვლელ-სადარბაზოებით, შიდა ეზოებით, დამხმარე ნაგებობებით ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლების შთაბეჭდილებას ტოვებენ მნახველზე. ძველი იერუსალიმი, ფაქტობრივად, ასეთი „სახლების“ ერთ დიდ კონგლომერატს წარმოადგენს.

წინამდებარე წერილში გვსურს მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იერუსალიმის ყოფილი ქართული მონასტრების ერთ ნაწილზე: ურიათუბნის წმინდა გიორგის, წმინდა დიმიტრის, წმინდა თეოდორეთა და წმინდა ბასილი დიდის სახელობის საფანეებზე.



ურიათუბნის წმინდა გიორგის მონასტრის შესასვლელი

* * *

ურიათუბნის წმინდა გიორგის მონასტერი სიონის მთაზე, ძველი ქალაქის ებრაულ კვარტალში, ამჟამინდელი წმინდა მოციქულთა იაკობის სომხური მონასტრის უკან და პირველმდეველმთავარ ანას სახლის სიახლოვეს მდებარეობს. ამ მონასტრის ხილვის მსურველი სიონის კარიბჭიდან აღმოსავლეთით უნდა დაეშვას, შემდეგ გაიაროს ხაბადის ქუჩა მარცხენა პირველ შესახვევამდე, გავიდეს ალ-მალაქის (ანგელოზთა) ქუჩაზე, უკან მოიტოვოს მარცხენა (ანუ დასავლეთის) მხარეს მეორე შესახვევი, გაუყვეს იმავე ქუჩას და შეუხვიოს მარჯვნივ (ანუ ჩრდილოეთით) — იქ, სადაც ალ-მალაქისა და არარატის ქუჩების გადაკ-



ურიათუბნის მონასტრის შიდა ეზო და ეკლესიის კარი



ვეთაა. აქ, მცირე ჩიხის ბოლოს მონასტრის შესასვლელია. შიდაეზოს მარცხენა მხარეს მცირე ეკლესიაა. ეზოს, როგორც ამას XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსი არქიმანდრიტი ლეონიდ კაველინი გვამცნობს, უწინ ვაზის ფანჩატური ამკობდა (ამჟამად იქ მისი კვალი არ ჩანს). მონასტრის ზედა ტერასიდან


იშლება არაჩვეულებრივი ხედი ზეთისხილის მთაზე, იორდანეს დაბლობზე, მკედარ ზღვაზე. ჰორიზონტს ამ მხრიდან არაბეთის კლდოვანი მთები ასრულებენ.

მონასტრის დაარსების ზუსტი დრო უცნობია. ის ოსმალეთის სულთან აჰმედ I-ის 1606 წლით დათარიღებულ ფირმანში მოიხსენიება ქართველთა კუთვნილ იმ მონასტრებს შორის, რომელთა საკუთარ მფარველობაში მოქცევას, თურქების მხარდაჭერის იმედით, სწორედ იმ დროს ლამობდნენ ბერძნები. ამით აღშფოთებულ ქართველებს სერბ მართლმადიდებლებთან ერთად გაუპროტესტებიათ ბერძნების მცდელობა და მათი ეს პროტესტი მცირე ხნის შემდეგ ოსმალებს გაუთვალისწინებიათ კიდევ. თუმცა ეს წმინდა სავანეც, სხვა დანარჩენი ქართული ეკლესია-მონასტრის მსგავსად, საბოლოოდ მაინც ბერძენთა კუთვნილებად იქცა. მართალია, იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის 1706 წლით დათარიღებულ წერილში ის კვლავინდებურად ქართულ მონასტრად მოიხსენიება, მაგრამ ბერძენთაგან მისი დავალიანების დაფარვის შემდეგ ქართველებს ამ წმინდა სავანეში, ფაქტობრივად, ფეხი ამოეკვეთათ. ერთადერთი წერილობითი ცნობა, რომელიც ამ მონასტრის დაარსებას უკავშირდება, ტიმოთე გაბაშვილთან შემონახული ტრადიციული გადმოცემაა დადიანთა მიერ მისი „ადმენების“ შესახებ. დადიანების საგვარეულოს წევრთა იერუსალიმში აქტიური სააღმშენებლო მოღვაწეობის ფაქტი დოკუმენტურად



არის დადასტურებული. მაგალითად, ლევან II დადიანს (1611-1657 წწ.) უღვაწია ჯვრის მონასტრის განახლებასზე. ტიმოთე გაბაშვილი 1757 წლისთვის ურიათუბნის წმინდა გიორგის მონასტერში დადიანთა „მოსასხენებლის“ არსებობაზეც გვამცნობს, მაგრამ მათი მოღვაწეობის კონკრეტულ დროსა და სახელებზე, სამწუხაროდ, დღემს. რაკილა დანამდვილებით ვიცით, რომ აღნიშნული მონასტერი არსებობდა ლევან II-მდეც, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი აღმშენებელი „დადიანები“ XVI საუკუნის ან უფრო ადრინდელი დროის მოღვაწენი იყვნენ. შესაძლოა, მათ რამენაირად უკავშირდებოდეს უფლის წმინდა საფლავის ტაძრის კარიბჭის მარჯვენა მკორე სვეტზე ჩვენ მიერ დაფიქსირებულ ერთ მკრთალ მინაწერში ნახსენები ვინმე „ვაშიყ“. XIV-XVI საუკუნეების (ანუ ლევან II-ის წინამორბედ) ოდიშის მთავრების ნუსხაში ამ სახელის მატარებელი ორი პირია: ვაშიყ I (1384-1396 წწ.) და ვაშიყ II (1474-1482 წწ.). საინტერესოა, რომ უფლის წმინდა საფლავის ტაძრის კარიბჭის გრაფიკებიც უმთავრესად XIV-XV სს-ით თარიღდება, ხოლო ტიმოთე გაბაშვილის სიაში წარმოდგენილი იერუსალიმის სხვადასხვა სავანის ქტიტორები მხოლოდ XIV საუკუნიდან გვხვდება. ცნობილია ისიც, რომ სწორედ აღნიშნული საუკუნის დასაწყისში (1305 წ.) გამოიხსნეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი მაჰმადიანთა პერობილებიდან, ხოლო მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს ქართველებს ქრისტეს საფლავის კლიტენიც კი ჩაუკვდიათ ხელში.

ყოფილი წმინდა დიმიტრის მონასტრის ყოფილი შენობა ქუჩის მხრიდან და ზემოდან



ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, იერუსალიმის ჯვრის მონასტერს იმავე საუკუნეში, სხვებთან ერთად, დიდ დახმარებას უწევდა გიორგი II დადიანიც (1345-1384 წწ.). როგორც ჩანს, ურიათუბნის წმინდა გიორგის მონასტერი საპატრონოდ სწორედ XIV საუკუნეში გადაეცა დადიანთა საგვარე-



წმინდა თეოდორეთა მონასტრის შესასვლელი ქუჩიდან



ულოს და მისი წარმომადგენლები მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში შეძლებისდაგვარად ზრუნავდნენ ამ წმინდა სავანეზე, სანამ ის დაგროვილი დაგალიანების გადაუხდელობის შედეგად, XVII საუკუნის მიწურულს, საბოლოოდ არ გადავიდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მფლობელობაში. ამჟამად მონასტერი დედებს უჭირავთ და მასში რაიმე ქართული კვალი არ ჩანს (მორიგი განახლება მას სულ ახლახან ჩაუტარდა).

გიორგი V ბრწყინვალის მეფობის პერიოდშივე განუახლებიათ ქართველებს იერუსალიმის წმინდა დიმიტრის მონასტერიც. იგი იაფოს კარიბჭიდან საღვატორის მონასტრისკენ მიმავალი გზის მოსახვევშია. მონასტერი იხსენიება 1187 წლის შემდეგ შედგენილ ბერძნულ ანონიმურ ხელნაწერში, როგორც მაცხოვრის წმინდა საფლავის გარშემო არსებული ცამეტიდან ერთ-ერთი მართლმადიდებლური სავანე. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი 1706 წელს ამ მონასტერს ქართულ სავანეთა რიგში მოიხსენიებს. თიმოთე გაბაშვილის ცნობით, წმინდა დიმიტრის მონასტერი აღუშენებია „ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს ივანეს, და მათი მოხსენებაც მუნ არს“. დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი მონასტრის აღმშენებლად მხოლოდ შალვა ქსნის ერისთავს ასახელებს. წმინდა დიმიტრის მონასტრის ქართველთაგან აღშენება-განახლების ამბავს გვამცნობს კიდევ ერთი, 1817 წლით დათარიღებული ქართული ხელნაწერი: „ქ. ოდესმე კეისართაგან მიენიჭნეს მეფეთ ჩუენთა წმიდანი მონასტერნი წმიდასა ქალაქსა იერუსალიმსა და მათგან სახლთა ჩუენთა ბოძებოდათ მონასტერი ესე წმიდისა დიმიტრისა და მე, ქსნის ერისთავმან შალვამ სრულიად განვაახლე და აღვაშენე მონასტერი ესე დედისა ჩუენისა ბატონის თამარის საფასითა საოხად სულთა ჩუენთა და აღსაზრდელად ძეთა ჩუენთა ჟამთა გიორგი კურაპალატის მეფობისა, ერისთავს პიპარს მიხსენებდეთ მონასტერსა ამას“. ეს ცნობა, სავარაუდოდ, გადმოწერილია ან მონასტრის კვლის წარწერიდან, ან უცნობი ხელნაწერის მინაწერიდან.

შალვა და პიპარ (პიპა) ქსნის ერისთავები გიორგი ბრწყინვალესა და იერუსალიმთან ერთად მოიხსენიება „ძეგლი ერისთავთას“ ტექსტშიც: „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალემისანი სპარსთა დაიპყრნესო და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგ-

ზაგნა ძე შალვა ერისთავისაი, რომელსა ერქუა პიპაი, გზასა ხმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა... ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპთა ნუსხაშიც გვხვდება ჩანაწერი ჩვენთვის საინტერესო პირთა შესახებ: „წირვაი და ალაპი საუკუნო ერისთავისა შალვას ქენიფნეველისა, შვილისა პიპასი, და მისისა მეუღლისა თამარისი, შეუნდვენ ღმერთმან, ვინცა შეცვალოს, კრულმცა არს“.

ცნობილია, რომ გიორგი ბრწყინვალემ ორგზის, 1316 და 1320 წლებში გაგზავნა ელჩები ეგვიპტის სულთანთან მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მოსაპოვებლად. იმავე საუკუნის შუა ხანებისთვის ეს კლიტენი უკვე ქართველთა ხელში იყო. უადრესად საინტერესოა ცნობა, რომ იერუსალიმში ზოგიერთი მონასტრის ქართველთა მფლობელობაში გადასვლა (თუ წართმეულის დაბრუნება) „კეისართა“ ხელშეწყობით მომხდარა, რაც სხვა მაკონტროლებელი ისტორიული მასალის საფუძველზეც დასტურდება: 1299 წელს საქართველოდან ეგვიპტის სულთან ნასირ მუჰამედთან (1293-1341 წწ.) გაგზავნილი ელჩობა კონსტანტინეპოლში ჩავიდა და აქედან მას კეისარმა ანდრონიკე II-მ (1282-1328 წწ.) საკუთარი დესპანიც გააყოლა სულთანთან იერუსალიმში ქართველთათვის კუთვნილი მონასტრების დაბრუნების თხოვნით. 1305 წელს ჯვრის მონასტერი და ზოგიერთი სხვა ქართული წმინდა საგანე სულთანმა თავის ძველ მფლობელებს დაუბრუნა. XIV საუკუნეს ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს ტრაპიზონელ კომნენოსთა სამეფო სახლი. კომნენოსებთან ქართველ ბაგრატიონებსა და თვით გიორგი ბრწყინვალეს ნათესაობა აკავშირებდა. როგორც ირკვევა, მეფე გიორგის წმინდა დიმიტრის მონასტერი საპატრიარქოდ ქსნის ერისთავთა სახლისთვის უბოძებია; შალვა ერისთავს იგი თავისი დედის, თამარის სახსრებით განუახლებია; დაუწესებიათ მონასტრის ქტიტორთა ხსენებაც. რუსი არქიმანდრიტი ლეონიდ კაკელინი (XIX ს-ის 50-იანი წლები) ამ საგანეს საბაწმინდის ლავრის „ძველთიდან მეტოქად“ ასახელებს. მის დროს მონასტრის შემადგენელ დიდ შენობას ყველაზე ხშირად ბულგარელი მომლოცველები აფარებდნენ თავს. ამ შენობის ადგილას ამჟამად საპატრიარქოს მიერ დაარსებული წმინდა დიმიტრის სახელობის სკოლაა გამართული.



წმინდა თეოდორეთა ტაძრის საკურთხევის ფრაგმენტი (ზემოთ) და ნიშნებაანი ქვა ძველი ნაგებობის წყობიდან (ქვემოთ)



შენობის საძირკველში კვლავაც შეინიშნება ძველი ნაგებობის კედლების ფრაგმენტები. რაც შეეხება ქართულ კვალს, ის იქ, სამწუხაროდ, აღარ იხებნება.

წმინდა თეოდორეს მონასტერი კასა ნოვას ქუჩაზე, საღვატორთან ახლოს, მოსახვევში მდებარეობს. მონასტერი დედათაა და ამჟამად იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს ეკუთვნის. წმინდა მოწამენი თეოდორე ტირონი და თეოდორე სტრატილატი ეკლესიაში წმინდა დიმიტრისა და წმინდა გიორგის შემდეგ ლიტურგიკულად ყველაზე პატივდებულად მიიჩნევიან; მათი წმინდა ნაწილები ყოველი პროსკომიდიისას (ანუ კვეთისას) გამოაქვს სამღვდელოებას.

ადგილობრივი ბერძნული გადმოცემის თანახმად, ეკლესია ამ ადგილას თითქოს სოფრონი იერუსალიმელის (634-644 წწ.) მოწაფეს, ღირსიანეს დაუარსებია VII საუკუნეში. მანამდე



წმინდა თეოდორეთა მონასტრის შიდა ეზო

(532 წ.), კირილე სკითხოპოლელის ცნობით, ამ ადგილას წმინდა თეოდორეს სამარტვილე მდგარა. მონასტერი ნახსენებია 1187 წლის შემდეგ შედგენილ ანონიმურ ბერძნულ ხელნაწერში. მართალია, ჯვაროსნების ლათინთა სამეფოს პერიოდში ეს საფანე წყაროებში არ ჩანს, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ მამლუქთა ბატონობისას მონასტერს ქართველები ფლობდნენ და ის უკვე ორი თეოდორეს სახელს ატარებდა. არქიმანდრიტ კველინის ცნობით, უწინ ამ მონასტერს თავშესაფრად იყენებდნენ იერუსალიმში მოსალოცად ჩასული ტრაპიზონის სამეფო (1204-1461 წწ.) სახლის ბანოეები. ოსმალეთის სულთან სელიმ I-ის დროს შედგენილ ერთ საბუთში (1517 წ.) მონასტერი არ ფიგურირებს ბერძენთაგან „თვალდადგმულ“ საფანეთა ნუსხაში. XVI საუკუნის შემდეგ მონასტერს კვლავ ქართულ საფანედ იცნობს რუსი მოგზაური ბასილ პოსნიაკოვი. ასეთად

არის დასახელებული ის იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლით დათარიღებული წერილშიც. 2001-2002 წლებში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის მიერ იერუსალიმში მიკვლეულ ერთ-ერთ ხელნაწერში დაცულია ბენა ჩოლოყაშვილის ანდერძი, რომლის მიხედვით, მას არა მარტო განუახლებია წმინდა თეოდორეთა ეკლესია, არამედ უზრუნია მისი წიგნთსაცავის შევსებაზეც, მოუძებნია და ისევ ადგილზე დაუბრუნებია ამ საფანის მანამდე გაბნეული ხელნაწერები. ბენა ჩოლოყაშვილი იერუსალიმში საგანგებო მისიით იმყოფებოდა 1512-1514 წლებში და თავდაუზოგავად იბრძოდა იმ დროისთვის ქართველთათვის წართმეული თუ სადავოდ გამხდარი ეკლესია-მონასტრების შემოსამტკიცებლად.

იმავე ხელნაწერში დაცულ უფრო ადრინდელ (XIV-XV სს.) ანდერძში მოცემულია მონასტრის მანამდე უცნობი სახელი: „ტკებნარის დარი“. უკანასკნელი სიტყვა „დარი“ არაბულად ნიშნავს სახლს. თუმცა ანდერძში ის შეიძლება მონასტრის აღმნიშვნელი არაბული ტერმინის „დაირ (დერ/დერ)“ ვარიანტსაც წარმოადგენდეს. რაც შეეხება „ტკებნარს“, მკვლევარ თინა ცერაძის აზრით, ის ქართული ადგილ-სახელია და გათლილ, დატკებნილ ადგილს უნდა ნიშნავდეს (შესაძლოა, ძველად ამ ადგილს შესაბამისი არაბული სახელწოდება გააჩნდა და საქმე მის ქართულ თარგმანთანაც გვექონდეს).

აკადემიკოს ნიკო ჩუბინაშვილის ცნობით, მონასტერს უწინ ქართული წარწერაც ამკობდა, სადაც ბენა ჩოლოყაშვილი ამ წმინდა საფანის განმაახლებლად მოიხსენიებოდა. ტიმოთე გაბაშვილის სიტყვით კი, წმინდა თეოდორეთა მონასტერი „არს აღმწებული“ ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილების მიერ. მის ცნობას იმეორებს დეკანოზი პეტრე კონჭოშვილიც. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, წარწერაში გარსევან და ბაადურ ჩოლოყაშვილებზე უნდა ყოფილიყო საუბარი. მათ 1635 წელს განუახლებათ ეს წმინდა საფანე. აღნიშნული წარწერა, რომელიც მოგვიანებით ბერძნებს ტაძრის კედლიდან მოუხსნიათ, ამჟამად უკვალოდ არის გამქრალი. მონასტერი ქართველებს ბერძნებმა 1685 წელს ჩამოართვეს და ის დღემდე უჭირავთ.

კიდევ ერთი ქართულყოფილი წმინდა საფანე დგას ახალი კარიბჭის სიახლოვეს, ალ-ფრადის ქუჩის ჩრდილო-დასავლეთით

მდებარე ჩიხში (ქუჩიდან მარცხენა პირველ შესახვევში). მონასტერი წმინდა ბასილი დიდის სახელზეა აგებული. ეს დედათა მონასტერიც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მფლობელობაშია. ის, ფაქტობრივად, მუდამ დაკეტილია და მხოლოდ დღესასწაულებზე თუ მასპინძლობს მლოცველებს. ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში აქ გადაწერილი XIV-XV საუკუნეებით დათარიღებული ერთი ხელნაწერიც გვხვდება. სავსებით ცხადია, რომ იმ დროს მონასტერი ქართველთა კუთვნილებას წარმოადგენდა. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ამ საუნის მამულებელი იყვნენ XIV საუკუნეში მცხოვრები თავადი ამირინდო ამირახორი (ამილახვარი) და თაყა. იმავე ცნობას იმეორებენ პეტრე კონჭოშვილი და 1817 წლით დათარიღებული ხელნაწერის უცნობი ავტორიც. ქართულ მონასტრად მოიხსენიებს მას 1706 წელს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსიც. მონასტერმა ძლიერი სახეცვლილება განიცადა ახალი მფლობელის ხელში. ბერძენ ბერ ბასილის მიწვევით 1764 წელს მონასტრის საფუძვლიანი განახლება (ადგილზე გამოცემულ სხვადასხვა ცნობარსა თუ ინტერნეტსაიტებზე ის საერთოდაც მონასტრის აღმშენებლად არის გამოცხადებული). სამწუხაროდ, ქართული კვალი აქაც სრულიად წარხოცილია.

როგორც ზემოთ ვიხილეთ, ხსენებულ მონასტრებს სხვადასხვა ქართული ფეოდალური საგვარეულო პატრონობდა. თუნდაც ჩვენს ხელთ არსებული მწირი ისტორიული მასალიდან აშკარად ჩანს, რომ წმინდა საუნეებზე ზრუნავდნენ თაობები ამა თუ იმ წარჩინებული გვარიდან. ეს მემკვიდრეობითი ტრადიცია, როგორც ერთ-ერთ ჩვენს წინა წერილში ვიხილეთ, შესამჩნევია აბრაამ მამამთავრის მონასტრისადმი აბაშიძეთა გვარის წარმომადგენელთა მხრიდან ზრუნვის შემთხვევაშიც.

ამჯერად მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ყოფილი ქართული მონასტრებით შემოვიფარგლებით. ასეთი საუნეების რიცხვი კი, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, წმინდა ქალაქში ოთხჯერ მეტია. მათ შესახებ მომდევნო წერილებშიც მოგიხსრობთ.

(გაგრძელება მომდევნო ნომრებში)

პასიკა ხურცილავა

**სტუ დოქტორანტი, მოსწველე
ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის
საქართველოს ისტორიისა და
ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე**



წმინდა ბასილი დიდის მონასტრის შესასვლელი და მისი ხატი ტაძრის შესასვლელში



ჩვენი ეპოქა

2015 წლის აპრილში „კვირის პალიტრის“ დაარსებიდან 20 წელი სრულდება. გაზეთის ყველა ნომერში თავმოყრილია ის, რაც აქტუალური იყო იმდროინდელი საქართველოსთვის. ამ გადასახედიდან შეიძლება ბევრი რამ სხვაგვარადაც აღიქვამთ, ბევრი შეფასება არაზუსტი მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს იმ დროის ხმაა — მაშინდელი ცხოვრების რიტმში ჩამჯდარი, მაშინდელი საქართველო; მაგრამ ეს ჩვენი რეალობა და უახლესი ისტორიაა.

„კვირის პალიტრამ“ გადაწყვიტა, „ჩვენი ეპოქის“ ხუთ ტომში მოუყაროს თავი საქართველოს მიერ განვლილ 20-წლიან ცხოვრების გზას, რომელიც გაზეთის ფურცლებზე აისახა. თითოეულ ტომში სხვადასხვა ეპოქა წარმოდგენილი. პირველი წიგნი „კვირის პალიტრის“ თვალთ დანახულ 90-იან წლებს შემოგთავაზებთ.



საბჭოეთის „უთავო ბელადს“ ქუდი ხელში შერჩა

„ბიჭები — ვინ სად შეზედა ომს... ახლა რაღაც ცხოველური ინსტინქტით, თავგანწირვით იხოცებოდნენ საქართველოს მიწისთვის...“



აფხაზეთის ომი

1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში ომი დაიწყო და 13 თვეს გასტანა... შედეგი საგნებით ლოგიკური და საფალალო — რბევა, ნგრევა, უამრავი მსხვერპლი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა, საკუთარ მიწაზე დევნილად ქცეული ათასობით ქართველი და... დაკარგული აფხაზეთი.

გთავაზობთ ამონარიდებსა და ილუსტრაციებს „კვირის პალიტრის“ ხუთტომეულის — „ჩვენი ეპოქა“ I ტომიდან.

„სოხუმში ჩამოსვლის დღესვე წითელ ხიდან აფხაზეთმა ნამდვილი ომი გაგვიმართეს... მერე წვედით და საპატოო წრე დაგვარტყმევინეს მინისტრთა საბჭოს მოედანზე. ბიჭებმა, არ ვიცი, თავისი ინიციატივით, არ ვიცი, ვინმეს ბრძანებით, ლენინის ძეგლი ჩამოაგდეს. ერთი-ორი ავტომატის ჯერიც მივაყოლეთ მინისტრების შენობას და მაგათი დედაც... რამდენიმე დღეა, კომპოზიტორების ცნობილ

სანატორიუმში ვართ. ძირითადად, მთელი დღე ქალაქში ვსეირნობთ, ღამლამობით კი საგუშაგოებზე გვიწვეს მორიგეობა. ქალაქი თითქმის ჩვენია, მაგრამ აფხაზეთა ჯგუფები ხან საიდან გამოჩნდებიან, ხან — საიდან. „ბატეას“ (თენგიზ კიტოვანი) ხალხი სოხუმში გრიმიტობს. ამბობენ, სოხუმელები ბატალიონს ქმნიანო და ლამის ხელჩართული ბრძოლა იწყება თბილისურ „სასტავებსა“ და აქაურებს შორის. მოკლედ, ერთმანეთს უკვე კბილების ღრჭენით მიფრებებივართ. სასმელ-საჭმელი ჯერჯერობით არის, თუმცა, ბიჭებს ხანდახან ხელი მაინც წაგვიცდება... იმ დღეს „ვაშპირამ“ სანაპიროზე ვიდაცის ღორი მოკლა ავტომატით. შუადამისას ღორის პატრონები მოცვივნენ. ასეთი წყევლა აქამდე არც გამიგონია — თქვენ არ ჩადით დედათქვენთან ცოცხლები. პური და ღორი კი არა, სოხუმის მიწა გაჭამოთ ღმერთ-მაო... მთელი დამე ტანში მბურძგლაჟდა. ვინ იცის, სად წამოგვეწევა იმ შუკაბიანი მეგრული დედაკაცის წყევლა...“

„ნიუტონას“ დღიურებიდან

„ჯარისკაცის მამა“





„ჩვენი ბიჭები არტილერიისა და მძიმე ტექნიკის გარეშე, კინკლა ავტომატებით იბრძვიან“

„2 ოქტომბერს, გამთენიისას, ჯოჯოხეთურმა ზრიალმა წამოგვეყარა ფეხზე. თავზარდამცემი გუგუნის ბოლომდე გამყვება და ამ ხმით ვიცნობ მქორედ ნამდვილი სიკვდილის მოსვლასაც. ბავშვების წივილსაც ჰგავდა, ქალების კივილსა და კაცების ხრიალს, ნელ-ნელა რომ სჭრიან ყელს. ჩვენი ბიჭების ღრინაცვლამა მომიყვანა გონს. განგაშია. ვერ გავიზარეთ, რა ხდებოდა. ქუჩები საგსე იყო დამფრთხალი ხალხით. ქალები, ბავშვები პერანგებით დარბოდნენ. „აფხაზები უკვე ქალაქში არიან“, — ტანში დენივით მივლის. გაგრა სამი მხრიდან ალყაშია მოქცეული. ბრძოლები უკვე ორი ფეხის ნაბიჯზე — ცენტრში, სტადიონსა და პოლიციის შენობასთან მიდის, „წითელ ჯვართან“ ბიჭები დაღუპულან, ავტომატებით ტანკებს რა უნდა უყო, რა წინააღმდეგობა უნდა გაუწიო...“

არეულები, უკანდახეულები დგანან და ბრძანებას ელიან. ბრძანების გამცემი არავინ არის. ბიჭებმა ფეხდაფეხ დადგნებული ბეტონებისგან სიკვდილი ნახეს. დაგლეჯილ-დაფლეთილები ძლივს მიათრევენ ერთმანეთს. „კრუპო“ ვნახე, ცალი ფეხი წაგლეჯილი ჰქონდა, სისხლისგან იცლებოდა და სანამ გონს დაკარგავდა, ღრიალებდა, — ბიჭებო, არ მომკლათ, გადამარჩინეთო. ექიმი რალაცებს ჩალიჩობს, მაგრამ რა უნდა უყო ნახევრად მკვდარ კაცს ასეთ აურზაურში? გაი ვაშაკიძე კაცია. თავის ბიჭებთან ერთად ვეფხვივით

იბრძვის — ვისაც გული ერჩის, ფეხი არ მოიცვალათო და პოზიციების გამაგრებას პირველი თვითონ შეუდგა. არავინ არკვევს, მხედრიონელი ხარ, პოლიციელი, ავაზელი თუ ვილაც ოხერი. ბიჭები ერთმანეთს ვაგულიანებთ, ვილაცა გახუმრებასაც ცდილობს, წუთიც და აფხაზთა ტანკები პირდაპირ ჩვენ გვირტყამენ. შენ ძაღლები უძახე და რა იომეს გაგრეულმა პოლიციელებმა!.. ისინი პოლიციის შენობაში გამაგრდნენ, ჩვენ ქუჩაზე დავიკავეთ პოზიციები...“

რა გინდა ქნა, მიზანში აქვთ ამოღებული ყველა წერტილი ამ შობელბაღლებს. ნახევარი დღე შევაკავეთ მარტო პოლიციის შენობასთან. პოლიციელები შენობაში ჩაიხოცნენ. მე მაგათ სულებს ვენაცვალე. რა სული გქონიათ, ბიჭებო... სად არიან ახვარი გენერლები, მეფეებივით რომ ისხდნენ ცარიელ გაგრაში. ერთი ჩინიანისთვისაც არ მომიკრავს თვალი. ბიჭები — ვინ სად შეხვდა ომს. უბრალო ბიჭები, ადრე პოზიციებზე ძალითაც რომ ვერ გაჰყავდათ, ზოგს ერთი სიტყვაც არ ჰქონდა სამშობლოზე წაკითხული, ახლა რაღაც ცხოველური ინსტინქტით, თავგანწირვით იხოცებოდნენ გაგრის ერთი ქუჩისა და ერთი სახლისთვის.

ვილაც ავაზელმა „გაგრიფშის“ გასასვლელთან, მარტომ, ტყვიამფრქვევით 45 წუთი გააჩერა აფხაზები, ხომ აზრზე ხარ, უკანდასახვეი გზა რომ მიეცა ბიჭებისთვის. გვარიც ვერავინ გვითხრა, სახეზეც ვერ გამახსენეს,

უნდა გავიგო და მისი კაცობის ამბავი თბილისში ჩავიტანო... ვოვა სელეპანოვი, საბურთალოელი სომეხი ბიჭი, გაგრის გასასვლელთან ტანკს შეუვარდა ხელეწუბარით ხელში — ქართველს ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ურჩევნიაო. ეს არის სომეხი და სანდრო კავსაძე — ქართველი? განთიადში ქალები გვიყვებოდნენ გაგრიდან გამოტანილ ამბავს, — ქუჩებში ქართველების გვაგები ძაღლების ლეშებოვით ყრიაო. არძინბას დაურეკავს „ვეჩეთი“ კავსაძისთვის, თქვენი ცხედრები გაიტანეთო. მერე, რომ არავინ შეეხმანა, „წითელ ჯვართან“ გათხრილ ორმოში ტრაქტორებით ჩაყარეს ერთმანეთში ახელილები...

3 დღის წინ ეგ და ედიკა გაგრაში არ იყვნენ? მაგათი ბრძანებით არ გაიყვანეს ტექნიკა? ისიც რა ტექნიკა იყო — დაფხავებული ტანკები. მაგრამ ტანკი რომ იქნებოდა, გული მაინც მოგეცემოდა კაცს“.

„ნიუტონას“ დღიურებიდან

90-იანი წლების თბილისი

აბუჩად აგდებული ხალხი თუ ახალი წელი

ვერაგინ ინატრებდა იმ თბილისელთა ბედს, რომელთაც ახალ, 1999 წლის დამდეგს, 30-31 დეკემბერს, შუქი არ ჰქონდათ და მიაწყდნენ თელასის შენობას, ქვების სროლით, ფურთხებით, დედ-მამის სულის გინებითა და წყველა-კრულვით აიკლეს იქაურობაც და ხელისუფლებაც...

იმას, რაც დღეს საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში ხდება, შეიძლება ეროვნული კრიზისი ეწოდოს. ჰიდროელექტროსადგურები 850 მეგავატის ნაცვლად, 250-ს(!) გამოიმუშავენ. ცნება „ღამის თბილისი“, რომელიც ათწლეულების მანძილზე პოეტების, ჟურნალისტების, ჩვენი ქალაქის სტუმრებისა და საერთოდ, თითოეული თბილისელის ცნობიერებასა და შემოქმედებაში ამაღლებულ და რომანტიკულ განწყობასთან იყო გაიგივებული, დიდი ხანია გაქრა. დღეს „ღამის თბილისს“, მით უმეტეს, უმთვარო ღამეში, ცნება „წყვიდადის თბილისი“ წარმატებით ცვლის...

თუ კარგა ხანს დაჰყოფთ მთაწმინდაზე, თქვენ წინაშე წარმოსდგება საშობაო ნაძვის

ხესავით მოციმციმე ჩვენი დედაქალაქი და მოწმე გახდებით ტრაგიკომიკური სურათისა: როგორც კი ჩაქრება ერთი უბანი, ინთება მეორე... მეორე ჩაქრება და ინთება მესამე, ოღონდ ქალაქის სხვა ნაწილში, შემდეგ ყველა ერთად ჩაქრება, კვლავ აინთება და ა.შ. მასმედია ყოველდღიურად ცდილობს, რაღაც დამამშვიდებელი და იმედისმომცემი ინფორმაცია მაინც მიაწოდოს წყვიდადის თბილისის ბინადართ, უფრო სწორად, ჟურნალისტებით გამეტებით ცდილობენ ერთი-ორი საიმედო ინფორმაცია მაინც ამოგლიჯონ პირიდან თელასისა და საქენერგოს მესვეურთ და ისინიც, იმის გამო, რომ თქვენ რაღაც და ეს ნათქვამიც „მუშაობაში“ ჩაეთვალოთ, ათას სისულელესა და ტყუილს იშველიებენ. გაუთავებლად ფიგურირებს მათ ენერგოზეპირმეტყველებაში დამწვარი მე-9 ბლოკი (სანამ დაიწვებოდა, მანამდე ხომ ბროდვეი იყო თბილისი)... გადარჩენილი მე-10 ბლოკი, მწყობრიდან გამოსული მე-3 ბლოკი, რემონტში მყოფი მე-4 ბლოკი, ფიდერები, კაბელები, მაღალი ძაბვის გადამცემები, სეპარატიზმი(!)...

1994 წ. სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია





ზამთარი სოფელ ნამოხვანში

საახალწლო მოგზაურობა საქართველოში

(მთნობრაფიული ჩანახატები)

პირველ რიგში, დამდეგ ახალ წელს ვულოცავთ ჩვენს მკითხველს, მერე შობას და მერე ისევ ახალ წელს, ოღონდ უკვე ძველი სტილით. კარგა ხანია, ასე „დაკანონდა“ მთელი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

წარმართულ საქართველოში ახალი წელი აგვისტოში იწყებოდა, ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ — სექტემბერში, IX საუკუნეში — მარტში, X-XI საუკუნეებიდან იანვარში (ამ დროს საერო ახალი წლის დასაწყისი სექტემბერი იყო). XVII საუკუნიდან კი საერო და საეკლესიო კალენდარი „გაერთიანდა“ და წლის დასაწყისად იანვარი დადგინდა. გასაბჭოების შემდეგ კი ვიცით, რაც მოხდა და ახლა ჯერ ახალ წელს ვზეიმობთ, მერე — შობას და მერე ისევ ახალ წელს.

რადგანაც „ისტორიანში“ არაერთხელ მოგითხრეთ საშობაო-საახალწლო ტრადიციების შესახებ, ამჯერად თანამედროვე საქართველოში გამოგზაურებთ. რესპონდენტები

თვადვე გვიამბობენ იმ სიახლეებზე, რომლითაც საქართველოს კუთხეებში ამ უდიდეს საღვთო და საერო დღესასწაულებს ხვდებიან; როგორ ერწყმის თანამედროვე ყოფას ძველი ტრადიციები.

დღე-სასწაული (სამეგრელო)

ახალ წელს, ამ დღე-სასწაულს სამეგრელოში (გურულების მსგავსად) დღესაც კალანდას ეძახიან. ტრადიცია ურყევია: ბარაქიან სუფრაზე რაც შეიძლება მეტი „სიტკბო“ უნდა იყოს: ხილი, ჩურჩხელა, გოზინაყი, კანფეტები, ჩირი, ნამცხვარი... ღომი და სულგუნი აუცილებლად, ხაჭაპუ-

რი, ელარჯი... მთავარი მაინც საცივია. საგანგებოდ, საახალწლოდ, ნასუქი ინდაურის ხორცის საცივი. ღვინო ფერებად — შავი, წითელი, თეთრი — საუკეთესო და სანაქებო, საახალწლოდ გადანახული.

ერთ-ერთი აუცილებელი საახალწლო ატრიბუტი ჩიჩილაკია, რომელსაც წინა დღეს ამზადებს ოჯახის უფროსი. ჩიჩილაკი რაც უფრო მაღალი და ფუმფულა იქნება, მით უფრო სასურველია და ლამაზიცაა. ჩიჩილაკს რთავენ კანფეტებით, ბარაქის ნიშნად ბურბუშელებში რკინის ფულსაც დებენ. ბურბუშელაზე სუროს ტოტებს შემოავლებენ. თავზე ხის ჯვარი აქვს, რომელზეც ვაშლსა და მანდარინს წამოაცვამენ. 31 დეკემბრის საღამოსვე ჩიჩილაკთან ერთად ირთვება ნაძვის ხეც. ამ ბოლო დროს ნაძვის ხეს უფრო ადრეც რთავენ ბავშვები.

ღამის 12 საათის მიწურულს ოჯახის უფროსი გადის გარეთ და თოფის გასროლით გვამცნობს ახალი წლის დადგომას. მალე ყველანი გადიან ეზოში და ცოტა ხანში ლოცვითა და მხიარული შეძახილებით შემოდიან სახლში. ოჯახის უფროსი იღებს სასმისს და პირველი ის ილოცება. ახლა უკვე მთელი ოჯახი „სტუმრის“ მოლოდინშია. სასურველია, ახალი წლის პირველი სტუმარი მამაკაცი იყოს, რომელიც შემდგომ მეკვლის „სტატუსს“ იღებს. თუმცა არანაკლებ გასახარია ბავშვის სტუმრობა... მთავარი მაინც ის არის რომ ახალმა წელმა სტუმრის გარეშე არ ჩაიაროს. რაც უფრო მეტი სტუმარი მოვა და მეტი მხიარულება იქნება, მით უფრო ბედნიერი წელი დაგვიდგებაო, დღესაც ასე სჯერათ სამეგრელოში. და კიდევ, ახალწლის სტუმარი, და მით უმეტეს მეკვლე, ოჯახიდან ხელცარიელი არ უნდა გაუშვა.

კალანდა ანუ ლიჭხიელ (იმერეთის „სვანეთი“)

26 წელიწადია, იმერეთში, სოფელ საყულიასა და ნამოხვანში (წყალტუბო) ვცხოვრობთ (ეკომიგრანტები ვართ), თუმცა ყველა სვანური ადათ-წესი და ტრადიცია შვეინარჩუნეთ. ერთ-ერთი მათგანია კალანდა, იგივე ლიჭხიელ (ფეხისშედგმა), რომელიც 13 იანვარს იწყება. ერთი ღორი, წესისამებრ, საშობაოდ იკვლება, მეორე კი — ამ დღისთვისაც. დილიდანვე იწყება ფუსფუსი. ამ დღეს ბიძაშვილები, ძმები ერთად არიან, ერთმანეთს ეხმარებიან. ლესავენ ბაბუის დანატორავ

უზარმაზარ დანას, იცვამენ რეზინის ჩექმებს. ღორის დაკვლასაც თავისი ცოდნა უნდა, ეს საქმე ყველას არ გამოსდის. მოგვიანებით, „საქმეში“ ქალებიც ერთვებიან. კუბდრისთვის ხორცს ცალკე გადადებენ, ხელის გასახსნელოდ (ეს განსაკუთრებულია) ხერხემლიდან ცალკე გამოჭრიან ნაწილს, მწვადისთვის — ცალკე, დასაშაშხ და შესაბოლო ხორცსაც გამოაცალკეებენ, ღორის თავს კი დილისთვის, ანუ ახალი წლისთვის ხარშავენ.

13 იანვრის საღამოს მამას თხილის რტოები შემოაქვს სახლში, ვფიქრობ, ეს ჩიჩილაკს ენაცვლება. დედა ლამაზ, მომცრო ჭურჭელს ფქვილით ავსებს, პირამიდის ფორმით, რომლის თავზეც კვერცხია მოთავსებული — მთლიანობასა და ძლიერებას გამოსახავს. იწყება საკალანდო დიდი ხონჩის მოშხადება. შუაში კანფეტებით მორთული ღორის თავი

მხატვარმა-ეთნოლოგმა ვერა ბრაილაშვილმა ასე წარმოადგინა 1950-იანი წლების საახალწლო ვანწყობა გურიაში





იმერეთის „სვანეთში“ საკალანდო ხონჩაზე კანფეტებით მორთული ღორის თავი იდება...

იდება. აუცილებელია ლობიანი, ანუ ლემეზირი (სალოცავი პური) მასზე დამაგრებული სანთლით, მრგვალი კვერები, ჩურჩხელები, დიდი ვაშლი გარშემო 7 ცალი ხურდა ფულით (ვაშლი უფლის სიმბოლოა, ხოლო ხურდა — უფლის მიერ სამყაროს შექმნის 7 დღისა) და ხელადით ღვინო.

14 იანვარს, სანამ ირიჟრაეებს, ოჯახის უფროსი ხონჩას დაიჭერს ხელში, თეთრ სამოსში გამოწყობილი შვილიშვილები ღვინის ხელადასა და სახლს ლოცვით შემოუვლიან. მერე მხიარულად აკაკუნებენ კარზე და ოჯახს ლოცავენ. მათი შემოსვლა და ხელის გახსნა იწყება. ამისთვის საჭიროა სპეციალურად გამომცხვარი მრგვალი პური სანთლით, წიგნი, ფულის კუპიურა, კანფეტი ან ნამცხვარი და ჭიქა ღვინო. ყველა მათგანს აქვს დატვირთვა: პური არსობისა, სანთელი — უფლის წყალობა და რწმენა, წიგნი — განათლება, ფულის კუპიურა — ფინანსური მხარე, ასევე სიტკბო და ღვინო. დედას ქალიშვილი უხსნის ხელს. ამ ყველაფერს გადასცემს და დალოცავს, შემდეგ ასე ერთმანეთს გადასცემენ და ლოცავენ. ამასობაში სხვა მეკვლეებიც მოდიან — ახლო ნათესაები ან მეზობლები. მათთვის ხელის გახსნა აუცილებელია ღორის ხერხემლის იმ ნაწილის ხორცით, რომელიც წინადლით მოიჭრა. როცა მეკვლე კარზე აკაკუნებს, ეკითხებიან, ვისი ხელი გირჩენიაო და ისიც ირჩევს ოჯახის რომელიმე წევრს. მერე სახლში მიმოაბნევს კანფეტებს, სიმინდს და ოჯახს დალოცავს.

მეკვლისთვის საგანგებოდ ცხვება კუბდა-

რი და ხაჭაპური, რომელიც აუცილებლად უნდა მიირთვას. ასევე აუცილებელია მეკვლისა და ახალ წელს სტუმრად მოსულთა დასაჩუქრება.

შაიოუშვით ღოვლათი სახლში! (ქართლი)

ბებოსგან, თინა მეზურნიშვილისგან ჩავიწერე ბავშვობაში შობა-ახალწლის ამბები და მას აქეთ მომეგება. ხაშურის რაიონში იყო გათხოვილი. ახლა იმ ჩანაწერს მივაგენი და თქვენც წაგიკითხავთ: „რის 30 დეკემბრის დამე და პირველი იანვარი. დღესასწაული მაშინ 7 იანვარს, შობას იწყებოდა და მერე 14 იანვარს ვზეიმობდით ახალი წლის შემობრძანებას. არც ელექტროენერგიით ვიყავით გათამამებული და ლამის მთელ სოფელს ფეხშიშველი დაუდიოდა ბავშვები, მარა ნაძვის ხის მორთვა ისეთი რიტუალი იყო, არასოდეს დაგვზარებია. მოვჭრიდით პატარა ნაძვს (გაზაფხულზე ან შემოდგომაზე სანაცვლოდ ორ-სამ ძირს დაფრავდით უეჭველად!), შევაბამდით ჭირისფულით ნაყიდ კანფეტებს, ბამბებით მოვრთავდით და უხაროდა ყველას. 13 იანვარს დავიწყებდით საახალწლო საშხადისს. ტკბილი ცომით ვაცხობდით კრუნ-წიწილას, ძროხის რქებს (პირუტყვის ბარაქისთვის) და ბასილას (კაცისგამოსახულებიან ნამცხვარს). დიდ ხონჩაზე დავაწყობდით ჩურჩხელებს, თაფლს, მურაბას, გოზინაყს და აუცილებლად — მოხარშულ ღორის თავს. მახსოვს ჩემი მამამთილი, სულ რომ წელამდე თოვლი ყოფილიყო, გადიოდა ბოსელში და საქო-

ნელსაც დაატკობდა ხოლმე. მერე აიღებდა ამ ხონჩას, გავიდოდა გარეთ, შემოუვლიდა სახლს და დააკაკუნებდა კარზე, თან გაიძახოდა: — გააღეთ, მომაქვს დოვლათი, ბარაქა, შემოუშვით სახლში... გაუღებდით კარს, შემოვიდოდა, ანთებულ ბუხარში გაღვებულ ნაკვერჩხლებს დაუშენდა საჩხრეკს, ტკაცუნობდა შეშა, ცვიოდა მილიონი ნაპერწკალი და ამბობდა მეკვლე: ამდენი ძროხა, ამდენი ცხვარი, წიწილი და მონაგარი... ერთმანეთს ტკბილ სიბერეს ვუსურვებდით თავლით. მერე მოდიოდნენ მეზობლები, მერე ყველა ერთად გადავიდოდით სხვა მეზობელთან და ასე ვატყებდით... მახსოვს, ომის დროს, სხვა რომ არაფერი გვქონდა, ერთმანეთი მოხარშული კვებით დავაბერეთ“.

**მეფხვის სახი წლის „კალით“
(იმერეთი)**

მახსოვს, ჟენია ბებო როგორი ფუსფუსით იწყებდა შობა-ახალი წლისთვის მზადებას. ალილოზე წასვლას სკოლაში კი გვიშლიდნენ, მაგრამ ბებომ ფანდურზე დაკვრა და სიმღერა გვასწავლა და გვითხრა, ეს სირცხვილი არ არის, პირიქით, რაც უფრო ბევრს ახარებთ ქრისტეშობას, მით უფრო დიდი მადლიაო. ჩვენი ფანდურზე შესრულებული ალილო ისე მოსწონდათ, რამდენჯერმე გვიმეორებინებდნენ. განსაკუთრებით ერთ მეზობელთან, ფრანიკო ახალაძესთან მისვლა გვიყვარდა, — ხვავრიელად რომ გვასაჩუქრებდა ტკბილეულობით. შობის დამეს თუ გათოდებოდა, ბედნიერები ვიყავით. ჩაიფლიდა ალილო და ძველით ახალი წლისთვის ვიწყებდით მზადებას. ეს ნამდვილი ახალი წელიაო, ამბობდა ბაბუა.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე, ბებო 100 წყვილ ჩურჩხელას ამოავლებდა — საახალწლოდ ქალაქელ ნათესაებს მიეუკითხავ, ზოგს თქვენ დაგირიგებთ და ზოგსაც მეფხეს ანუ მეკვლეს გაატანო.

მეკვლე ანუ მეფხეზე ზედიზედ სამ წელიწადს ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო. ეს დიდი სახათაბალო საქმე იყო. თუ ოჯახს რამე ცუდი შეემთხვეოდა, მაშინვე იკითხავდნენ, კი მარა, ვინ იყო ამ ოჯახის მეფხეურიო.

ახალი წლის დამეს ბაბუა სანადირო თოფს გააპრილებდა და დატენიდა. ბებიას ერთი ძველებური დიდი თასი ჰქონდა და მასზე დადებდა მოხარშულ ღორის თავს, შუბლზე და-

ნით ჯვრის ფორმას გამოასახავდა, გვერდით მოხარშულ დედალს, მამალ ინდაურს (შემდეგ საცივში რომ მოკალათდებოდა) და კეცებში დამცხვარ ხაჭაპურსა და მჭადებს ლამაზად მოუწყობდა. იქვე ტკბილეულს, ჩურჩხელებსა და ხილს მოათავსებდა. დოქით ღვინოსაც მიუდგამდა, რა თქმა უნდა. სანთელს აანთებდა და ხელაპყრობილი ლოცულობდა, — ღმერთო, შენ მოგვეცი ხვალი და ბარაქაო.

მეფხვის მოსვლამდე ეზოში გასვლას გვიკრძალავდა, რადგან ძველით ახალწლის დამეს პირველი კვალი მისი უნდა ყოფილიყო. მეკვლე კარზე დააკაკუნებდა და ნებართვას აიღებდა შემოსასვლელად, ჩვენც ვეპატივებოდით და შემოსულს ისე შევციცინებდით, თითქოს პირველად ვხედავდით. მეფხეზე სახლში სიმინდსა და ხორბალს შემოყრიდა და მაგიდაზე დადგმულ თასს საათის ისრის მიმართულებით სამჯერ დაატრიალებდა, სიკეთეს გვისურვებდა და ლხინიც იწყებოდა.

მეკვლეობის მესამე წელიწადს ოჯახი მისთვის საგანგებო საჩუქარს არჩევდა. ანკი რა საჩუქარი აუნაზღაურებდა ამ სამწლიან ნერვიულობას. თუმცა თუ „კარგი ფხვის“ მქონე მეკვლის სახელი დაგვარდებოდა, კაცი ვერ გვჯობნიდა.

ამ ტრადიციებს დღემდე ვინახავთ. შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები ყოველ

„ჟენია ბებო 87 წლისაა და ახლაც არ ისვენებს“





შობას (ახალ წელსაც) თავს ვიყრით და არის ხოლმე ერთი ჟრიაბული და მხიარულება. ჟენია ბებო 87 წლისაა და ახლაც არ ისვენებს. ბაბუა კი... ახლა მამა ისვრის საახალწლოდ თოფს.

ვინ იცის, ვეგებ სწორედ ეს ძირძველი ტრადიციებია, ჩვენს დიდ ოჯახს ერთობას, სიმყარესა და სიამტკბილობას რომ უნარჩუნებს.

ოჯახური დღესასწაული

(კახეთი)

იყალთოში და საერთოდ, ჩვენს კუთხეში ახლა უკვე ახლებურად ვეშადებთ საახალწლოდ, ანუ 1-ელი იანვრისთვის. ყველა დიასახლისი ცდილობს, განსხვავებული კერძები მოამზადოს. უპირატესობა საცივსა და შემწვარ გოჭს ენიჭება. სახლში ბევრი ტკბილეულია, ტრადიციული ნუგბარიც კვლავ გოზინაყია. გოზინაყისთვის საგანგებოდ ვარჩევთ თეთრ ნიგოზს და ღია ფერის ნატურალურ თაფლს. მე გოზინაყს 31 დეკემბერს, ღამით ვამზადებ, თან ისე, რომ ახალწლის დადგომისას მზად მქონდეს, — ოჯახის წევ-

რებს ჩამოგურიგებ და კლოცავ, ტკბილად დაბერებას ვუსურვებ.

სანამ შვილები პატარები მყავდნენ, 12 საათის დადგომისთანავე აივანზე გაჰყავდა მამას და საახალწლო მამხალეებით ერთობოდნენ. მე ჯერ მათთვის გამზადებულ თოვლის პაპის საჩუქრებს დავალაგებდი ნაძვის ხესთან და რომ არ ეეჭვიანათ, მეც მათთან გავდიოდი. დაბრუნებულებს საჩუქრები ხვდებოდათ და კარგა ხანს სჯეროდათ თოვლის პაპისა. ახლა დიდები არიან და საჩუქრებს ნაძვის ხესთან მშობლებიც ვალაგებთ და შვილებიც (ეს ეტყობა, უცხოური ფილმებიდან გადმოვიღეთ).

პირველში, დილით, მეკვლე მოგვიდის, ჩემი ოჯახიდანაც მიდის მეკვლე საახალწლო ტკბილეულით დახუნძლული ლანგრით, რომ სხვებთანაც ბარაქა შეიტანოს.

შობას, ტრადიციულად 7 იანვარს აღვნიშნავთ ღორის დაკვლით და ალილოთი. ბავშვები ახლა თბილისურად მღერიან ალილოს (საშობაო არდადეგებზე ჩამოსული ქალაქელებისგან ისწავლეს). ძველით ახალ

წელსაც ვცდილობთ ისე შევხვდეთ ახალ წელს, როგორც ჩვენი წინაპრები ხვდებოდნენ. ზოგჯერ გამოგვდის, ზოგჯერ — მთლად ისე არა, მაგრამ ვცდილობთ, არ დავივიწყოთ.

სტუმრები საახალწლოდ იშვიათად მოდიან. უფრო ახალი წლის მომდევნო დღეებში იხსენებენ ახლო მეზობლებსა თუ ნათესაებს. ეს მომწონს კიდევ, რადგან მიმაჩნია, რომ ახალი წელი ოჯახური დღესასწაულია და იგი ჯადოსნური მხოლოდ მაშინაა, როცა უახლოეს და საყვარელ ადამიანებთან ერთად აღნიშნავ.

საცივისა და გოზინაყის ფესტივალი

(კახეთი)

ახალი წელი ისეთი რამეა, რამდენჯერმე რომ იცვლის ფორმას. ჯერ თოვლის პაპის გჯერა, მერე აღარ გჯერა, მაგრამ ჯადოსნურობა ჯერ კიდევ დაპკრავს და კიდევ მერე, ამჯერად შენ უნდა აქციო ახალი წლის ღამე სხვისთვის ჯადოსნურად.

რა დასამალია და დიდხანს მჯეროდა თოვლის პაპის. ჩემი თოვლის პაპა კი საჩუქრებს ნამვისხესთან კი არა, ბალიშის ქვეშ მიტოვებდა და ყოველთვის მაშინ მოდიოდა, როცა დამეძინებოდა. ჩემს ბავშვობაში, რომელიც 90-იან წლებს დაემთხვა, ახალი წელი ჯადოსნური იმითაც იყო, რომ დენი მოდიოდა. თოვლის პაპასავით იყო, არ არსებობდა, მაგრამ მცირე ხნით მოდიოდა. აი, რაც არ მოდიოდა, ეს იყო წყალი. დღესაც მახსოვს, რა ამაყი ვიყავი, ერთი ტონა წყალი რომ მივზიდეთ მე და ჩემმა დამ ჩემი დიდი და მძიმე ცივით. კიდევ, თოვლის პაპა წერი-

ლების კითხვით დიდად არ იწუხებდა თავს და არც შენს ქცევაზე იყო დამოკიდებული, რას მოგიტანდა. ვიცოდით, რომ ზოგ წელს გაღარიბდებოდა და ორი ცალი კანფეტი და მანდარინი დაგვხვდებოდა ბალიშის ქვეშ, ზოგჯერ გამდიდრდებოდა და იმ სათამაშოს დაგვახვედრებდა, რასაც გულით ვნატრობდით. ცალკე ამბავი იყო საახალწლო სუფრა. იმ მომჭირნეობის დროსაც საცივი და გოზინაყი აუცილებლად გვქონდა. ეს ორი რამე საახალწლო იმიტომაცაა, რომ როგორც ორი ზუსტად ერთნაირი წელი არ არსებობს, ასევე არ არსებობს ორ სხვადასხვა ოჯახში მომზადებული ზუსტად ერთნაირი საცივი და გოზინაყი. ერთ წელს მახსოვს, შემიძინებულმა, ვაი და ნიგოზი ორივეს — საცივისა და გოზინაყის მოსაშადებლად არ გვეყოს-მეთქი, მთელ თვეს მზესუშირას ვარჩევდი. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, ორნაირი გოზინაყი გვქონდა, ნიგეზიანიც და მზესუშირიანიც. საერთოდაც ახალი წელი ოჯახური დღესასწაული იყო და კარგა მოზრდილი ვიყავი, პირველად რომ გავიგე, ვიღაცები ახალ წელს გარეთაც რომ ხვდებოდნენ. ჩემს ბავშვობაში ფეირვერკები სად იყო, სამაგიეროდ... ისროდნენ! ისროდნენ მამაპაპეული ბერდენკიდან დაწყებული, ჯავშანტრანსპორტიორის ტყვიამფრეკვეით დამთავრებული. პისტოლეტები და მამაჩემის პატარა „გეკო“ სათვალავში ჩასაგდებაც არ იყო, მაგრამ ის „გეკო“ ჩემთვის ნამდვილ დღესასწაულს უდრიდა. მამა სამალავიდან ამოიღებდა, შლიდა, წმენდა, ეფერებოდა და მერე ჩვენც ვისროდით — მამა, მე და ჩემი და. სამი ტყვიით ძველი წელი უნდა გაგვეცილებინა და სამითაც ახალს შევგებებოდით და

„ჩემი ბავშვობა 90-იან წლებს დაემთხვა და იმ მომჭირნეობის დროსაც, საცივი და გოზინაყი აუცილებლად გვქონდა“





რაჭველები და სვანები სახალწლოდ საგანგებოდ აცხობენ ლობიანსა და კუბდარს...



მერე შეიდი რომ გამოსულიყო, ბოლოს ისევ მამა ისროდა. ქალაქი კი ომში ჩაბმულს ემსგავსებოდა... მე ახლაც მამისეული თოფი თუ არ ავახმინებ წელიწადში ერთხელ, მგონია, საკუთარ თავს ვღალატობ.

საოჯახო დალოცვების შემდეგ მოდიოდა ხეტიალის დრო. აქ ორად იყოფოდა ხალხი: მოხეტიალეებად და მომლოდინეებად. მე მოხეტიალე ვიყავი. მოხეტიალეები ჯიბეებს ავივსებდით კანფეტებით და გავუდგებოდით გზას ნათესავებისა და მეგობრებისკენ. შემხვედრს აუცილებლად ვეტყოდით, ასე ტკბილად დამიბერდიო და ვაჩუქებდით კანფეტს. და მიდიოდა ამ კანფეტების გაცვლა-გამოცვლა. მეკვლეობისა კიდევ ასე იყო, წინასწარ გითანხმდებოდნენ და ჯერ იქ მიდიოდი. იქიდან იწყებოდა შემოვლა. გაგიმზადებდა დედა დიდ თეფშზე კანფეტებს, ნამცხვარს, გოზინაყს, ჩურჩხელას, მიხვიდოდი და კარში შესვლისას ჯადოსნურ სიტყვებს იტყოდი: „შემოდგი ფეხი, გწყალობდე ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა“. მერე ღვინით და-

ილოცებოდი და პირველი შეთრობაც იქიდან იწყებოდა. მერე კი მიდიოდი და მიდიოდი. კარს ვინ მოგიხურავდა! საცივი, გოზინაყი და ღვინო კიდევ ყველგან იყო. ჩემთვის ახალი წელი საცივის და გოზინაყის ფესტივალია.

მომლოდინეებს იმ ხალხს ვეძახი, სახლში რომ ზის მთელი დღე და ჩვენნაირ მოხეტიალეებს ელოდება და რომ არ აგყვება და არაფრის დიდებით არ გამოგყვება სხვაგან, რადგან იცის, რომ კიდევ მოვლენ და ასე მთელი დღე სტუმრების ერთ წყებას მეორეს უნაცვლებს. ბოლო რამდენიმე წელია, მეც მომლოდინედ გადავიქეცი. დროსთან ერთად ახალი წლის ამბებიც იცვლება. მაგალითად, ჩემი დისშვილი ვრცელ წერილს უწერს თოვლის პაპას და ისიც ყველაფერს აკეთებს ამ სურვილების ასასრულებლად. და რადგან მისი საჩუქრები ბალიშის ქვეშ არ ეტყვა, „ახალი ტრადიციით“ საჩუქრები ამჯერად ნაძვის ხის ქვეშ იყრის თავს. თოფებსაც იშვიათად ისვრიან. აქა-იქ და კანტიკუნტად. სამაგიეროდ, ცა გადანათდება ათასგვარი ფეიერვერკით. ავტომატები, ტყვიამფრქვევები და ნაღმტყორცნები ხომ საერთოდ გაუჩინარდა. ვედარც ტრასირებით წითლად დასერილ ცას დაინახავთ. აღარც ბავშვები ეზიდებიან ციგებით ტონა წყალს. ჩვენებური თოვლის პაპის ჩაცმულობაც გამოიცვალა, ნაბდიან-ფაფახიან-ხურჯინიანი აღარ არის. წითელი შარვლით, შავი ჩექმით, წითელი მოსასხამითა და ხურჯინის ნაცვლად წითელი წინდით დადის. მე ის ჩემი ნაბდიან-ფაფახიან-ხურჯინიანი მიყვარს და ეს წითლებში გამოწყობილი მეუცხოვება, მაგრამ ეს უკვე ბავშვების გადასაწყვეტია...

დალოცვა საზედაფე ღვინით (რაჭა)

რაჭაში დღესაც სჯერათ, რომ როგორადაც დაიყენებენ შობა-ახალ წელიწადს, მთელი წელი იმდაგვარი ექნებათ. ამიტომ ახლაც განსაკუთრებულად ემზადებიან. მთელ კარ-მიდამოს გაალამაზებენ. საშობაოდ ტყეში მიდიან და მარხილით შეშა მოაქვთ, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა საზამთროდ მომარაგებული. ჩინილაკსაც მოამზადებენ და ეზოში მარხილზევე დატოვებენ, საახალწლოდ კი სუროთი, ვაშლით და ხურდა ფულით მორთული შინ შეაქვთ. შობის დილას, ღორს რომ დაკლავენ და წესისამებრ გაასუფთავებენ და დაახარისხებენ (თავს, რა თქმა უნდა, 14 იანვ-

რისთვის, საახალწლოდ შეინახავენ), ოჯახის უფროსი ორგოზე (სარქველზე) ღვინომომდგარ საზედაზე ქვევრს მოხდის და დაილოცება, ღმერთო დამილოცე მონაგარი, ასე საგსე გვაძეოფეო. მეურ ღვინის ერთ ნაწილს ცალკე შეინახავს, ახალი წლის დასალოცადაც.

საახალწლოდ ბაჭულებს ანუ ყველიან პურებს აცხობენ. ასევე აცხობენ კვახკაკლიან ბოღრუანებს; ღორისქონიან შეკეცილებს, ანუ ლობიანებს; ფხლოვანებს, ეროსგულიან ქადიანებს, ნიგვზიან განატეხებს, ადამიანის-სახიან კაც-ბასილებს და ერთ დიდ პურს — კერია ბერიას. ამ ყველაფერს ოჯახის უფროსი ღორის თავთან, თავლთან, გოზინაყთან და სხვა ნუგბართან ერთად ცხრილზე ან ხონჩაზე დაალაგებს და გვიან ღამით ბელელში შეიტანს. დილაუთენია, მამლის ყვივლზე ადგება და ბელელში შუვა, ხონჩას გამოიტანს, სახლში შემოსვლისას სანთელს აანთებს და დაილოცება: — შემოდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ოჯახს ბარაქას, შვილიანობას, ჯანმრთელობას და პურღვინიანობას უსურვებს. ასევე დალოცავს ქოხ-ბოსელს, ნალიასა და ბელელს. ამის შემდეგ წყაროზე მიდის და წყალი მოაქვს, რომლითაც ოჯახის ყველა წევრს ხელ-პირს დააბანინებს და საახალწლო სუფრას შემოუსხდებიან. ამგვარად, ოჯახის უფროსი თავადვეა თავისივე ოჯახის მაკერიელი, ანუ მეკვლე. თუმცა მეკვლედ იმ ადამიანსაც ირჩევენ, ვისაც სოფელში ფეხბედნიერად მიიჩნევენ.

საშობაოდ რაჭაში ახლაც დადიან ალილოზე. არდადეგებზე ჩამოსული ბავშვებიც გულიანად მღერაინ ტრადიციულ ჰაი, ჰაი ალილოს და არის ერთი მხიარულება.

მპილოზის მავიერ

მოკლედ, წინასახალწლოდ ასე მხიარულად მოვიარეთ ღამის მთელი საქართველო. რა თქმა უნდა, ბევრი კუთხე-კუნჭული მოუნახულებელი დავგვრჩა. მიედი გვაქვს, არც გურულები გვიწყენენ, არც მოხვევები, არც ხვესურები თუ თბილისელები, სადაც ერთმანეთში „არეულა“ ქვეყნის ყველა კუთხის ტრადიციები... მათზე სამომავლოდ გიამბობთ.

ეთნოლოგმა ბადრი სულაძემ ალილოს გასენებისას თავისი ახალი საალილოე ლექსი შემოგვთავაზა, რომლითაც ჩვენს რეპორტაჟსაც ვასრულებთ და შობა-ახალწლის ღღე-სასწაულებსაც დაგილოცავთ:

ალილოზე, ალილოზე,
გზა და კვალი დაგვილოცეთ,
თქვენც რომ ღმერთმა სისარული,
ბარაქა და ჯანი მოგცეთ.
მადლი ჭერს და მადლი კერას,
ქოხ-ბოსელს და ბელელსაო,
მარტო ერთი დღე კი არა,
მთელი წელი ექნესაო...
ელესაო-მელესაო,
რაც წვიმამ და მზემ თესაო,
სულ თქვენს კარზე მოუტანოს,
ახალი წლის მეკვლესაო.

წინასახალწლო „მოგზაურობისას“ სალომე შოშიტაშვილს დაეხმარნენ: მაკა სალია (სამეგრელო), ჯანეტ ბუხუღეიშვილი (იმერეთი), მხეკალა ჩანქსელიანი (იმერეთის „სვანეთი“), თიკო კოლოტაშვილი (ქართლი), მიაა ზუნჩუკაშვილი და ტორუსა მოსი (კახეთი) და ბადრი სულაძე (რაჭა).

ფოტოები მოგვაროდეს: მხეკალა ჩანქსელიანი, ჯანეტ ბუხუღეიშვილი და ნათია ბოტკოველი



„საჩუქრებს ნამვის ხესთან მშობლებიც ვალაგებთ და შვილებიც. ეს, ეტყობა, უცხოური ფილმებიდან გადმოვიღეთ“

პირველ მსოფლიო ომში 25 ქართველი გენერალი იბრძოდა

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 100 წლისთავს საქართველოს მუსიკის, კინოს, თეატრისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გამოფენა მიეძღვნა, სახელწოდებით „ქართველები პირველ მსოფლიო ომში“. აქ წარმოდგენილი იყო უნიკალური ფოტომასალა, წერილები, პროპაგანდისტული პლაკატები, ხმლები და სხვა ნივთები, რომლებიც ომში მონაწილე ქართველებს უკავშირდება. მათ შორის იყო გენერლების გიორგი კვინიტაძისა და გიორგი მაზნიაშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და კონსტანტინე გელოვანის ფოტოები. გამოფენაზე წარმოდგენილ გზამკვლევაში ასზე მეტი სხვადასხვა საინტერესო ისტორია და ფოტო შევიდა.



ქართველები პირველი მსოფლიო ომის კავკასიურ ფრონტზე

პირველი მსოფლიო ომი უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო, რომელმაც ასეთივე უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს ბედ-იღბალზე. დაშლილი მონარქიებისა და იმპერიათა ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოები შეიქმნა, მათ შორის საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკაც იყო. თუმცა ჩვენმა ქვეყანამ ამ ომში დიდი მსხვერპლი გაიღო. სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ პირველ მსოფლიო ომში იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის

13%-მა, ანუ დაახლოებით 300 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დაჭრილთა და დაღუპულთა შესახებ ზუსტი მონაცემები დღემდე არ არსებობს, მაგრამ ამ ომმა უამრავი ქართული ოჯახი გაანადგურა. ამას ცხადყოფს 1917 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული ერთი ცნობაც: „თანამედროვე ომმა ჩვენი ქვეყნის ბევრი შვილი შეიწირა, ხშირია ოჯახი, სამი-ოთხი ძმა და მამა-შვილი დაღუპულან ბრძოლის ველზე, ერთი ასეთი ოჯახია ჩვენი ცნობილი გიორგი



გამოფენის ექსპონატები

ყაზბეგისა, რომლის სამი შვილი ახლანდელ ომში დაიღუპა“.

ქართველები სვამთა ომებში

რუსეთი, ინგლისი, თურქეთი, გერმანია — ამ ძლევამოსილი ქვეყნების არმიებში ასობით და ათასობით ქართველი მსახურობდა. ისინი იბრძოდნენ სხვადასხვა დიდი სახელმწიფოს მუნდირებისა და დროშების ქვეშ, მაგრამ სისხლს ღვრიდნენ და თავს სწირავდნენ, პირველ ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის დასაცავად. ვაჟა-ფშაველამ 1915 წელს გამოქვეყნებულ ლექსში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ საუკეთესოდ გადმოსცა ქართველთა საომარი შემართება და იმ შემართების მიზეზიც, რომელსაც ქართველები დიდ იმპერიათა ომებში მიჰყავდა:

ვინც ღაგიჭრენით, გამოვრჩით,
კიდევ ცოცხლები დავრჩითა.
ხვალ ისევ ომში გვიწვევენ,
გაკვირვებულნი გარჯითა,
თამარ დედოფლის ბარტყების
გულოვანობით, მაჯითა.
ვცდილობთ, რომ საქართველოსა
ვუშველოთ ჩვენის ხარჯითა.
სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუხი დავიცავითა.
რუსეთში მყოფი ვნატრულობ,
სამშობლო ვნახო თვალითა.

სახელოვანმა მოაზროვნემ მიხაკო წერეთელმა ასე დაახასიათა პირველ მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობის მოტივი: „ბროლეთარიც კი გმირულად იბრძოდა სამშობლოსათვის, თავისი ერისათვის, თავადთან, ახნაურთან, ბურჟუასთან, გლეხთან ერთად...

ყოველი ერი, სახელმწიფოს არამქონე და უცხო საგან დამონებული, ჩაება ომში ამა თუ იმ სახით და მოითხოვდა მისი პოლიტიკური თვითმყოფადობის აღდგენას და საერთაშორისო ცნობას, როდესაც ზავის შესაკრავად და ქვეყანაზედ კვლავ წესიერების აღსადგენად დასხდებოდნენ გამგენი ამა ქვეყნისანი“.

ომი ბევრისთვის იყო იმპერიათა შეტაკება, ჩვენთვის კი იგი ომზე მეტი გამოდგა. პატარა საქართველოს შვილები ამ ომისგან ბევრს მოელოდნენ. ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ ომის საშუალებით გახდებოდა შესაძლებელი ქვეყანაში თავისუფლების დამკვიდრება, ისტორიული ტერიტორიების შემოერთება, ევროპასთან დაკავშირება და ეკონომიკის დაწინაურება. ქართველობა საომრად იყო დამუხტულ-დაჭიმული... 1914 წლის 27 ოქტომბერს გაზეთ „თემში“ აკაკი წერეთელი წერდა: „ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერ-ჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებითი არა ყოფილა რა! ყველა თავის სურვილ-ნებით და სიხარულით მიისწრაფოდა... დიდი ხნის გულის ნადებმა გრძნობამ სიმღერათ ამოიხეთქა და ტკბილი გუგუნი გადაეცა საქართველოს მთასა და ბარს. ერთი საუკუნეა, რაც ამისთანას არა მოსწრებია-რა საქართველო. დღევანდელ ქართველში გამოიღვიძა წინაპარმა! გმირული სიკვდილი აღარაფრად მიაჩნდა და თავის განწირვით უნდა, რომ სხვების სიკვდილი დასთრგუნოს და მომავალ მოდემას ცხოვრება მიანიჭოს!..“

„ქართველები ღოგბივით იბრძოდნენ“

პირველ მსოფლიო ომში ქართველობამ მსოფლიოს მამაცობის მაგალითები დაანახვა. გენერალ გიორგი კვინიტაძის ცნობით, ომში



თუშები რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე



ნიკოლოზ II ყარსში

მებრძოლი 25 ქართველი გენერლიდან 23 და-
აჯილდოეს წმინდა გიორგის ჯვრით. თავადი
ა. სუმბათოვი აღნიშნავდა, რომ ის ქართველი
ჯარისკაცი, რომელსაც მხოლოდ ერთი წმინ-
და გიორგის ჯვარი ჰქონდა მიღებული, დიდად
პატივსაცემი არ იყო, რადგანაც იმ დროს
მრავლად იყვნენ რამდენიმე ასეთი ჯვრის
მქონე ქართველები. გაზეთი „საქართველო“
თავმოწონებით წერდა: „სამხედრო ჯილდო-
ებს არავისი მხარბეჭი ისე არ დაუმძიმებია,
როგორც ქართველებისა“.

საქართველოს მხედრობის თავდადებით
მოიხიბლა უმაღლესი მთავარსარდალი, დიდი
მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი,
მისი ცნობილი სიტყვებია: „თითოეულ ჩემს
ბრძოლაში ხუთი ქართველიც რომ ერიოს,
ვიცი, როგორ იომებდა ჩემი არმიას“. გე-
ნერალ-ადიუტანტი მიშენკო კი წერდა, რომ
„მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველები,
ახსოვდათ რა წინაპართა ტრადიციული დი-
დება, ლომებოვით იბრძოდნენ“.

ა. სუმბათოვი სიამაყით აღნიშნავდა, რომ
სადაც უნდა ყოფილიყო ქართველი, წინა-
პართაგან ნაანდერძევი მისი მებრძოლი სული
ყველგან ტოვებდა ნაკვალევს. უმამაცესნი
იყვნენ მამაცთა შორის და ეს სიამაყე წარ-
მართავდა მათ საბრძოლო შემართებასო.

თავდადება და... ავანტიურაც

იმპერიისგან თავდასახსნელად, პირველ
მსოფლიო ომში ქართველები ავანტიურასაც
არ ერიდებოდნენ. იხსენებს მწერალ ეკატე-

რინე გაბაშვილის ვაჟი, რევაზი: „1915 წლის
დასაწყისში რუსეთის იმპერიის სამხედრო
მინისტრმა ვასილ დუმბაძეს ფული და შესა-
ბამისი დოკუმენტაცია ჩააბარა და ამერიკის
შეერთებული შტატებისკენ გაისტუმრა, სადაც
მას ამერიკელი მეწარმეებისთვის 15 მილიონი
ოქროს მანეთის ღირებულების ჭურვები და
ტყვია-წამალი უნდა შეეკვეთა. მგზავრობის
მარშრუტი სტოკჰოლმზე გადიოდა, სადაც
რუსეთის იმპერიის ქართველ ჩინოვნიკს გი-
ორგი მაჩაბელი ელოდა.

ვასილ დუმბაძეს მაჩაბელი, სტოკჰოლმის
ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში 1915
წლის დასაწყისში შეხვდა... ერთი თვის შემდეგ
ვასილ დუმბაძე რუსეთში დაბრუნდა და სამ-
ხედრო მინისტრსა და შესაბამის სამსახურებს
15 მილიონის ქვითრები და დოკუმენტაცია
ჩააბარა. დოკუმენტების თანახმად, ამერიკელ
მეწარმეებს რუსეთის სამხედრო სამინისტ-
როსთვის შესაბამისი კალიბრის ჭურვები და
ტყვია-წამალი, სრულად, შეკვეთის მიღებიდან
სამი თვის თავზე უნდა ჩაებარებინათ.

სამი თვის თავზე დამზადებული პროდუქ-
ცია რუსულ მხარეს მართლაც ჩააბარდა. სამი-
ნისტრომ მიღებული პროდუქცია სხვადასხვა
ფრონტს უმოკლეს ხანში დაუგზავნა, რადგან
რუსი არტილერიისტები ჭურვების ძლიერ ნაკ-
ლებობას განიცდიდნენ.

ჭურვები ყუმბარებზე დამშეულ მოწინავე
ჯარებს დაგზავნა საჩქაროდ, რომ წინანდე-
ლი ნაკლი, — ერთ ზარბაზანზე ერთი ყუმ-
ბარა, ერთ საათში (დაახლოებით), — გაეათ

— და ოცკეცებიანთ. მაგრამ პეტროგრადში სეტყვასავით წამოვიდა ყოველი მხრიდან დეპუტები, შიკრიკები, წერილები (დონესენიე): — არც ერთი ყუმბარა არც ერთ ზარბაზანს არ ადგება... ყველა ერთი მილიმეტრით უფრო მსხვილია ლულეებზედაო.

პეტროგრადში ალიაქოთი ატყდა. იყო შებლა-შემოხლა, გამოძიება, კომისიები, კონტროლი, მიწერ-მოწერა ამერიკის მთავრობასა და „ფირმებთან“ და სხვა, სანამ გამოარკვევდნენ, რომ „ამერიკელ ფირმებს“ არც კი გაუგიათ, სიზმარშია არ უნახავთ არც ფული და არც შეკვეთა, არც დუმბაძე, არც სხვა ვინმე „რწმუნებული“...

დუმბაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ქვითრები ყალბი აღმოჩნდა. 15 მილიონი მანეთი ოქროთი ჩაბარდა არა ამერიკის შვერთებულ შტატებს, არამედ რუსეთის მტერ გერმანიას. შეკვეთილი ჭურვები გერმანიამ დაამზადა — თუმცა სხვადასხვა კალიბრის ჭურვები სტანდარტით გათვალისწინებულ ზომას ერთი მილიმეტრით აღემატებოდა“.

დაიწყო კარპატებამდე მისული რუსეთის არმიის კატასტროფული უკანდახევა. საგ-

რძობლად დასუსტდა რუსეთის იმპერიის ფრონტი თურქეთის წინააღმდეგ. სკანდალს შეეწირა იმპერიის სამხედრო მინისტრის კარიერა, ვასო დუმბაძეს კი სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც ნიკოლოზ II-მ კატორღით შეუცვალა. გერმანიის დახვეწვის სამსახურისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა ერთმა ოპერაციამ რუსეთში ე.წ. „პორაჟენული“ განწყობილების გაძლიერება გამოიწვია.

„ცუდად სომ მანინც არ ჩაივლის“

ქართველთა თავდადებას, მათ „განწირულ სულისკვეთებას“ ცუდად არ ჩაუვლია, დიდი ომის დამთავრებისთანავე დაიწყო ახლებური პოლიტიკური რუკის შექმნა და ამ რუკაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც გაჩნდა. მან მხოლოდ სამ წელიწადს იარსება, თუმცა უმძლავრესი ბიძგი მისცა ქვეყნის დამოუკიდებლობის რწმენას, რაც ათწლეულების შემდეგ, საბჭოეთის დაშლის დროსაც ნათლად გამოჩნდა.

გიორგი კალანდია

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

ოლთისის ციხე და რუსეთის კავკასიური არმიის ქვედანაყოფი



დიდებული ქებლები უკვალოდ იკარგებიან?!



საყდრისში ჯერ აფეთქებების ხმა გაისმა, შემდეგ კი მძიმე ტექნიკა მიადგა

საყდრისი ქებლად ოქრომ აქცია და „ოქრომზე“ ბანაობურა

„საყდრისის ბათხრებისას აღმოჩენილი იარაღები ბოლნისის მუზეუმის მუზეუმი ყრია, აწვიმს და ათოვს და ნუშერაციაც კი არ აქვს მინიჭებული“

საყდრისის გარშემო ბრძოლა გრძელდება, თუმცა შეიძლება ითქვას, ძველიდან, თუ მის ისტორიას არ ჩავთვლით, ბევრი აღარაფერი დარჩა. კომპანია „არ-ემ-ჯიმ“ საყდრის-ყაჩაღიანის პირველ სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები 13 დეკემბერს განაახლა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, პირველი აფეთქება დილის 9:00 საათზე მოხდა, მეორე, — 10:33-ზე. მძიმე ტექნიკამ ის ფენა მოანგრია, რომლის მიხედვითაც უცხოელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საბადო ისტორიული ძეგლია...

გვიან შუა საუკუნეებში, ახლანდელი საყდრისის მიმდებარე ტერიტორია აბულმუგის სახელით იყო ცნობილი. სწორედ ასე მოიხსენიებს მას ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. კონკრეტულად ბორცვს ყაჩაღიანს უწოდებდნენ. საყდრისი ამ ადგილს პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში, მის ახლომახლო მდებარე საყდრების გამო უწოდეს.

XX საუკუნის 80-იან წლებში, ბორცვზე პირველადი სამეცნიერო სამუშაოები თეიმურაზ მუჯირის ხელმძღვანელობით წარიმართა. ანგარიშებში პირველად გაჩნდა მოსაზრება აქ შესაძლო პრეისტორიული ნამუშევრების არსებობის შესახებ. მაშინ ინჟინრებმა ოქროს მოსაპოვებლად, დაბაკარეთის მიმდებარე საყდრისის გორაკზე, გვირაბი გაიყვანეს და მთის ქვეშ არსებული

ლაბირინთები, გვირაბები და ბუნებრივი დარბაზები აღმოაჩინეს. მაშინ ისიც გაირკვა, რომ გვირაბების ნაწილი ადამიანის ხელით იყო შექმნილი. ეს იყო ძველი ოქროს საბადო...

2004 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე პირველად არქეოლოგიური კვლევები დაიწყო, 2007 წლიდან 2013 წლამდე კი ბორცვს ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიცია იკვლევდა თომას შტოლნერისა და ირინა დამბაშვილის ხელმძღვანელობით. საყდრისში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო და სამთომომპოვებელი კომპლექსის ანტიკური შესასვლელი ხელახლა გაიხსნა...

მეცნიერთა მტკიცებით, ობიექტი პრეისტორიული ოქროს მადაროა (ძვ.წ. 3350-2500), თუმცა არის განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, მეცნიერები იქ პრეისტორიულ ოქროს მადაროს არსებობას კატეგორიულად გამორიცხავენ.

არქეოლოგების მიერ გვირაბებსა და მისი შესასვლელების გარშემო აღმოჩენილი ანტიკური არტეფაქტების არასრული ჩამონათვალი ასეთი იყო: ქვის წერაქვი, ქვის ჩაქუჩი, მინერალებისა და ქვანახშირის გასაწმენდად განკუთვნილი ცხოველთა ძვლებისგან დამზადებული ხელსაწყოები... მაშინ, ნახშირბადის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა ოქროს საბადოს „ასაკი“ — იგი 5000 წლის წინანდელი აღმოჩნდა. ამ გათვლებით, საყდრისი კაცობრიობის ისტორიაში უძველეს ოქროს საბადოდ აღიარეს — ამ მონაცემების მიხედვით, ქართველებს უძველეს ოქროს მომპოვებლებად ცნობილ ეგვიპტელებზე 1000 წლით ადრე დაუწყიათ მადნის მოპოვება.

ოქროს სიუხვით ცნობილ ქართულ სამეფოებზე ლეგენდები სხვადასხვა ინტერპრეტაციით მუდმივად ვრცელდებოდა და ალბათ არც არის გასაკვირი, რომ 5000 წლის წინანდელი ქართველები ოქროს იმ დროისთვის საკმაოდ კარგი ტექნოლოგიის გამოყენებით მოპოვებდნენ. გვირაბების სიღრმეში აღმოჩენილი ქვანახშირი ადასტურებს, რომ წინარეისტორიული მადაროელები მადნის კლდისგან გამოსაცალკევებლად ისეთ ტექნოლოგიას იყენებდნენ, რომელიც დანარჩენ მსოფლიოში საუკუნეების შემდეგ გავრცელდა.

არქეოლოგთა ვარაუდით, შესაძლოა, ანტიკური სამთომომპოვებლები საყდრისის გვირაბების შესასვლელში, ვენტილაციისთვის კიდევ ერთ ტექნოლოგიურ გამოგონებას, —

ხელის საბერველს იყენებდნენ, რადგან გვირაბებში არსებული სივიწროვე უპაერობას წარმოქმნიდა.

* * *

ყველაფრის მიუხედავად, საყდრისის საბადო არაერთხელ დამდგარა განადგურების საფრთხის წინაშე. 2013 წელს კი კულტურის სამინისტრომ მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოუხსნა — სამინისტროში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით, 2006 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს ძეგლის სტატუსი არასწორად მიენიჭა, რაც მაშინ მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის დარღვევა იყო. კულტურის მაშინდელი სამინისტროს განცხადებით, ეს ძეგლი იყო სპილენძის და არა ოქროს მომპოვებელი საბადო. ხოლო ის იარაღები, რომლებიც აღმოჩენილია საბადოში, იყო უფრო მყიფე, ვიდრე ნიადაგი, რომლის დასამუშავებლადაც იგი იყო განკუთვნილი.

სტატუსის საკითხზე ბოლნისის მუნი-

საყდრისის მადაროებში





საყდრისის ბორცვი განადგურებამდე. მარცხნივ მოჩანს საყდრისის მცველთა კარავი

ციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთოსამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია მუშაობდა. მოგვიანებით კულტურის სამინისტრომ განაცხადა: „დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. სამინისტროში არ მოიძებნა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო არქეოლოგიური ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი“. არადა, ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელის, ირინა დამბაშიძის თქმით, დოკუმენტაცია სამინისტროში მიიტანა, თუმცა მისი კვალი იქ დაიკარგა. კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას მაშინდელ ბრძანებაში ისიც იყო ნათქვამი, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამენდებოდა მუზეუმი, სადაც საყდრის-ყაჩაღიანის საბადოზე აღმოჩენილი მასალა განთავსდებოდა...

2014 წლის 7 იანვარს კულტურის სამინისტროს კომპანია „არ-ემ-ჯისთვის“ მუშაობის გაგრძელების ნებართვა მიცემული არ ჰქონდა, მაგრამ სამუშაოები მაინც განახლდა. კომპანიამ განაცხადა, რომ ეს მოსაშხადებელი სამუშაოები იყო... საყდრისის გარშემო ატეხილი ხმაურის, ქართულ-გერმანული ექსპედიციის ჯგუფის წევრების მიერ ოქროს მოპოვების ექსპერიმენტის ჩატარებისა და უცხოელი სპეციალისტების დაუნიებული მტკიცების მიუხედავად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო მის ისტორიულ მნიშვნელობას ჯიუტად არ აღიარებდა. ერთი სიტყვით, მცირეხნიანი პაუზის შემდეგ, კომპანია „არ-ემ-ჯის“ მუშაობის გაგრძელების უფლება მისცეს...

მარტში საბადოს გარშემო კვლავ ატყდა ხმაური, რადგან „არ-ემ-ჯიმ“ მადნის მოპოვება განაახლა, რასაც საყდრისის დამცველთა კომიტეტის შექმნა მოჰყვა. საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრებმა სადავო ტერიტორიის დასაცავად კარვებიც გაშალეს... შედეგად სამუშაოები კიდევ ერთხელ შეჩერდა, თუმცა ამჯერადაც დროებით. ბოლოს, კომპანია „არ-ემ-ჯის“ სასამართლო პროცესის პარალელურად, ოქროს მოსაპოვებლად მუ-

შობა 13 დეკემბერს გაგრძელდა, ამჯერად, მძიმე ტექნიკის გამოყენებით, რასაც ორი აფეთქებაც ახლდა თან.

საყდრისში სამუშაოების განახლებასთან დაკავშირებით გაცხადება საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმაც გააგრძელა, რომელშიც საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიულ მნიშვნელობაზე საუბარი: „გერმანული მხარისა და სხვა, პარტნიორი დაწესებულებების მიერ ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით მოწოდებული კვლევების საფუძველზე, საყდრისი წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი გერმანიის ბოხუმის სამთო მუზეუმსა (DBM) და სხვა უცხოელ პარტნიორებთან ერთად, 2004 წლიდან წარმართავდა სამთო-მეტალურგიული კერის საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ კვლევებს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე. შედეგად, სამეცნიერო წრეების მიერ, ძეგლი აღიარებულია ოქროს სამთამადნო წარმოების უძველეს კერად მსოფლიოში. ეს გამოიხატა სხვადასხვა დროს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებში. მიგვაჩნია, რომ არქეოლოგიური ობიექტის დღევანდელი საგალალო მდგომარეობა განაპირობა 2013 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად, ოქროს სამთამადნო წარმოების ძეგლს სტატუსი მოეხსნა. ამ ბრძანებას საფუძველად თერთმეტკაციანი კომისიის დასკვნა დაედო, რომლის მომზადებაში არ ყოფილან ჩართული ის ქართველი და უცხოელი მეცნიერები, რომლებიც თითქმის ათი წლის განმავლობაში იკვლევდნენ ძეგლს. 2013 წელს მოხდა საერთაშორისო ექსპედიციის ჯგუფის ძეგლისგან იზოლირება და იმავე წელს არქეოლოგთა სხვა ჯგუფმა ჩაატარა სამუშაოები, რომლის შედეგადაც ძეგლის ნგრევის პროცესი გააქტიურდა. ჩვენს მეცნიერებს არ ჰქონდათ საშუალება არათუ ჩართულიყვნენ მიმდინარე სამუშაოებში, ინფორმაციათაც არ ფლობდნენ ძეგლზე მიმდინარე პროცესების შესახებ“.

თომას შტოლნერი (საყდრისის ექსპედიციის ჯგუფის ხელმძღვანელი, ბოხუმის უნივერსიტეტის მეცნიერი): — თუ საქართველო ამ ძეგლს დაკარგავს, ამით მისი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს დაემშვიდობება, რადგან

არქეოლოგიასა და მეცნიერებას ამ საოცარ ძეგლთან წვდომა აღარასოდეს ექნება. ეს საბადო, მთლიანობაში, პოლიმეტალურია. ეს ქება მთელ იმ რეგიონს: ბოლნისს, საყდრისს, მადნეულს. ცხადია, ამ საბადოში არის სპილენძი, მაგრამ სპილენძი ღრმა შრეებშია, 20-40-60 მეტრის სიღრმეზე. ჩვენ არ გვინტერესებს სპილენძი, რომლის სულფიდურ საბადოსთან გვაქვს საქმე. სპილენძთან ერთად იქ გვხვდება ტყვია, თუთია და ძვირფასი ლითონები. მაგრამ საბადოს ზედა, როგორც მას უწოდებენ ხოლმე, „რკინის ქუდის“ ნაწილში, ყაჩაღიანის ბორცვშიც, რომელიც შვეიცარულია, არის არა მხოლოდ რკინის ოქსიდები, არამედ ძვირფასი ლითონების, ამ შემთხვევაში, ოქროსა და ვერცხლის მინარევი. ოქროს თვითნაბადი მინარევი ამგვარი საბადოსთვის ტიპურია. კომპანია „არ-ემ-ჯის“ ხომ ოქროს აინტერესებს, ამიტომაც მოიპოვებს იქ მას და არა სპილენძს. მადნეულის საბადოს მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს წინარე

საყდრისის მალაროში გვირაბების როული სისტემა იყო



მოსახლეობისთვის ძვ.წ. IV ათასწლეულში. ამის ზუსტად დამტკიცებაც შეგვიძლია. პრეისტორიულ პერიოდში, ანუ IV ათასწლეულში, მოპოვება ხდებოდა იმ მარღვებში, სადაც ოქროს შემცველობა მაღალი იყო, ტონაზე დაახლოებით 200-250 გრამი, რაც ძალიან მაღალი შემცველობაა. ცხადია, ამ საბადოებში ოქროს შემცველობა სხვადასხვა შრეში განსხვავებულია: ზოგან მეტია, ზოგან — ნაკლები.

— რა გაძლევთ იმის ფიქრის საფუძველს, რომ ის უძველესია მსოფლიოში ამ სახის საბადოებს შორის?

— ეს აშკარაა. ჩვენ სამთამადნო სფეროს კვლევის არქეოლოგები ვართ. 25 წელიწადია საბადოებში ვაწარმოებ არქეოლოგიურ მუშაობას. როცა არქეოლოგი რამეს პოულობს, რის დათარიღებაც ხერხდება, ასეთ ნივთს „დახურულ ნივთს“ ვუწოდებთ. საყდრისში სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. იქ, საბადოს ქვედა ნაწილში, არის ხელუხლებელი შრეები მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდიდან. ეს არის ძვ.წ. IV ათასწლეული, მეოთხის შუა ხანა, ან მისი ბოლო პერიოდი. ამ რაიონში, იმ შრეებში, რომლებიც უცვლელია, გავთხარეთ და ავიღეთ კერამიკისა და ხის ნაწილების ნიმუშები, რომლებიც ამ პერიოდს განეკუთვნებიან. აქედან დაგასკვინით, რომ ამ ადგილას მაშინ ოქროს მოიპოვებდნენ. რადგან ამგვარ კვალს საბადოს ყველა მონაკვეთში ვაწყდებით. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ საბადოს პირველი ფაზა ძვ.წ. IV ათასწლეულით თარიღდება. და ეს არის მსოფლიოში სამთამადნო წესით ოქროს მოპოვების ჩვენთვის ცნობილი უძველესი ადგილი. ეგვიპტეში ამის დასტური დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება, ანუ თითქმის ათასი წლით ახალგაზრდაა და თან ტექნიკური თვალსაზრისით საყდრისს ჩამოუვარდება.

ირინა ღამბაშიძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი): — საყდრისი ამ დროისთვის მსოფლიოში უძველესი ოქროს მოპოვების კერაა, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება. ანუ ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების სახელმწიფოებრიობის სათავეები, როდესაც იწყება ოქრო ძიება და მისი სამთო წესით მოპოვება. ეს ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპია და 55 საუკუნის ისტორია აქვს. ასე რომ, საყდრისი შეიძლება გაანადგურონ, მაგრამ ის-



„მხოლოდ სიმართლით ვერ შევძელით საყდრისის დაცვა“

ტორია დარჩება. უბრალოდ, არასერიოზულია ლაპარაკი, რომ ეს ძველი სპილენძის მომპოვებელი საბადო იყო. ასეც რომ ყოფილიყო, ამით მისი მნიშვნელობა მაინც არ მცირდება. არქეოლოგიური ძეგლის შესწავლისას 10 ათასამდე ქვის იარაღია აღმოჩენილი და კიდევ ბევრია აღმოსაჩენი, რადგან ძეგლის ძალიან მცირე ნაწილია შესწავლილი... რა გითხრათ, სამწუხაროდ, მხოლოდ სიმართლით ვერ შევძელით საყდრისის დაცვა. მისი აფეთქებით, საქართველოს კულტურასა და რეპუტაციას დიდი ზიანი მიადგა, არ მგონია, რომ მისი აღდგენა უფრო იაფი დაჯდეს, ვიდრე საყდრისიდან მოპოვებული ოქროს ფასი.

ნინო ბურჭულაძე (საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრი): — საქმე ის არის, რომ შემდეგი სასამართლო პროცესი 12 იანვარს იყო დანიშნული, თუმცა, ამის მიუხედავად, კომპანია „არ-ემ-ჯიმ“ ორი აფეთქება განახორციელა... იქ მისულებს ასეთი სურათი დაგვხვდა, — ე.წ. კოდალები იყო ბორცვზე შეყენებული და ნგრევა გრძელდებოდა. ჩვენ იქამდე მისვლის უფლება არ მოგვცეს, მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ მაღაროში ჩასასვლელი გვირაბები, ბუნებრივი დარბაზები და ლაბირინთები აღარ არსებობს, მთლიანად მოსწორებულია. შიგნიდან ააფეთქეს. კომპანია „არ-ემ-ჯიმ“ წერტილოვანი აფეთქებები განა-



ხორციელა, რომლის შედეგადაც ისტორიული კვალი კი არა, ხელმოსაჭიდი არაფერი დარჩა.

— არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი იარაღები მუზეუმში უნდა განთავსებულიყო...

— ეს ნივთები ბოლნისის მუზეუმის ეზოში ყრია, აწვიმს და ათოვს და ნუმერაციაც კი არ აქვს მინიჭებული... ლაპარაკობენ, რომ ძველი განადგურების პირას იყო, ვერ გადარჩებოდა და იქ ყოფნა საფრთხის შემცველი იყო. მაგრამ საყდრისის მდაროში ეწყობოდა ექსკურსიები, მიჰყავდათ სტუდენტები, მედია, ეკონომიკური ექსპერტები, არქეოლოგები...

ნიკოლოზ ანთიძე (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უფროსი): — ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვიც არ გვაპრება, რადგან ყველა პროცესი, რითაც სტატუსის საკითხი იყო გადაწყვეტილი, გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. სამართლებრივი აქტები კი საკანონმდებლო მაცნეში 12 დეკემბერს გამოქვეყნდა. საქმე ის არის, რომ ამ საკითხში მონაწილეობდნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები. საბჭოზე იყო განხილული ობიექტის მდგრადობის საკითხები, ასევე, ეროვნული მუზეუმის მზაობა, რომ ახალი მუზეუმი აშენებულიყო, ეროვნული მუზეუმის მიერ იმის გაზიარება, რომ იქ არქეოლოგია ძალიან დიდ საფრთხეებს შეიცავდა. უახლოვს

პერიოდში ვაპირებთ, ეს დასკვნითი დოკუმენტები მიწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს. ცნობისთვის, მსოფლიოში მსგავსი ფაქტების არაერთი შემთხვევაა. მაგალითად, 3 წლის წინ, საფრანგეთში ცეცხლის უძველესი კერის შენარჩუნება ვერ მოხდა და მისი ისტორიული მნიშვნელობა სხვა სამუზეუმო სივრცეში იქნა გამოყენებული.

არჩილ კბილაშვილი (კომპანია „არ-ემ-ჯის“ ინტერესების დამცველი სამართლებრივ საკითხებში): — კომპანია არ დაობს, რომ საყდრისის ობიექტი უძრავი არქეოლოგიური ობიექტია, თუმცა მას ვარძიას, მოწამეთასა თუ სვეტიცხოველს ვერ შევადარებთ. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, თუ ობიექტს ადამიანის კვალი ეტყობა და საუკუნეზე მეტია გასული, ის ავტომატურად არის არქეოლოგიური ობიექტი. მოცემულ შემთხვევაში, მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამბობს, რომ ის პრეისტორიულია, მეორე კი არ ეთანხმება, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ არის არქეოლოგიური ობიექტი. რამ განაპირობა მისი არქეოლოგიური ობიექტობა? — ოდითგანვე ადამიანის სწრაფვამ ოქროსკენ, სიმდიდრისა და ფულისკენ; ადამიანი ცდილობდა გამდიდრებულიყო — ოქრო მოეპოვებინა. კანონის გადასახედიდან მოტივს მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანის კვალია და იგი არქეოლოგიური ობიექტია, მაგრამ თუ ღირებულებით სისტემაში დავინახავთ, მე მას ვერ შევადარებ ვარძიას, რომელიც ქართული სახელმწიფოს თავდაცვის ციტადელია, ვერ შევადარებ მოწამეთას, სვეტიცხოველს თუ სხვას, რომლებიც სულიერების უდიდესი კერებია. ანუ, კანონი მას იცავს, მაგრამ დგება ღირებულებითი კონფლიქტი: სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები და არქეოლოგიური ობიექტი, ოღონდ თავისი ხარისხით დაკავშირებული ფულთან, ოქროსთან... ისმის კითხვა, რატომ არ უნდა გამოიყენოს დღევანდელმა თაობამ ის მადანი და სიმდიდრე, რომელსაც უხსოვარ დროს ჩვენი წინაპარი იყენებდა...

P.S. როგორც ჩანს, საყდრისის თემა კიდევ კარგა ხანს ააღვლევს საზოგადოებას, ამ უძველესი ძეგლის დანგრევა-არდანგრევის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს. ჩვენც შეძლებისდაგვარად მივაღწევნებთ თვალს ამ პროცესს და მკითხველს შეულამაზებელ სიმართლეს მივაწვდივთ.

ლალი პაპასკირი


„ომი და მეომრები“



საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის მესამე ტომი, რომელიც „ომსა და მეომრებს“ დაეთმო, უკვე მკითხველთა „სამსჯაჯურობეა“. წიგნი გაზუთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად იყიდება და ისევე როგორც ამ სერიის პირველი ორი გამოცემა — „მეფე თამარი“ და „თბილისის ისტორია“, უკვე სარგებლობს მკითხველის მოწონებით.

ისევე როგორც პირველი ორი წიგნი, „ომი და მეომრები“ პროექტის ავტორმა, პროფესორმა ჯაბა სამუშიამ შეადგინა. წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „საქართველო თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით უძველესი დროიდან იზიდავდა დიდ იმპერი-

ებს, რომლებიც ძალუმაღ ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში გაბატონებას. ამიტომაც, ქართველ კაცს ოდითგანვე ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში კი — გუთანი. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ისტორია, ეს არის „ომების ისტორია“. ქართველი ერის



სააღო ტექნიკა ძველ საქართველოში

ორი საუკუნე ქართველი კაცი ებრძოდა რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა რუსეთს. სად არ დაღვრილა ქართველი მეომრის სისხლი — უდიდესი სახელმწიფოების სამხედრო არისტოკრატის მნიშვნელოვან ბირთვს შეადგენდნენ საქართველოდან ძალით წაყვანილი მეომრები. ქართველ კაცს პატარაობიდანვე უნერგავდნენ საბრძოლო სულს. ამას მოწმობს საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა სახის სპორტული და სახალხო თამაშობები, რომლებიც სამხედრო ელემენტებს შეიცავს“.


წიგნი გამოცემილია „პალიტრა L“-მა გამოსცა. პროექტს პარტნიორობას უწევს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ეროვნული არქივი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. სწორედ მათი დახმარებით, თითოეულ ტომში თავს იყრის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი და დოკუმენტი, არტეფაქტებისა და ისტორიული წყაროებიდან მოდიებული მასალების ფოტოგრაფიები და

სააღო საბრძოლო მანქანების არსებობის შესახებ ქართველებს ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში უნდა შეეტყოთ



თავგადასავლის ამსახველი უპირველესი კრებული, „ქართლის ცხოვრება“, პირველივე გვერდიდან ბრძოლებზე მოგვითხრობს. უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართველ კაცს 800-ზე მეტი პატარა თუ დიდი ბრძოლა ექნება გადახდილი. ჩვენს წინაპარს უბრძოლია ასურეთისა და ურარტუს სახელმწიფოსთან, ბერძნებთან, ირანელებთან, რომაელებთან, ბიზანტიელებთან, არაბებთან, თურქ-სელჩუკებთან, მონღოლებთან, თურქ-ოსმალებთან და სეფიანთა ირანთან. თითქმის

ქართველი მეომრები



უამრავი საინტერესო მასალა, რომლებიც ამ წიგნებს ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს.

ისტორიულ მასალებთან ერთად, წიგნში არაერთი საინტერესო ილუსტრაციაა, რომელთა შექმნაზეც მუშაობდნენ მხატვრები: ლევან სილაგაძე, ანდრო ამბარცუმიანი, ვაჟა ქურხული, ირაკლი ცაბაძე. რუკები შეადგინა კარტოგრაფმა მანანა შეყილაძემ.

როგორც მკითხველმა უკვე იცის, „საქართველოს ილუსტრირებული ისტორია“ 24-ტომიანია. ყოველი მორიგი ტომი თვის დასაწყისში მიეწოდება „კვირის პალიტრის“ მკითხველს სპეციალურ ფასად, შემდეგ კი „ბიბლუსის“ მადაზიებში გაიფილება. ასე რომ, ამ სერიით დაინტერესებულთ კიდევ არაერთი შეხვედრა ელით ჩვენი ქვეყნის წარსულთან.


„ისტორიანი“

ქართველი მეომრები ბრძოლისთვის ემზადებიან



ქართულ მეფეთა ხელრთვანი

თამარ მეფემ თორმეტ ბელათელ მწირს მუდმივ საზრდოდ ჭირვილა გაუჩინა




დავით აღმაშენებლის ავტოგრაფი. სინას მთა, წმინდა კვატერინეს მონასტერი. ტექსტი ასე იკითხება: „ქ. (უნდა იგულისხმებოდეს ქრისტე) მე დავით უნარვევსმან მონამან ხელითა მონითა ქრისტესთა მან ვანვეზავენე წიგნი ესე მთას წმიდას სინას, ვინც მოიხმარებდეთ ღლოცვა ყავთ ჩემთინ“


ხელრთვა, რომელიც დღევანდელი მნიშვნელობით ხელმოწერას, იმავე ავტოგრაფს ნიშნავს, დოკუმენტს იურიდიულ ძალას ანიჭებდა და ისტორიული საბუთის აუცილებელ ატრიბუტს შეადგენდა. ხელრთვები ეკუთვნოდნენ გამოჩენილ ისტორიულ პირებს, რომელთა პირადი ხელმოწერის ან წერილობითი დასტურის გარეშე ნებისმიერი დოკუმენტი დაკარგავდა იურიდიულ-სამართლებრივ მნიშვნელობას და უბრალო, ფრატინა ქაღალდად იქცეოდა. ვესაუბრებით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის დოქტორ მანია შაორვაძეს.

— ქალბატონო მანია, ადრეულ საუკუნეებში სად ინახებოდა საარქივო მასალები და როგორ მოაღწია ჩვენამდე?
— წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართული საბუთების რაოდენობა მეტად დიდი უნდა ყოფილიყო. მეფეებს, კათოლიკოსებს, ეპისკოპოსებს, დიდ ფეოდალებს, ერისთავებს ჰყავდათ თავიანთი მწიგნობრები და მწიგნობართუხუცესები. საბუთები ინახებოდა სამეფო, საკათალიკოსო, ფეოდალთა საგვარეულო არქივებში, რომლებიც საქართველოში VI საუკუნიდან დასტურდება და რომლებიც განადგურდა მტრების თარეშისათუ სხვა მიზეზების შედეგად. უკანასკნელად, ქართული არქივები I მსოფლიო ომის დროს განადგურდა ჩრდილოეთ კავკასიაში მათი ევაკუაციისას.

— ძველი ქართული დოკუმენტების გამოცემაზე არაერთი ცნობილი ქართველი მეცნიერი მუშაობდა.
— ქართული დოკუმენტები სხვადასხვა დროს გამოსცეს გამოჩენილმა მეცნიერებმა: მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ, ალექსანდრე ხახანაშვილმა, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, სარგის კაკაბაძემ, პავლე ინგოროყვამ, ნიკო ბერძენიშვილმა, ქრისტინე შარაშიძემ, ისიდორე დოლიძემ, ალექსანდრე ცაგარელმა და სხვებმა. ივანე ჯავახიშვილმა ქართული საბუთების კვლევას ცალკე ნაშრომშიც მიუძღვნა („ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“).
— რომელი საუკუნიდან გვხვდება ქართულ მეფეთა ხელრთვები და როგორ განმარტავთ ტერმინს „ხელრთვა“?



1189 წელს მანდატურთუხუცეს ჭიაბერის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი დაწერილი სიკელის თავში მეფე თამარის ხელრთვა. „ქ.ქსე, მანდატურთუხუცესისაგან შეწერილი განაჩენი, ჩემანცა მტკიცეა“.



თამარ მეფის ხელრთვა

— ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებზე მოთავსებულ ქართველ წმინდა მეფეთა ხელრთვებს XI საუკუნიდან ვხვდებით. საბუთის ბოლოში ეწერებოდა თარიღი და დამწერის ვინაობა. როცა საბუთს მისი გამცემი ხელს აწერდა და ამტკიცებდა, ამას ეწოდებოდა „ხელის ჩართვა“ ანუ „ხელრთვა“ (ავტოგრაფი). მეფის ხელს „საუფლოი ხელი“ ეწოდებოდა.

შედარებით მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი XI-XIII საუკუნეების მეფეთა ხელრთვები, ხოლო XIV-XVIII საუკუნეებიდან ბაგრატიონთა ავტოგრაფიული ხელრთვები დიდი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან.

წმინდანად შერაცხილი მეფეებიდან ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ დავით აღმაშენებლის (ფოტონეგატივი), თამარ მეფის, ლუარსაბ II-ისა და სოლომონ II-ის ხელრთვები.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) დამტკიცება და ხელრთვა შემონახულია ორ ძველ ქართულ წერილობით ძეგლზე — დავით აღმაშენებლის ანდერძზე შიომღვიმის მონასტრისადმი და სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერზე.

— გავსხენით მკითხველს შიომღვიმის მონასტრისადმი გაცემულ საბუთზე დავით აღმაშენებლის ხელრთვის ისტორია.

— 1124 წელს, შირვანში ლაშქრობის წინ, მეფე დავით აღმაშენებელმა შიომღვიმის მონასტერი და წმინდა შიოს საფლავი მოილოცა. მან შეწევნა სთხოვა „წმიდასა მამასა შიოს“ და არსენი ბერისა და თავისი სულიერი მოძღვრის, იოვანე ბერის რჩევითა და თხოვნით, მონასტერს ახალი წესდება (ტიპიკონი) განუწესა, დაუმორჩილა უშუალოდ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს, განუახლა ძველი შეწირულობები და შესწირა დიდძალი ქონება. ამ ფაქტის აღსანიშნავად შეიქმნა მნიშვნელოვანი წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც ანდერძი ეწოდება. საბუთი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ მისი ტექსტი იწყება და მთავრდება მეფის ხელით დაწერილი სიტყვებით, რომლებიც მხედრულითაა შესრულებული, დანარჩენი ტექსტი კი დაწერილია ნუსხა-ხუცურით.

ეს საბუთი ჯერ შიომღვიმის მონასტერში, შემდეგ კი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში და ბოლოს სხვადასხვა სიძველეთსაცავში ინახებოდა, მაგრამ 1919 წელს დედანი განადგურდა ჩრდილოეთ კავკასიაში განიზვნისას, იქ მიმდინარე სამოქალაქო ომის პირობებში. გადარჩა მხოლოდ საბუთის მცირე ნაწილი, რომელიც 1923 წელს საგანგებოდ მივლინებულმა პროფესორმა სარგის კაკაბაძემ სამშობლოში დააბრუნა და ამჟამად საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება. რადგან ეს ნაფლეთი დედნის შუა ნაწილს

შეადგენს, ბუნებრივია, მასზე წმინდანი მეფის ხელრთვა ვერ მოხვდებოდა. საბედნიეროდ, საქართველოს სიძველეთსაცავებში აღმოჩნდა სამეცნიერო ღირებულებით არანაკლებ ძვირფასი შიომღვიმის ანდერძის ფოტონეგატივები.

1) საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოთეკაში 1973 წელს აღმოჩნდა რამდენიმე ქართული ისტორიული საბუთის ფოტონეგატივი. მათ შორისაა დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. ეს ფოტოები ცნობილ ისტორიკოს თედო ჟორდანიას შუუკვეთავს ფოტოგრაფ ალექსანდრე როინაშვილისთვის, თუმცა ვეღარ გამოუქვეყნებია. ნეგატივზე აღმოჩნდა ტექსტის მხოლოდ ორი მესამედი, მასში მოხვდა წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის ხელით დაწერილი ბოლო სტრიქონი, რომელიც მეფის ხელრთვასაც შეიცავს.

2) 1880 წელს თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელს, მღვდელ იოსებ ახალშენაშვილს, სხვა დამწერლობის ნიმუშებთან ერთად, გასანთლულ ქაღალდზე გადაუღია დავით აღმაშენებლის ანდერძის პირველი და ბოლო სტრიქონების პალეოგრაფიული ასლები. ეს მასალა ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. გაირკვა, რომ პირველ სტრიქონში წერია: [ქ. თავსმდებო]ბითა ღ(მრ)თისაითა მე, დ(ავი)თს მიწყიეს. ბოლო სტრიქონში წერია: ქ. სიმტკიცეო ყ(ოვე)ლთაო ღ(მერ)თო, დ(ა)ამტკიცე, მტკიცედა უქციე.

მეორე ხელრთვა წმინდა დავით აღმაშენებლისა მიკვლეულია სინას მთის მონასტრის სამოციქულოზე.

— რამდენი საბუთი მოიპოვება თამარ მეფის ხელრთვით?


— თამარ მეფის ხელრთვა არის სიგელზე თამარ მეფისა გელათის მონასტრისთვის (1187 წ.), დაწერილზე ჭიაბერ ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი (1189 წ.) და სიგელზე თამარ მეფისა შიომღვიმის მონასტრისადმი (1196 წ.).


თამარ მეფის სიგელი გელათისადმი ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში, მაგრამ დედანი დაზიანებულია. ეს საბუთიც, სხვა დაზიანებულ საბუთებთან ერთად, გადარჩენილი და დაბრუნებულია საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან 1923 წელს. საბუთის ტექსტის მიხედვით, გელათის თორმეტი მწირისთვის მეფეს გაუჩენია მუღმევი საზრდო — „არგუეთში

ჭორვილაი“... საბუთს ამტკიცებს რამდენიმე პირი: მეფე დავით სოსლანი, ადგილობრივი ხელისუფალი დავით ერისთავი, ქართლის კათოლიკოსი თეოდორე და სხვ. თუმცა ყველა დამტკიცება დაზიანების გამო მოღწეული არ არის. ამ დამტკიცებებს წინ უძღვის წმინდა თამარ მეფის ვრცელი კალიგრაფიული მხედრულით დაწერილი ხელრთვა: მოვიყვანთ მის ბოლო ნაწილს: ქ. ესე, ჩემდა სადიდებ[ლად ჩემგა]ნ სასოებით და გულსმოდგინებით ჩემისა საქმისა განაჩენი, ჩემითა ხელითა ცოდვი[ლითა დამიმტკიცებთა. ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან ბრძანება [და სიგელი ესე ჩუენი] მტკიცე შეცვალოს, შენ ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, მისა შენისა [და] სულისა წმიდისა მგმობართა თანა დასაჯე იგი და ჩემთა ცოდვათა და ბრალთა მზღვეთა იგი დღესა განკითხვისასა და სიტყუაი იგი მას ზედამცა აღესრულებს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“.

თამარ მეფის ორსტრიქონიანი ხელრთვა ახლავს ჭიაბერის დაწერილს შიომღვიმის მონასტრისადმი. საბუთი თარიღდება 1189

ლუარსაბ II-ის ხელრთვა. მეფის ავტოგრაფი დამოწმებულია ბეჭდით. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში





მარიამ დედოფლის ხელრთვა სოლომონ II-ის მიერ 1809 წელს ჯრუჭის მონასტრისთვის გაკემულ სიველზე (იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მიერ მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნი)

წლით, რადგან ჭიაბერს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობა ამ წელს შეიძლება ჰქონოდა, რადგან მანამდე ამირსპასალარი იყო გამრეკელი თორელი, ხოლო ამის შემდეგ ზაქარია მხარგრძელი, რომელიც მანდატურთუხუცესიც გახდა.

ჭიაბერი ამ საბუთში მეფეს სთხოვს ჟინოვანის მკვიდრი გლეხები (იგულისხმება თანამედროვე ჟინვალი და მისი შემოგარენი, რომელიც სამეფო საკუთრება იყო და ჭიაბერს დროებით საკუთრებაში ჰქონდა), თავისი სახლითა და მამულით შიომღვიმეს შესწიროს, რისთვისაც ისინი ყოველ წელს მონასტერს თხუთმეტ ლიტრა ცვილს მისცემდნენ.

თამარ მეფის ხელრთვა აღნიშნულ საბუთზე შემდეგია: **ქ. ესე, მანდატურთუხუცესისაგან / შეწირულ-განაჩენი, ჩემგანცა მტკიცეა.**

მესამე ხელრთვა წმინდა თამარ მეფისა მოიპოვება შიომღვიმის სხალტბურ სიველზე. საბუთი გაკემულია 1196 წელს. ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელ მთავარეპისკოპოსს წყალი გამოუყვანია სოფელ სხალტბიდან, ამ წელის სათავესთან სამეფო გლეხები სახლობდნენ, რომელთა შესახებაც ანტონი თამარ მეფეს თხოვს, ეს გლეხები მას უბოძოს და მათ ისევ მონასტერს შესწირავს. მეფე ამასე დათანხმებულია.

საბუთის დედანი 1919 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწვა ზემოთ აღნიშნული მოვლენების დროს, მაგრამ 1973 წელს აღმოჩნდა დოკუმენტის ფოტონეგატივი.

საბუთს ახლდა რამდენიმე ხელრთვა: თამარ მეფის, შიომღვიმის კრებულის, ანტონ ჰყონდიდელის, ქართლის მთავარეპისკოპოსის. თამარ მეფის ხელრთვის შინაარსი ასეთია: **ქ. მტკიცე ყოს ღ(მერთმა)ნ შეუცვალებლად.**

— თქვენი აზრით, შიომღვიმის მონასტერი რატომ სარგებლობდა ქართველ მეფეთა ასეთი განსაკუთრებული პატივისცემით?

— შიომღვიმის მონასტერი ქართველ მეფეთა მონასტრად ითვლებოდა, თანაც თბილისთან ახლოს იყო. ქართველ მეფეებს წმინდა შიომღვიმელი უდიდეს წმინდანად მიაჩნდათ და მის საფლავზე შეწვევის მისაღებად მიდიოდნენ.

— ისტორიამ შემოგვინახა კიდევ ორი წმინდა მეფის, **ლუარსაბ II-ისა და სოლომონ II-ის ხელრთვები. კარგი იქნებოდა გავგეხსენებინა მათი ცხოვრება.**

— ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება წმინდა მეფე ლუარსაბ II-ის მიერ გაკემული არაერთი საბუთი, რომელთაც მეფის ხელრთვა-დამტკიცებანი ახლავს. ქართლის მეფე ლუარსაბ II (1606-1615 წწ.) იყო მეფე გიორგი X-ის ძე. მამის გარდაცვალების შემდეგ, თბილისში მყოფმა შაჰ აბას I-მა ტახტზე 14 წლის ლუარსაბი დაამტკიცა. მისი გამეფებისთანავე ქართლ-კახეთში ოსმალთა ბატონობა ყიზილბაშთა ბატონობით შეიცვალა.

1609 წელს ოსმალეთის ჯარი ქართლში შემოიჭრა. ლუარსაბ მეფე ცხირეთის ციხეში იყო გამაგრებული. ამ დროს ხდება ცნობილი ამბავი, როცა მტერმა ციხისკენ მიმავალი გზის ჩვენება თევდორე მღვდელს უბრძანა, ვინაიდან ყოველ წამს გადამწვევტი მნიშვნელობა ჰქონდა, მან გზა აურია მტერს, რისთვისაც ის ოსმალებმა ხმლებით აკაწვეს. ბრძოლა მოხდა ტაშისკართან, სადაც ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

1610 წელს ლუარსაბი შაჰს ეახლა ირანში. შაჰმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და თბილისის ციხე დაუბრუნა. 1611 წელს ლუარსაბმა ცოლად შეირთო აზნაურ გიორგი სააკაძის და, რომელსაც დიდ თავადთა მოთხოვნით მალე გაყარა. ამის შემდეგ მას ცოლი აღარ შეურთავს. მეფე შაჰის საწინააღმდეგო პოლიტიკას ეწეოდა. 1612 წელს შაჰ აბასმა ლუარსაბ II და თეიმურაზ I ნადირობის საბაბით მაზანდარანს დაიბარა, მაგრამ ისინი არ ეახლნენ.

1613 წელს შაჰმა საქართველოზე ილაშქრა, მეფეები იმერეთში გადავიდნენ. 1614 წელს ქართლის გადარჩენის მიზნით მეფე ლუარსაბი შაჰს ეახლა. შაჰმა იგი დაატყვევა და ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. 1622 წელს შაჰ აბასმა იგი გულაბ-ყალას ციხეში მშვილდის საბლით მოახრჩობინა. მისი წმინდა სხეული ციხის ეზოში დაკრძალეს. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. მეფის შესახებ ბერი ეგნატაშვილი შემდეგს აღნიშნავს: „არსად გამოსულა ამისთანა შუენიერი და შემკობილი კაცი, ყოვლისა სამღთო — საკაცობოთ ზნეობით გათავებული და უკლები“. მისი მცირე ხნით მეფობის მიუხედავად, მოიპოვება მის მიერ გაცემული არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საბუთი, რომელთაც მეფის ხელრთვა ამშვენებს.

არსებობს აგრეთვე იმერეთის მეფე სოლომონ II-ის (1789-1810 წწ.) მიერ გაცემული საბუთები, რომელიც აგრეთვე წმინდანად შერაცხა საქართველოს ეკლესიამ. სოლომონ II ერეკლე II-სა და სოლომონ I-ის პოლიტიკური კურსის გაგრძელებას ცდილობდა. მისი მეფობის დროს, 1790 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სოლომონ II, გრიგოლ დადიანი და სიმონ გურიელი ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, მხარს უჭერდნენ ერეკლე II-ს და მას ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობას. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. რუსეთის დახმარების იმედი არც ამჟღავნად გამართლდა.

სოლომონ II პირველ რიგში ურჩ მთავართა და თავად-აზნაურთა თავგასულობას შეებრძოლა და წარმატებითაც, თუმცა 1803 წელს სამეგრელოს მთავარმა რუსეთის მფარველობა მიიღო, რაც ნიშნავდა, რომ რუსეთი მას იმერეთის სამეფოს გაუქმებისთვის ბრძოლაში გამოიყენებდა. სოლომონი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობდა და ამასთანავე, ოსმალეთშიც გზავნიდა ელჩებს დახმარების სათხოვნელად. 1804 წელს რუსები იმერეთში შეიჭრნენ. სოლომონი იძულებული გახდა, რუსეთის ქვემეგრდომობა მიეღო, თუმცა მთელი ცხოვრება იბრძოდა რუსეთის ბატონობისგან თავის დასაღწევად.

1810 წელს რუსთა ჯარი იმერეთისკენ დაიძრა, მოსალაპარაკებლად მისული მე-



სოლომონ II-ის ხელრთვა მის მიერ 1809 წელს ჯრუჭის მონასტრისათვის გაცემულ სიგელზე

ფე დაატყვევეს და თბილისში ჩაიყვანეს, საიდანაც პეტერბურგში უპირებდნენ გადაგზავნას, მაგრამ ერთგული მსახურის სამოსში გადაცმულმა გაპარვა მოახერხა და 25 თანხლებთან ერთად ახალციხეში გადავიდა. დაიწყო აჯანყების მზადება რუსეთის წინააღმდეგ. იმერეთის გაერთიანებული ჯარის წინააღმდეგ რუსეთმა 3 200 ჯარისკაცი გამოგზავნა. პირველი შეტაკება სოფელ საქარასთან მოხდა. ქართველებმა შეაჩერეს მტერი სოფელ კორტოხთან და ქუთაისის ციხეს ალყა შემოარტყეს. რუსებმა ახალი ძალები დაიმატეს და იმერეთის 5000-კაციანი ჯარი დაამარცხეს. მეფემ უკან დაიხია და რუსები ქუთაისში შევიდნენ. იმავე წელს გააუქმეს იმერეთის სამეფო და რუსული მმართველობა დაამყარეს. სამშობლოდან გადახვეწილი მეფე დახმარებას ხან ნაპოლეონს, ხან ოსმალეთსა და ირანს სთხოვს, მაგრამ უშედეგოდ. 1812 წლის რუსეთ-თურქეთისა და 1813 წლის რუსეთ-ირანის ზავის მიხედვით, საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა. 1815 წლის 7 თებერვალს იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II ტრაპიზონში გარდაიცვალა და დაკრძალეს წმინდა გიორგის სახელობის ბერძნულ ეკლესიაში. 1990 წლის შემოდგომაზე მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის მეფეთა საძვალეში დაკრძალეს.

სოლომონ მეფის მიერ გაცემული საბუთებიდან ერთ-ერთს, მეფის ხელრთვის გარდა, შესანიშნავი მინიატურებიც ახლავს.

ესაუბრა ამირან-ლაზარე სინაურიძე

ალკოჰოლმა „შექმნა“ ადამიანი?!

მეცნიერთა თქმით, ჰრიმატების ევოლუციაში სასმელმა ბარდამტენი როლი ითამაშა



ღვინის დაწურვა
XIV საუკუნეში

ადამიანი და ალკოჰოლი — როგორ გადაამუშავებს მას ჩვენი სხეული, რატომ გვწყურდება და ალკოჰოლური სასმლის დაღვების შემდეგ რატომ ჩნდება პრობლემები — ამ რთულ საკითხს მკვლევრები ზშირად განიხილავენ.

სულ მცირე ხნის წინ, მეცნიერებს არ ჰქონდათ ზუსტი პასუხი კითხვაზე — როდის დაიწყო ადამიანებმა ალკოჰოლის მიღება. ეჭვობდნენ, რომ სასმლის წარმოება დაახლოებით ძვ.წ. 7 000 წელს უნდა დაეწყოთ.

თუმცა ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ გარდატეხა დაახლოებით 10 მილიონი(!) წლის წინ მოხდა, როცა ადამიანის წინაპარმა პრიმატებმა ტყეში ძირნაყარი, დამპალი ხილის გამოყენება დაიწყო.

იმის მიუხედავად, რომ ალკოჰოლი ტოქსინია, მისი ზომიერად მიღება ადამიანს დაუდებებისგან იცავს. ამას საკვებგადამამუშავებელ ფერმენტს უნდა უკმაყოფილოდ, კერძოდ, ალკოჰოლის დეჰიდროგენაზა (ADH4), რომელიც ჩვენს ნაწლავებში, ყელსა და ენაშია.

ფერმენტი ყველა პრიმატს აქვს, თუმცა ალკოჰოლთან ეფექტიანად გაკლავებას ყველა ვერ ახერხებს. ეს ეხება, მაგალითად, ბაბუინებსა და ლემურებს.

გეინსვილის კოლეჯის მკვლევარმა, ბიოლოგმა მეთიუ კერიგანმა შეისწავლა პრიმატების გენის ევოლუცია 70 მილიონი წლის განმავლობაში და აღმოაჩინა, რომ, რაღაც მომენტში, მათ ეთანოლის გადამამუშავებელი ფერმენტები გამოიმუშავეს. ეს გენეტიკური მუტაცია დაახლოებით 10 მილიონი წლის წინ მოხდა, რამაც პრიმატებს დამპალი ხილის მოხმარების ევოლუციური უპირატესობა მიანიჭა.

კვლევამ აჩვენა, რომ ADH4-ის გაცილებით ძველ ფორმას, რომელიც პრიმატებს

50 მილიონი წლის წინ ჰქონდათ, მხოლოდ მცირე რაოდენობით ეთანოლის გადაამუშავება შეეძლო, თანაც, ძალიან ნელა. 40 მილიონი წლის შემდეგ კი ადამიანის წინაპარმა გამოიმუშავა ფერმენტის ვერსია, რომელიც ეთანოლს ორმოცჯერ უკეთ გადაამუშავებდა. ამან პრიმატებს საშუალება მისცა, საკვებად არა მხოლოდ ახალი, არამედ ძირნაყარი და დამპალი ხილიც გამოეყენებინათ. სწორედ ამის შემდეგ ჩამოვიდა პრიმატების ნაწილი ხიდან და მიწაზე ცხოვრება დაიწყო.

მეცნიერთა განმარტებით, ამ აღმოჩენის შემდეგ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რატომ ასოცირდება ალკოჰოლი რაღაც სასიამოვნოსთან. ევოლუციის გარიჟრაჟზე, ალკოჰოლის გემო ჩვენი წინაპრებისთვის საკვების დამატებით წყაროს უკავშირდებოდა.

კვლევის გამოქვეყნებამდე მეცნიერთა ნაწილი ფიქრობდა, რომ ადამიანებმა ალკოჰოლის ჯერ დამზადება და შემდეგ მოხმარება 9 000 წლის წინ დაიწყეს. არქეოლოგიური მონაცემებით, მის მისაღებად ხილი და კვების სხვა პროდუქტები გამოიყენეს. დღემდე აღმოჩენილი უძველესი ალკოჰოლური სასმელი ბრინჯის, თაფლისა და ხილისგან იყო დამზადებული. მას ჩინეთში, მდინარე ზუანხეს დაბლობზე, თიხის ჭურჭელში მიაკვლიეს და ძვ.წ. 7000-6600 წლებით თარიღდება. ის ოდნავ ძველია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთში აღმოჩენილი ყურძნის ღვინო და ქერის ლუდი.

მოშზადებულია Sciencemag.org-ის მიხედვით



მეცნიერების თქმით, პრიმატები ხიდან მიწაზე ძირნაყარი ხილისთვის ჩამოვიდნენ...



მეღვინე-გამოსახულება ანტიკურ ფიალაზე ძვ.წ. 490-480 წ.წ.

ბრინჯის, თაფლისა და ხილისგან დამზადებულ უძველეს სასმელს ჩინეთში, მდინარე ზუანხეს დაბლობზე, თიხის ჭურჭელში მიაკვლიეს



უსნაური ქვა იკოთუი

ეს ლოდი, რომელსაც აშკარად აქვს ხელოვნური სკულპტურის ნიშნები, ქსნის ხეობის მარცხენა ფერდობზე დევს, არცთუ შორს რაიონულ ცენტრ ახალგორიდან და სოფელ იკოთიდან. რას შეიძლება გამოხატავდეს ეს სკულპტურა? პატივცემულ არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს ეროვნული მუზეუმიდან, რომლებსაც ეს ფოტოები ვაჩვენე, რამე ინტერესი არ გამოუვლენიათ, მეტიც, სურათები, თავისი მოკლე განმარტებით, სადღაც დაკარგეს. არადა, ვთავაზობდი ბეჭდურ კრებულში ამ ცნობის განთავსებას. თითქოს, უნდა დაინტერესებულიყვნენ კიდევ, თუნდაც მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო.



შევეცდები, საკუთარი აზრი გამოთქვა ამ საკითხის შესახებ.

ეს სკულპტურა რომ ადამიანის ნახელავია და არა „ბუნების თამაში“, ამაში დაეჭვება შეუძლებელია. ასეთ თამაშს ბუნება ვერ გამოიგონებს. საქართველოს ძველი ისტორიიდან შეიძლება გავიხსენოთ, რომ როცა წმინდა ნინომ კავკასიას ქრისტიანობის საქადაგებლად მოაშურა, საშინელი სანახაობა დახვდა წმინდანს. მეფენი, მთავარნი და ყოველი ერი შიშით ძრწოდა კერპთა წინაშე. ქალწული შე-

წუხდა. „უფალო, მოხედენ წყალობით ამით ზედა ნათესაეთა. რათა ყოველმან ერმან მხოლოსა ღმერთსა თაყვანის-გცენ იესოს მიერ ძისა შენისა“, — შეჰდაღადა მან ღმერთს. დაბერა საშინელმა ქარმა, წამოვიდა სეტყვა და შეიმუსრა კერპები. შეშინებული ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა... ცხადია, კავკასიის ძველ მცხოვრებთ წარმართული რელიგიური წარმოდგენები ჰქონდათ და შესაფერისი კერპებიც აღემართათ. ხსენებული ლოდის ახლოს, მთის წვერზე ძველი ეკლესიის ნანგრევებია. ცნობილია, რომ ეკლესიებს ხშირად აგებდნენ წარმართული საკულტო ნაგებობების ადგილას. ხომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს ქვა ერთ-ერთი ასეთი კერპთაგანია, რომელიც შემთხვევით გადაურჩა სრულ განადგურებას?



მაგრამ რას გამოსახავდა ეს ლოდი, რა შინაარსსა და რომელ მითებს უკავშირდებოდა? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას კავშირი ჰქონდა მზის ღმერთის, მითრას კულტთან, რომელიც ერთ დროს მეტად გავრცელებული იყო აღმოსავლეთში. ასეა თუ ისე, აუცილებლად მიმაჩნია სწავლულთა წრისთვის ამ „არტეფაქტის“ შესახებ ცნობის მიწოდება.

ჰენრიხ ავაძოვი

ფაზისი

ელინური აკადემია და რომაული ლეგიონები საქართველოს ტერიტორიაზე

ძველი კოლხეთის ბერძნული ქალაქებიდან ყველაზე ცნობილი და ამასთან, დღემდე „აღმოუჩენელი“, ფაზისია. გავრცელებული მოსაზრებით, ბერძნულ, რომაულ და შემდგომ ბიზანტიურ ხანაში ფაზისი, ანუ ქალაქი ამ სახელწოდებით სხვადასხვაგან იყო განლაგებული, თუმცა ზუსტად სად, ეს დღემდე გამოცანად რჩება.

ფაზისი, ისევე როგორც შავი ზღვის ბერძნული ქალაქების უმრავლესობა, მილეტელმა ბერძნებმა დააარსეს. ანტიკური ხანის ავტორ პომპონიუს მელასთვის ფაზისის ოიკისტიც (დამაარსებელი ექსპედიციის ხელმძღვანელი) კი ცნობილია — თემიმსტაგორასი, წარმოშობით მილეტელი. ბერძნული კოლონიები ხშირ შემთხვევაში მეტროპოლიასთან (დამაარსებელ ქალაქთან) ფორმალურ კონტაქტს ინარჩუნებდნენ. მაგალითად, როგორც მეცნიერი ს. მორისი აღნიშნავს, „ორაკულის ბრძანებით, ეპიდავრელებმა ათენელებისგან ზეთისხილის ხე წამოიღეს და მისგან ორი

ქანდაკება შექმნეს. სანამ ეს ქანდაკებები მათთან იქნებოდა, ათენისთვის გადასახადი უნდა ეხადათ“. დაახლოებით ასეთი დამოკიდებულება უნდა არსებულიყო ფაზისსა და მეტროპოლია მილეტს შორის, რასაც მეტროპოლიასა და კოლონიას შორის დიდი მანძილი განაპირობებდა. მეცნიერთა კამათს იწვევდა ფაზისის პოლიტიკური სტატუსი — რამდენად შეიძლება ის მივიჩნიოთ ემპორიად (პერიოდული ვაჭრობის ადგილი) ან პოლისად (დამოუკიდებელი ქალაქი). ბერძნული კოლონიების რუკაზე პოლისი უამრავია, ემპორიები კი იშვიათი.



მიუხედავად ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში კოლხეთის ბერძნულ ქალაქებს უფრო მაინც ემპორიებად მიიჩნევენ.

ფაზისი, თავისი მახასიათებლებით, უფრო დამოუკიდებელ პოლისს ჰგავს. დამოუკიდებელ პოლიტიკურ მმართველობაზე მიანიშნებს არისტოტელესთან დაცული ცნობა ფაზისის პოლიტიკის (სახელმწიფო წყობის) შესახებ; აგრეთვე, ქალაქში მფარველი ღვთაებების, აპოლონისა და არტემიდას ტაძრების არსებობა, საკუთარი მონეტების ემისია და სხვ. — ფაზისის დამოუკიდებელ, პოლისურ სტატუსს ადასტურებს. 1899 წელს ყუბან-

ში, ზუბოვსკის ყორღანში აღმოჩნდა ფილა წარწერით: „მივეკუთვნები აპოლონ ჰეგემონს, რომელიც ფაზისშია“. როგორც ჩანს, ეს ფილა წაღებულია ფაზისის აპოლონის ტაძრიდან. საგულისხმოა, რომ ფაზისში თაყვანს სცემდნენ აპოლონს, როგორც წინამძღოლს, ანუ მოგზაურთა მფარველს. ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებში, მას შემდეგ, რაც ათენელმა ლიდერმა პერიკლემ შავი ზღვის რეგიონში იმოგზაურა, ფაზისი ათენის გავლენის ქვეშ მოექცა, როგორც ყველა შავიზღვისპირა მილეტური ქალაქი. თუმცა ასეთი პოლისები დამოუკიდებლობას სრულად არ კარგავენ



ქალაქი ფაზისი აღნიშნულია აპოლონოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით შექმნილ რუკაზე, რომელიც ფლამანდელ კარტოგრაფს და გეოგრაფს, აბრაჰამ ორტელიუსს (1527-1598 წწ.) ეკუთვნის. ის აღიარებულია, როგორც პირველი თანამედროვე ატლასის შემქმნელი

ებში ფაზისი საკუთარ მონეტებსაც ჭრიდა. ჩვენამდე მოღწეულია ფაზისში მოჭრილი ვერცხლის ფულები, სხვადასხვა ნომინალით: ტეტრადრაქმა, დიდრაქმა, დრაქმა, ჰემიდრაქმა (5 ათასამდე ცალი) და უკინესი ნომინალი — ჰემიტეტრატემორიონი. ერთი მხრივ, ამ მონეტების გავრცელების არეალი ადასტურებს მის კავშირს კოლხეთთან — ისინი თითქმის სრულად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი. მეორე მხრივ, მათი სტილისტურ-ტიპოლოგიური მონაცემები ადასტურებს ფაზისის კავშირს მეტროპოლია მილეტთან. სტილისტური მონაცემები მონეტების კოლხეთთან კავშირსაც ადასტურებენ. ფაზისი, როგორც დამოუკიდებელი პოლისი, ძვ.წ. III-II საუკუნეებში არსებობდა. ძვ.წ. III საუკუნეში ფაზისის მიერ სამონეტო ემისიის დაკარგვა, ისტორიკოს თედო ღუნდუას აზრით, სიმპტომატური შტრიხია — ქალაქი ადგილობრივთა გავლენის ქვეშ მოექცა, ბერძნები თანდათანობით „ბარბარიზდებიან“.



ტეტრადრაქმა



დიდრაქმა



ჰემიდრაქმა

— ისინი ათენის კავშირის წევრები იყვნენ და ხშირ შემთხვევაში გადასახადს იხდიდნენ.

ათენის საზღვაო კავშირის წევრობა ქალაქებს კონსტიტუციის ლიბერალიზებისკენ უბიძგებდა — თუკი ფაზისის მილეტელი კოლონისტების ხანაში ოლიგარქები მართავდნენ, საგარაუდოდ, ძვ.წ. V საუკუნიდან აქ უკვე დემოკრატიული პოლისი იყო. მართალია, კოლხეთის ბერძნული ქალაქები ბერძნული სახელმწიფოები იყო და არა „ქართული“, მაგრამ მაინც, ეს უძველესი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ერთეულია საქართველოს ტერიტორიაზე. ძვ.წ. VI-III საუკუნე-




ER RÖMISCHER HERRSCHAFT

ფაზისი, ისევე როგორც შავი ზღვის ბერძნული ქალაქების უმრავლესობა, მილეტელმა ბერძნებმა დააარსეს. მილეტის ბაზრის კარიბჭე პერგამონის მუზეუმში (ბერლინი) ▲

მილეტის ბაზრის კარიბჭე. ფრაგმენტი ►

Pila muralia-ს ტიპის ბანაკი (რეკონსტრუქცია) ▼



ელინური და ელინისტური ხანის ფაზისის ადგილმდებარეობის დაზუსტებას მეცნიერები ბერძნული იმპორტის მეშვეობით ცდილობენ. ბერძნული იმპორტული ნაწარმი, რომელიც ყოველთვის თან სდევს ელინების გამოჩენას, ფოთში სიმაგრის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, თუმცა მწირად — სულ ჭურჭლის ასამდე ფრაგმენტი. ეს თითქოს საეჭვოს ხდის მის ლოკალიზებას და საერთოდ, მნიშვნელობასაც. თუმცა ანტიკური ავტორები ერთმნიშვნელოვნად ისე იხსენიებენ ამ ქალაქს, რომ იგი ახლანდელი ფოთის მახლობლად უნდა ყოფილიყო. მაგალითად, სტრაბონის ცნობით, ფაზისთან არის მდინარე, ტბა და ზღვა. ცხადია, აქ მდინარე რიონი, პალიასტომის ტბა და შავი ზღვა გაგვახსენდება. გარდა ამისა, ზოგჯერ მცირე რაოდენობის იმპორტიც საკმარისია ბერძენთა ახლომახლო მოსახლეობის დასამტკიცებლად. ეს კარგად ჩანს ფიჭვნარის მაგალითზე, სადაც კოლხურ ნეკროპოლში, რომელიც ბერძნულის ახლოს მდებარეობს,

იმპორტული ნივთები ძალიან ცოტაა აღმოჩენილი. და როგორც ჩანს, მკვლევრებს ამ ქალაქის აღმოჩენის სიხარული ჯერ კიდევ წინ აქვთ...

გვიანელინისტურ ხანაში და წელთაღრიცხვების მიჯნაზე, მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე ეკონომიკური კრიზისი იყო. შემდეგ ჩამოსახლდნენ მთიელი ტომები, აფშილები, აბაზგები და ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — ლაზები. ისინი სწორედ ფაზისის რეგიონში (რიონის აუზი) დასახლდნენ და აქედან დაიწყეს სამეფოს კონსოლიდაცია. ამასთან, ახ.წ. I საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რომაელები გამომჩნდნენ და პონტოს ლიმესის (შავი ზღვის აღმოსავლეთ რეგიონის სასაზღვრო სიმაგრეების სისტემა) მშენებლობა დაიწყეს. თუმცა ეს აქ რომაელების პირველი გამოჩენა არ ყოფილა. ძვ.წ. 66 წელს ფაზისთან ერთმანეთს შეხვდნენ მითრიდატე პონტოელს და დევნებული, იბერიაში ნალაშქრი პომპეუსი და რომაული ფლოტის ხელმძღვანელი სერვილიუსი. მუდმივად რომაელები ფაზისში მხოლოდ ახ.წ. 63 წლიდან მოვიდნენ — ქალაქში რომაული გარნიზონები ჩადგნენ, ისევე როგორც სებასტოპოლისსა (ძველი დიოსკურია) და აფსაროსში (დღევანდელი გონიო). ეს ციხესიმაგრეები პონტოს ლიმე-

სის ნაწილი იყო. იმხანად ფაზისში, როგორც ჩანს, pila muralia-ს ტიპის ხის სასიმაგრო ნაგებობანი იდგა. ამგვარ დროებით სასიმაგრო ნაგებობებს რომაელები აშენებდნენ მუდმივი სამხედრო ბანაკების (კასტელუმების) აგებაამდე. ახ.წ. 131 წელს ფლავიუს არიანეს ექსპედიციის დროს კოლხეთის სანაპიროზე მდებარე მცირე პოლიტიკური გაერთიანებები, მათ შორის ლაზთა სამეფო, რომაელებს ექვემდებარებოდა. არიანე თავის თხზულებაში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ რომის იმპერატორ ადრიანეს წერს: „ლაზების მეფე მაღასაა, რომელსაც ტახტი შენგან აქვს მიღებული, ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისგან მიიღო... აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული... სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი“. სანაპიროს რიგ ქალაქებში იმხანად რომაული გარნიზონები იდგა, მათ შორის ფაზისშიც. რაც შეეხება კონკრეტულ რომაულ ლეგიონს, შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ ფაზისშიც იმ ლეგიონების ნაწილები ყოფილიყო განლაგებული, რომლებიც აფსაროსსა და პეტრაში იყვნენ. ეს უნდა ყოფილიყო XII ლეგიონი Fulminata და XV ლეგიონი Apollinaris. ეს რაც ირკვევა პეტრაში აღმოჩენილი წარწერიდან VEX FA, რომელსაც მეცნიერები ასე



გონიოს (აფსაროსის) ციხესიმაგრეში რომაული გარნიზონი იდგა



რომის XII ლეგიონის შტანდარტი

შიფრავენ: VEX [illationes Legionum XII] F [ulminatae et XV] A [pollinaris]. გარდა ამ წარწერისა, XV ლეგიონის პონტოს ლიმესთან კავშირს ადასტურებს ბიჭვინთაში აღმოჩენილი ამ ლეგიონის დამღები. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც. ამერიკელი მეცნიერის, მაიკლ შპაიდელის აზრით, VEX FA უნდა გაიშიფროს, როგორც Vex(illatio) FA(siana). ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ეს დამღიანი აგური ფაზისში მდგარი სამხედროების დამზადებულია, იქვე არსებულ სამხედრო დანიშნულების სახელოსნოში.

ახ.წ. III საუკუნიდან რომის საზღვრებს ყველა მხრიდან ბარბაროსები უტევენ. შავი ზღვის სანაპიროს გოთები შემოესივნენ. V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის, ზოსიმუსის ცნობით, ფაზისში მათ დაანგრიეს ფსიანელი არტემიდას ტაძარი. შემდეგ რომაელებმა ადაღგინეს პონტოს თავდაცვითი ხაზი და როგორც ჩანს, ფაზისშიც კვლავ იდგნენ. IV საუკუნის მეორე ნახევარში კი რომაელებმა ეს ტერიტორია დატოვეს — დასავლეთით გაძლიერდა ბარბაროსების შემოტევები, გაძლიერდა ლაზიკის სამეფოც და ასეთ პირობებში, პონტოს ლიმესის შენარ-

ჩუნებას რომაელებმა წასვლა არჩიეს. მათ დატოვეს ფაზისიც.

IV საუკუნეში ფაზისთან უმაღლესი სასწავლებელი — ფაზისის რიტორიკული აკადემია არსებობდა. ამის შესახებ ცნობა შემოგვინახა ბერძენმა ფილოსოფოსმა და რიტორმა თემისტოსმა. წარმართი თემისტოსის დაახლოებული იყო რომის როგორც ქრისტიან იმპერატორებთან, მაგალითად, თეოდოს დიდთან, ასევე უკანასკნელ წარმართ იმპერატორთან — იულიანე განდგომილთან. თავის სიტყვაში თემისტოსის მიმართავს ერთ პროვინციულ ახალგაზრდას, რომელსაც მისთვის, როგორც გამოჩენილი რიტორისა და ფილოსოფოსისთვის უთხოვია, დამეძმარე, რათა თავი დაუდწიო ამ პროვინციას და სატახტო ქალაქში მივიღო ნამდვილი განათლება. თემისტოსის მას პასუხობს, რომ მეცნიერებას ქმნის არა ადგილი, არამედ დახელოვნებული ოსტატი. „მეცნიერებას, — ამბობს იგი, — არ ესაჭიროება განთქმული დედაქალაქი. ოდისვესმა ითაკაზე მიიღო განათლება, ნესტორმა პილოსში და სხვ.“ ამ აზრის კიდევ უფრო განსამტკიცებლად მას მოჰყავს საკუთარი მაგალითი, სახელდობრ ის, რომ რიტორიკული განათლება კოლხეთში, ფაზისის მახლობლად მიუღია: „მეც, ჩემო ახალგაზრდა, რიტორიკის ნაყოფი მოწვევით გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წასულმა, დაისადგურა“.

რიტორიკული აკადემია ფაზისთან III-IV საუკუნეების მიჯნაზე უნდა დაარსებულიყო, რადგან თემისტოსის გარდა, აქ სწავლობდა მისი მამა, ევგენიოსი და არსებობდა ალბათ, 529 წლამდე, როცა იმპერატორმა იუსტინიანემ წარმართული ფილოსოფიური სკოლები დახურა. მიიჩნევა, რომ აქ მიიღო განათლება ფილოსოფოსმა იოანე ლაზმაც, რომლის მოწაფეც იყო შემდეგში ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და თეოლოგი პეტრე იბერი. თუმცა, თუ პეტრე იბერიის დიდ ქრისტიანობას გავითვალისწინებთ, რიტორიკული სკოლის წარმართული ხასიათი შესაძლოა ამ მოსაზრების კონტრარგუმენტად მივიჩნიოთ...

VI საუკუნეში ფაზისის ტერიტორიაზე უკვე ბიზანტიელები გამოჩნდნენ.

ნათია ვიფია

ისტორიის დოქტორი



„სუხუმ-კალე 1877 წელს, დაკავებული გადმოსხმული თურქების მიერ“ (ლითოგრაფია)

წინ — რუსეთი, უკან — ოსმალეთი... როგორ აფხაზეთს აფხაზი ისტორიკოსები 1877 წლის აჯანყებას

1877 წლის მასობრივი ანტირუსული გამოსვლა აფხაზეთის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. აფხაზმა ხალხმა, ისევე როგორც XVIII საუკუნეში ოსმალეთისადმი, ამჯერადაც აჩვენა, რომ ეროვნული ღირსების გრძნობა, თავისუფლებისადმი სწრაფვა ჰქონდა.

ასაჯანყებლად მიზნები 1877 წლისთვის მეტიც იყო, ვიდრე 1866 წლის აჯანყების წინაპირობები. ჯერ ერთი, ამ ხნის განმავლობაში მეფის რუსეთმა კიდევ უფრო მეტად გამოაჩინა მტარავალის სახე, კერძოდ, ბიუროკრატიული რეჟიმის თვითნებობა, მექრთამეობა და სხვ. მეორე, აფხაზი გლეხკაცობა უკმაყოფილო დარჩა 1870 წელს აქ გატარებული რეფორმით, რომელიც უფრო თავდაზნაურობის სასარგებლოდ იყო მიმართული.

ამ მიზეზებს საგარეო მომენტიც დაერთო — სწორედ ამ წელს დაიწყო ომი ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის. აჯანყებებმა მოიცვა ჩეჩნეთი და დაღესტანიც. აფხაზთა მოწინავე ნაწილმა არჩევანი ოსმალეთის სასარგებლოდ გააკეთა. თურქეთის მიერ აფხაზეთის სანაპიროზე გადასმული დესანტი ძირითადად აფხაზებისა და ჩერქეზებისგან შედგებოდა. მათ რევანში სწადლათ მათდამი რუსეთის მიერ ჩადენილ სასტიკ დანაშაულთა გამო.

პარადოქსია, რომ აფხაზი ისტორიკოსები სათანადოდ ვერ აღიქვამენ თავიანთი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას. უთუოდ სწორია ისტორიკოსი გიორგი ანჩაბაძე, როცა წერს რომ „1877 წლის აფხაზეთის აჯანყება, მიუხედავად მისი საერთო-სახალხო ხასიათისა, თითქმის შეუსწავლელია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში“.

აი, რას ვკითხულობთ აფხაზეთის ისტორიის 1986 წელს გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში: „1877 წლის აჯანყებას, ისევე როგორც უწინ, მიემხრნენ თავდაზნაურობის წარმომადგენლები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ესწრაფოდნენ ცარიზმისგან თავიანთი შეკვეცილი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების დაბრუნებას. აჯანყებას რეაქციული დადი დაასვა აგრეთვე ფეოდალთა ნაწილის პროთურქულმა ორიენტაციამაც“. აფხაზეთში მცხოვრები რუსი ისტორიკოსის, ანატოლი ფადეევის მიხედვით



აფხაზი მუჰაჯირები

კი 1877 წლის აჯანყება ძირითადად აფხაზმა გლეხკაცებმა მოაწყვეს. შედეგად, რუსი გენერლები თავიანთი ჯარითურთ აფხაზეთიდან გააძევეს. გამოდის, ამ დიდ მოვლენაში თითქოს აფხაზ თავადაზნაურობას მონაწილეობა არ მიუღია.

აფხაზთა მასობრივი გამოსვლის მნიშვნელობა უწინდებურად იგნორირებულია ორი აფხაზი ავტორის მიერ შეითხნინილ უახლეს შესაბამის სახელმძღვანელოში. ჩანს, მათ დღევანდელი რუსეთის საამებლად არ სურთ, მეფის რუსეთს მიაყენონ ჩრდილი. მეტსაც ვიტყვოდით, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეები და საერთოდ, მკითხველები, თითქმის ვერაფერს შეიტყობენ 1877 წლის აჯანყების მსვლელობის პერიპეტებზე. წიგნში ხაზგასმულია აფხაზი თავადაზნაურობის თანამშრომლობა რუსეთის ხელისუფლებასთან, ასევე, გლეხობის თანაგრძნობა რუსებისადმი და საერთოდ მთელი მოსახლეობის არათურქოფილობა.

იგევე ითქმის ქართულ ისტორიოგრაფიაზეც. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესუთე ტომში ვკითხულობთ, რომ „თურქებმა თითქმის აფხაზეთის ნახევარი დაიკავეს და აფხაზები აიძულეს, რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულიყვნენ“. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ კი, როგორც ჩანს, საგანგებოდ არაფერს ამბობს ამ მოვლენაზე.

არადა, შესაბამისი საისტორიო მასალები საკმარისად არის როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებზე. მაგალითად, არსებობს კონსტანტინე მაჭავარიანის ვრცელი სტატია „ხალხის არეულობა აფხაზეთში“, გამოქვეყნებული 1878 წლის გაზეთ „დროებაში“ (№№ 152, 154, 155, 156). შეგახსენებთ, რომ პეტერბურგის ერთ-ერთ გაზეთში საკითხს საგანგებოდ აშუქებდა ქართველი მწერალი და პუბლიცისტი გიორგი წერეთელი.

აფხაზ და ქართველ ისტორიკოსთა საპირისპიროდ, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეოთხე გამოცემის VII ტომში (1972 წ.) აღნიშნულია: „ძლიერდებოდა ხალხის მასების ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. 1877 წელს, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლის ომის დასაწყისში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში იფეთქა აჯანყებებმა, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენები“.

მისასაღმებელია, რომ აღნიშნული დიდი ისტორიოგრაფიული ხარვეზის გამოსწორებას შეეცადა პროფესორი გიორგი ანჩაბაძე 2008 წელს დაბეჭდილ სპეციალურ სტატიაში.

საბჭოური მენტალობის ისტორიკოსთა შეხედულებებისგან განსხვავებით, აფხაზთა 1877 წლის აჯანყება, რომელიც გრძელდებოდა სამთვე-ნახევრის განმავლობაში, ძალიან სერიოზული მოვლენა გახლდათ და მასში

მონაწილეობდა მოსახლეობის აქტიური ნაწილი (როგორც ზედა, ასევე ქვედა ფენებიდან). სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თურქთა მიერ სოხუმში გადმოსხმული დესანტის შემადგენლობაში აფხაზი თავადაზნაურებიც იყვნენ. ასევე დასჯილთა შორის ფიგურირებდნენ თავადაზნაურებიც: ხარიპს და ბესლან მარშანიები, გვადალა ანჩაბაძე (ჩაჩბა), მურზაყან ლაკერბაი. როგორც გლუხკაცობის, ისე თავადაზნაურობის წარმომადგენლები რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებსა და ციმბირში გადაასახლეს.

მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზობისთვის გამოტანილი ვერდიქტი მხოლოდ ამით როდი ამოიწურებოდა. აფხაზთა უმეტესობას (თავადაზნაურობის გამოკლებით) ეკრძალებოდა ზღვისპირეთში ცხოვრება, კერძოდ სოხუმში, გუდაუთასა და ოჩამჩირეში. მეტიც, აფხაზები გამოაცხადეს (ფაქტობრივად, 1877 წელსვე, ოფიციალურად კი 1881 წელს) „დამნაშავე ხალხად“. ამიტომ მათ სამხედრო სამსახურში არ იწვევდნენ, სანაცვლოდ კი დამატებითი გადასახადი დაუწესეს. მოგვიანებით ეს ტერმინი, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმაც გაიმეორა — 1944 წელს კავკასიიდან რამდენიმე ხალხის სადამსჯელო გადასახლებისას შუა აზიაში.

მთიელები მშობლიურ სოფელს ტოვებენ. პეტრე გრუზინსკი



მრავალრიცხოვან გადასახლებულ (მუჰაჯირ) აფხაზთა ნაწილმა სცადა თურქეთიდან დაბრუნებულიყო, რასაც რუსული ხელისუფლება, ცხადია, დიდ დაბრკოლებას უქმნიდა (აქ შეიძლება გავიხსენოთ ჯავახეთიდან წასული ქართველების ბედი).

გაზეთ „დროების“ რედაქტორი, ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი მთელი მოწინავე ქართველობის სინდისს გამოხატავდა, როდესაც წერდა: „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა არ დაუშლის და ნება-რთავს მისცემს ყველა აფხაზებს, რომელნიც ხელახლად თავის ქვეყანაში დაბრუნებასა და დასახლებას მოინდომებენ. კაცთ-მოყვარების გრძნობის გარდა ამას მოითხოვს სამართლიანობაც და სარგებლობაც“.

მაგრამ, სავსებით კანონზომიერად, რუსეთის ცარისტული ხელისუფლება ამგვარი სამართლიანი მოთხოვნისადმი ყრუ, შეუსმენელი რჩებოდა. მის უმთავრეს, სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთის ჩვეულებრივ რუსულ მხარედ გადაქცევა, მისი ხალხების ასიმილაცია.

გურამ ჟორანაშვილი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყირიმი



„ყირიმის ხანის სასახლე“ (კარლო ბოსოლი, 1842 წ.)

შავი ზღვის ციტადელის ისტორია

შავ ზღვაში ჩრდილოეთიდან შეჭრილი ყირიმის ნახევარკუნძული საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა აღმოსავლეთ ვეროპის ერთ-ერთ საკვანძო რეგიონს, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცივილიზაციას ეკავა და თავ-თავიანთ კვალსაც ტოვებდა. აქ ცხოვრობდნენ კიმერიელები, სკვითები, ტავრები, ბერძნები, გოთები, ბიზანტიელები, იტალიელები, თურქები და რუსები. ცხოვრობდნენ სხვა ხალხებიც და ეს მრავალეროვანი და მრავალრიცხოვანი მოსახლეობა მუდმივად იცვლიდა მბრძანებელს, ნახევარკუნძულის მმართველს, რომელიც იმავდროულად შავი ზღვის სივრცეთა მაკონტროლებელიც ხდებოდა. ბევრი მძლავრი ვეროპული თუ აზიური სახელმწიფო მიიღებოდა ყირიმის დასაპყრობად... დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს იგი დღესაც, განსაკუთრებით კი შავი ზღვისპირეთის ქვეყნებისა და ისეთი იმპერიალისტური სახელმწიფოსთვის, როგორც რუსეთის ფედერაციაა.

ადამიანის არსებობის კვალი ყირიმში პრეისტორიული დროიდან ჩანს. აქ აღმოჩენილია შუა პალეოლითის პერიოდის ნასახლარები. კოლუმბიის უნივერსიტეტის გეოლოგი პროფესორების, უილიამ რაიანისა და უოლტერ პიტმენის ჰიპოთეზის მიხედვით, ყირიმი ნახევარკუნძულად მხოლოდ ძვ.წ. VI ათასწლეულში იქცა, როცა შავი ზღვის დონემ მკვეთრად აიწია მყინვარების დნობის გამო.

მანამდე კი ყირიმი ხმელეთის მთლიანი ნაწილი იყო, შემდგომში აზოვის ზღვით დაფარულ ტერიტორიასთან ერთად. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, ეს მოვლენა ბიბლიური წარდგენის ისტორიაშიც აისახა. ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ყირიმის ჩრდილოეთით მიმდინარეობდა ინდოევროპულენოვან ხალხთა მიგრაციები. ძვ.წ. III ათასწლეულში აქ გაჩნდა ე.წ. კემი-ობას კულტურა.

ანტიკური წყაროების თანახმად, ყირიმის პირველი მცხოვრებნი კიმერიელები იყვნენ (ძვ.წ. XII ს.), რომელთა სახელი ადგილობრივ ტოპონიმებს შემორჩა. კიმერიელები მომთაბარეობდნენ. ჰეროდოტე მათ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის სკვითებამდელ მოსახლეობად მიიჩნევს. მათ იხსენიებენ ჰომეროსი, ჰეკატე მილეტელი და სხვა ანტიკური ავტორები, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ახლო აღმოსავლური, ასურული წყაროები (ძვ.წ. VIII ს.). შავი ზღვის ჩრდილოეთიდან და ყირიმისა და ძვ.წ. VII-VIII ათასწლეულებში ისინი სკვითურმა ტომებმა გამოდევნეს. ძვ.წ. VIII საუკუნიდან კიმერიელებმა და სკვითებმა სამხრეთისკენ დიდი ლაშქრობები მოაწყვეს და გაანადგურეს კოლხეთის სამეფო, ქართველურ ტომთა ერთ-ერთი უძველესი გაერთიანება და ძალიან დაასუსტეს ურარტუს ძლიერი სახელმწიფო. სკვითებს შეერჩენენ ყირიმზე მოსახლე ტაურებიც. ისინი მოსხენებულები არიან რომაულ და ბერძნულ წყაროებში. უფრო გვიან მათ ტაუროსკვითებს უწოდებდნენ. ტაურებს უკავშირდება ყირიმის მეორე სახელწოდება — ტავრიდა.


ელინი კოლონიზატები მილეტისა და პონტოს ჰერაკლეს ქალაქ-სახელმწიფოებიდან ყირიმის სანაპიროებზე ძვ.წ. VI საუკუნიდან გამოჩნდნენ და რამდენიმე ქალაქი დააარსეს, მათ შორის იყო პანტიკაპეონი, თეოდოსია, ხერსონესი. ძვ.წ. V საუკუნიდან ხერსონესი დამოუკიდებელი დემოკრატიული, მონათმფლობელური სახელმწიფო იყო და დასავლეთ ყირიმის მიწებს მოიცავდა. გაჩნდა მეორე სახელმწიფოც — ბოსფორი, ავტოკრატიული მართვის სისტემით, დედაქალაქით პანტიკაპეონში. ანტიკური ხანის ავტორები სტრაბონი და კლავდიუს პტოლემეაოსი ქერჩის სრუტეს Bosporus Cimmerias-ს უწოდებდნენ, ბოსფორის დედაქალაქს კი Cimmerium-ს. ბერძნებმა ყირიმში ზეთისხილისა და ღვინის კულტურა შემოიტანეს. აგებდნენ ტაძრებს, სტადიონებს, თეატრებს. ყირიმში ასობით ბერძნული პოლიისი გაჩნდა. ძვ.წ. III საუკუნის ბოლოსთვის სარმატებისგან შევიწროებულმა სკვითებმა ბოსფორის დედაქალაქი მდინარე სალგიის სანაპიროზე გადაიტანეს. ერთი საუკუნის შემდეგ სამეფო პონტოს მეფე მითრიდატე VI ეპატორის გავლენის ქვეშ მოექცა. მან შეავიწროვა აქ მცხოვრები ტაუროსკვითები, რომელთა მეფე პალაკოსმა საშველად რომს

უხმო. რომაელმა სარდალმა ლუკულუსმა და შემდეგ პომპეუსმა ძვ.წ. I საუკუნეში მთელი მცირე აზია დაიკავეს და პონტოს სამეფოს ძლიერებას ბოლო მოუდეს. რომის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში ყირიმის საკითხი სწორედ ამ დროიდან გახდა აქტუალური. იმპერატორმა ფლავიუს ვესპასიანემ I საუკუნეში აქ ციხესიმაგრე ხარაქსი ააგო, თუმცა III საუკუნეში იგი დაცარიელდა. რომაული ხანიდან იწყება ყირიმში ქრისტიანობის გავრცელებაც. ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი ყირიმში გახლდათ კლემენს რომაელი, რომელიც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, რომის IV ეპისკოპოსი (პაპი) ყოფილა. იგი იტალიაში იღვწებოდა, ამიტომ I საუკუნეში ყირიმის ნახევარკუნძულზე გადაასახლეს.

III საუკუნიდან შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე სხვა ჩრდილოური ტომები ჩამოსახლდნენ. მათ შორის იყვნენ გოთებიც. გოთებმა შეინარჩუნეს ბოსფორის სამეფოს მრდელი, მის მმართველ ნაწილად იქცნენ და არიანული ქრისტიანობაც მიიღეს. ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ხალხები, მათ შორის შესაძლოა გოთებიც, III საუკუნეში საზღვაო



სკვით არისტოკრატთა წვეილი, გამოწყობილი რჩეულ ოქროცურვილ სამოსში



კიევის დიდი მთავრის, ვლადიმირის მონათვლა ხერსონესში 988 წელს (ვიქტორ ვასნეცოვი, 1890 წ.)

გზებით ლაშქრობდნენ. ჰუნები ყირიმში 370 წლისთვის შეიჭრნენ და გოთების დიდი ნაწილი აიძულეს, დასავლეთისკენ წასულიყო. დარჩენილი გოთები ყირიმის მთებში გამაგრდნენ და აქ თითქმის XVII საუკუნემდე ცხოვრობდნენ. საინტერესოა, რომ VIII საუკუნეში ყირიმელი გოთი სასულიერო მოღვაწე წმინდა იოანე მცხეთას ეწვია, სადაც ეპისკოპოსად ეკურთხა. გიორგი მთაწმინდელის დიდ სვინაქსარში მოხსენიებულია, რომ მაშინ მთელი ბიზანტია ხატმებრძოლობას მოეცვა, მაგრამ ქართველთა ქვეყანას ეს ერესი არ შეხებოდა. ამიტომაც გოთებმა წმინდა იოანე გოთი მცხეთას მოავლინეს.

V საუკუნისთვის ხერსონესი აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) ხელში რჩებოდა, გოთები კი ერთგვარი ბუფერის როლს ასრულებდნენ მათსა და ყირიმში გაბატონებულ მომთაბარეებს შორის. ბიზანტიელებს მხოლოდ ერთი ანტიკური ქალაქი — ტავრიდის ხერსონესი შემორჩათ, რომელიც ნახევარკუნძულზე მათ ფორპოსტს წარმოადგენდა. იმპერატორ იუსტინიანეს დროს კი ბიზანტიელებმა რამდენიმე ციხესიმაგრე ააგეს და ბოსფორის სამეფოც აღადგინეს. VI საუკუნის მეორე ნახევარში შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე გამოჩნდნენ მომთაბარე ავარები, რომლებიც სშირად ესხმოდნენ თავს

ყირიმს. ამავე დროიდან ამ ტერიტორიაზე ჩნდებიან თურქები, ხოლო I საუკუნის შემდეგ, ბოლგარებიც. VIII საუკუნეში მომთაბარე ხაზართა სახაკანომ და ბიზანტიის იმპერიამ ყირიმი გაიყვეს. ხაზართა პერიოდიდან ყირიმში შემორჩა ორი ეთნიკური ჯგუფი — კრიმჩაკები და ყარაიმები, რომელთა შორის იუდაიზმი გავრცელდა. IX საუკუნეში ყირიმში ქრისტიანული მისიით იმყოფებოდა კირილიცად წოდებული სლავური ანბანის შემქმნელი კონსტანტინე (კირილე). X საუკუნეში კი დაიწყო დაპირისპირება რუსებსა და ხაზარებს შორის. 965 წლიდან ხაზართა სახაკანო, ფაქტობრივად, განადგურდა და შავი ზღვის ჩრდილოეთით პაჭანიკების თურქულ-ოღუზური ტომები გაბატონდნენ. 988 წელს კიევის რუსეთის დიდი მთავარი ვლადიმირი ხერსონესში მონათლა ქრისტიანულად, რის შემდეგაც რუსებმა ექსპანსია განაგრძეს და ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულებზე დაპყრობილ მიწაზე დააარსეს ტმუტარაკანის სამთავრო. აქ სლავების გარდა ცხოვრობდნენ ალანები, ხაზარები, კასოგები და სხვა ხალხები. ტმუტარაკანის მნიშვნელოვანი ქალაქი გახდა კორჩევი (ანუ ქერჩი), ძველი პანტიკაპონი.

რუსთა გავლენას ყირიმზე ბოლო ყიფიყებმა მოუღეს, რომლებიც აქ XII საუკუნიდან

გამოჩნდნენ. თანამედროვე ყირიმელ თათართა ენა, რომელსაც ყირიმში ბევრი ტოპონიმი უკავშირდება, ყივჩაყური ენის მემკვიდრედ ითვლება.

დასუსტებულმა ბიზანტიის იმპერიამ ყირიმზე ძალაუფლება 1204 წლისთვის დაკარგა და იქ ახალი ქრისტიანული სამთავრო თეოდორო, იგივე გოთია გაჩნდა. მის მოსახლეობას ძირითადად ყირიმელი გოთები, ბერძენები და ალანები შეადგენდნენ, დინასტიის ზუსტი წარმოშობის განსაზღვრა კი რთულია. ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი პალეოლოგოსებისა ან კომნენოსების დინასტიების რომელიმე შტოს ეკუთვნოდნენ, ანდა გაბრასთა ბიზანტიურ არისტოკრატიულ საგვარეულოს. სამთავროს დედაქალაქი გახდა თეოდორო (მანგული).

ყირიმში 1223 წელს მონღოლები გამოჩნდნენ ჩინგიზ ყაენის გამოცდილი სარდლის, ჯებეს მეთაურობით, რომელმაც მანამდე კავკასია გამოიარა სუბუდაისტან ერთად და საქართველოს მეფე გიორგი IV დაამარცხა. ყირიმის ჩრდილოეთ ნაწილი ოქროს ურდოს შემადგენლობაში შევიდა და მისი ცენტრი ქალაქი ქირიმი (ახლანდელი ძველი ყირიმი) გახდა. გენუელ ვაჭრებთან ურთიერთობისა და ქალაქ კაფასთან სიახლოვის წყალობით, ქირიმი მალე გადაიქცა მსხვილ სავაჭრო და მწარმოებელ ქალაქად. ამავე დროს განვითარდა მეზობელი ქალაქი ყარასუბაზარი. XIII საუკუნეში დაიწყო ყირიმის ისლამიზაცია.

რამდენიმე სანაპირო ქალაქი გენუელებმა ყირიმში XIV საუკუნეში დაიკავეს. კაფა, ძველი თეოდოსია მათ ცენტრად იქცა, სადაც ციხესიმაგრე ააგეს. დასავლეთ ვეროპაში გენუის ყირიმულ სამფლობელოებს, რომლებიც მათთვის ხაზარებთან ასოცირდებოდა, გაზარია უწოდეს. ხაზარული ენა ფართოდ იყო გავრცელებული ნახევარკუნძულზე. იტალიელებმა ყირიმში შეადგინეს ე.წ. Codex Cumanicus — ხაზარული ენის ლექსიკონი (1303 წელს), რომლის ერთდერითი ეგზემპლარი ახლა ვენეციაში, წმინდა მარკოზის ტაძარში ინახება. შავი ზღვის იტალიურ ფაქტორიებთან (ძირითადად, უცხოელ სოვდაგართა დარსებელი სავაჭრო დასახლება) გიორგი V ბრწყინვალის მეფობის ხანაში, სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა საქართველოს სამეფოსაც. 1367 წელს ყირიმი დაიპყრო მაჰამი, ოქროს ურდოს ბეგლარბეგმა. 1397 წელს კილიტვის დიდი მთავარი ვიტოლდი შეიჭრა,

რომელმაც ქალაქი კაფამდე მიადწია. 1399 წლისთვის, როცა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ოქროს ურდოს სარდალ ედიგეისა და ვიტოლდს შორის სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა, ხერსონესი მიტოვებულ ნანგრევებად იქცა.

ოქროს ურდოს დაცემის შემდეგ (1441 წელს), ყირიმში მცხოვრები მონღოლების გათურქება დაიწყო. ამ დროისთვის ყირიმი იყოფოდა ყირიმის სახანოდ, თეოდოროს სამთავროდ და გენუელთა კოლონიებად სამხრეთ სანაპიროზე. 1475 წელს ოსმალებმა, რომელთაც 1453 წელს ბიზანტიის იმპერიას მოუღეს ბოლო, ექსპედიცია მოაწყვეს ყირიმში და გენუელთა ყველა ციხესიმაგრე დაიკავეს, დაეცა თეოდოროც. თურქებმა ქალაქის დიდი ნაწილი გადაწვეს, მოსახლეობა ამოჟლიტეს და ოსმალური კადილიკი (ოლქი) შექმნეს, სადაც თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს. 1478 წლიდან ყირიმის სახანო ოსმალეთის იმპერიის ვასა-

ყირიმელი თათარი ბავშვები (დანიელ შულცი, 1664 წ.)





ყირიმის სახანო, XVII ს.

ლი გახდა, ყირიმელი თათრები კი ნელ-ნელა მიენვივნენ მეზღვრობას, თამბაქოს მოყვანას, მევენახეობას. ყირიმის სტეპებზე განვითარდა მეცხენეობა და მეცხვარეობა.

ყირიმელი თათრები XV საუკუნიდან მუდმივად ესხმოდნენ თავს რუსეთსა და პოლონეთს (1569 წლიდან რეჩ პოსპ პოლიტას), თავდასხმების მთავარ მიზანი ხალხის დატყვევება და ოსმალეთის ბაზრებზე მონებდა გაყიდვა იყო. ყირიმს მართავდნენ გირაის დინასტიის წარმომადგენლები 1427-დან 1783 წლამდე, სანამ სახანო რუსებმა არ გააუქმეს. აღსანიშნავია, რომ 1609 წელს ქართლის სამეფოში შემოჭრილ ოსმალურ ჯარში იყო 2 ათასი ყირიმელი თათარიც. ისინი ტაშისკართან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ ქართლის ლაშქართან, რომელსაც დიდმა მოურავმა გიორგი სააკაძემ უსარდლა.

რუსეთი ყირიმით ჯერ კიდევ პეტრე I-ის (1682-1725) დროს დაინტერესდა. ნახევარკუნძულისთვის ბრძოლა ხანგრძლივი გამოდგა. რუსებმა წარმატებით დაასრულეს 1768-1774 წლების ომი ოსმალეთთან და თურქები აიძულეს, ყირიმი დაეთმოთ. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (1774 წელს) ყირიმის სახანოსა და ყუბანის თათართა დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ოსმალეთის სულთანს მხოლოდ მათ რელიგიურ საქმეებში ჩარევის უფლება დარჩა. რუსეთი იტოვებდა ფორპოსტებს შა-

ვი და აზოვის ზღვების ნაპირებზე — ქერჩს, ენიკალეს, აზოვსა და კინბურნს. ზავის პირობებში ასევე გათვალისწინებული იყო იმერეთის სამეფოს გათავისუფლება ოსმალთა ხარკისგან. ზოგადად, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა ოსმალეთის გავლენა დასავლეთ საქართველოზე, რუსეთისა კი გაიზარდა.

1783 წლის 8 აპრილს ეკატერინე II-მ გამოცხად მანიფესტი ყირიმის ნახევარკუნძულისა და ყუბანის მხარის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ყირიმის ტერიტორიაზე გამოჩენილი რუსი სარდლის, ალექსანდრე სუვოროვის ჯარი შევიდა. ძველი ხერსონესის მახლობლად აიგო ახალი ქალაქი სევასტოპოლი. ყირიმის სახანო დაიშალა, თუმცა თათართა 300 წარჩინებული გვარი რუს თავადაზნაურობას შეუერთდა და ახალშექმნილი ტავრიის ოლქის მმართველობაში ჩაერთო. თავდაპირველად ყირიმის რუსულ სამფლობელოდ გადაქცევის ხელმძღვანელობდა თავადი გრიგორი პოტიომკინი, ქართლ-კახეთის სამეფოსთან დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პავლე პოტიომკინის ნათესავი. გრიგორი პოტიომკინმა დიდი წვლილი შეიტანა ყირიმის რუსულ პროვინციად ჩამოყალიბებაში და ამისთვის ტავრიელის ტიტული მიიღო. 1783 წელს ყირიმის მოსახლეობა სულ 60 ათას

კაცამდე იყო, მესაქონლეობა მეურნეობის ყველაზე გავრცელებული სახეობა გახლდათ. ამ დროიდან დაიწყო რუსული და ბერძნული მოსახლეობის რიცხვის ზრდა ყირიმში. აქ სახლდებოდნენ სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცები, ჩამოდიოდნენ გერმანელები და ბულგარელებიც. 1787 წელს ეკატერინე II-მ ყირიმში იმოგზაურა და ახალი პროვინციის საქმეებს პირადად გაეცნო. მალე ნახევარკუნძული ნოვოროსიის გუბერნიაში შეიყვანეს, თუმცა 1802 წლიდან კვლავ განაცალკევეს და დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად აქციეს. XIX საუკუნის დასაწყისიდან ყირიმში განვითარდა მკვანახეობა და გემთმშენებლობა, დაიგო გზები. 1823 წელს ნოვოროსიის გუბერნატორად დაინიშნა საქართველოში კარგად ცნობილი პირი, თავადი მიხეილ ვორონცოვი. მისი გუბერნატორობის დროს აშენდა იალტა, ვორონცოვის სასახლე და დაიწყო ყირიმის სამხრეთ სანაპიროს კურორტად გადაქცევა.

1853 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო. ოსმალეთს მხარი ინგლისმა, საფრანგეთმა და პეიმონტის სამეფომ დაუჭირეს. შავ ზღვაში ევროპული ხომალდები გამოჩნდნენ, რომელთა სამიზნე ყირიმი გახლდათ. 1854 წელს ფრანგულ-ინგლისურმა ფლოტმა ყირიმის სანაპიროს რუსულ სიმაგრეებს შეუტია, მალე კი ნახევარკუნძულზე ოს-

მალური, ინგლისური და ფრანგული დესანტი გადავიდა. მდინარე ალმასთან ბრძოლაში რუსები სასტიკად დამარცხდნენ, მოკავშირეებმა ალყა შემოარტყეს სევასტოპოლს. 1855 წელს რუსებმა წარუმატებლად მიიტანეს იერიში ევპატორიაზე. ფრანგულ-ინგლისურმა ფლოტმა ქერჩი დაიკავა და 1855 წლის 11 სექტემბერს სევასტოპოლიც დაეცა. 1856 წელს, პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებით რუსეთმა დათმო პოზიციები ვლახეთში, მოლდავეთში, სერბეთში, სამხრეთ ბესარაბიაში; დაუბრუნა თურქეთს ყარსი, სამაგიეროდ კი უკან მიიღო ყირიმში მოკავშირეთა მიერ დაკავებული ტერიტორიები.

1874 წელს ყირიმის ქალაქ სიმფეროპოლში გაიყვანეს რკინიგზა და რუსეთის ქალაქ ზაპოროჟიეს დაუკავშირეს. საკურორტო სტატუსი კი ყირიმს მას შემდეგ დაუმიკვიდრდა, რაც იალტის მახლობლად, ლივადიაში, რომანოვთა სამეფო სასახლე აიგო. XIX საუკუნის ბოლოს ყირიმში მოეწყო მოსახლეობის აღწერა და აღმოჩნდა, რომ იქ სულ 546 700 კაცი ცხოვრობდა. მათგან 35,6% ყირიმელი თათარი იყო, 33,1% — რუსი, 11,8% — უკრაინელი, 5,8% — გერმანელი. ებრაელები, ბერძნები, სომხები, ბულგარელები, პოლონელები და თურქები ნახევარკუნძულზე შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფებად სახლობდნენ.

ზაპოროჟიელი კახაკები ებრძვიან ყირიმელ თათრებს (ყოზეფ ბრანდტი, 1890 წ.)





ფეიერვერკი ყირიმში
ეკატერინე II-ს
პატივსაცემად
(იან პოგუმის პლერში,
1787 წ.)

1917 წელს, რუსეთის რევოლუციის დროს, ყირიმელმა თათრებმა, რომლებიც ყირიმის 800-ათასიანი მოსახლეობის 25%-ზე მეტს შეადგენდნენ, ჩამოაყალიბეს ნაციონალური პარტია — „მილი ფირკა“. პარტიის მიზანი იყო ნახევარკუნძულზე ძალაუფლების ხელში ჩაგდება, თუმცა ბოლშევიკურმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ჯერ სევასტოპოლზე დაამყარა კონტროლი, შემდეგ თეოდოსიაზე, ქერჩზე, იალტასა და სიმფეროპოლზე. 1918 წელს შეიქმნა ტავრიდის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც რუსეთის სოციალისტური ფედერალური საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა. ამავე პერიოდში დაარსებული უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ჯარები, პოლკოვნიკ პეტრე ბოლბოჩანის სარდლობით, ყირიმში შეიჭრნენ და ვვატორია და სიმფეროპოლი დაიკავეს. ბრესტის ზავის დადების შემდეგ (1918 წლის 3 მარტს), გერმანელებმა, რომელთაც რუსეთის შიში აღარ ჰქონდათ, ყირიმში ჯარი შეიყვანეს. კიევა და ბერლინის შორის შეთანხმების საფუძველზე, უკრაინის ჯარებმა ყირიმი დატოვეს და ნახევარკუნძულის ხელში ჩაგდების პრეტენზიაზე უარი თქვეს. 1918-19 წლებში ყირიმს ორი რეგიონალური მმართველობა ჰყავდა, სულეიმან სულკევიჩისა და სოლომონ

კრიმის მეთაურობით, თუმცა მას შემდეგ, რაც გერმანიამ ყირიმზე კონტროლი დაკარგა, რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ მოახერხა დროებით მისი ხელში ჩაგდება. შემდეგ შეიქმნა სამხრეთ რუსეთის მმართველობა გენერალ ანტონ დენიკინის მეთაურობით, რომელიც „თეთრების“ მეთაური იყო ბოლშევიკი „წითლების“ წინააღმდეგ.

1920 წელს ბოლშევიკებმა ყირიმისკენ იერიში წამოიწყეს. თავდაპირველად თეთრები, გენერალ იაკობ სლაშოვის მეთაურობით, წარმატებით ახერხებდნენ შეტევების მოგერიებას. გადამდგარი ანტონ დენიკინის ნაცვლად მეთაურად არჩეული გენერალი პიოტრ ვრანგელი ფლოტის დახმარებით ებრძოდა ყირიმში შემოჭრილ ბოლშევიკებს. თუმცა ნელ-ნელა ინიციატივა ბოლშევიკების ხელში გადავიდა. 1920 წლის ბოლოსთვის წითელმა არმიამ საბოლოოდ გატეხა თეთრების წინააღმდეგობა და ყირიმი დაიკავა. ბოლშევიკთა მოსვლა მასობრივი ტერორით აღინიშნა, რასაც, სხვადასხვა მონაცემებით, 20-დან 120 ათასამდე კაცი შეეწირა. სამოქალაქო ომის დასასრულისთვის ყირიმის მოსახლეობა რამდენიმე ათეული ათასით შემცირდა, 1921-22 წლებში შიმშილს კიდევ 75 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა. 1923 წლისთვის დაღუპულთა ერთიანი რიცხვი 100 ათასს აჭარ-



ბებდა და მათგან 75 ათასი ყირიმელი თათარი იყო. შიმშილობის დაძლევა მხოლოდ 20-იანი წლების მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი.

II მსოფლიო ომმა ყირიმს კვლავ დიდი უბედურება დაატეხა. 1941 წელს ნახევარკუნძულზე მოსახლე 60 ათასზე მეტი გერმანელი გაასახლეს. ნაცისტური გერმანიის ძალებმა ძლიერი იერიში მიიტანეს საბჭოთა კავშირზე და მათი სამხედრო ნაწილები ყირიმშიც შეიჭრნენ. საბჭოთა არმიამ კონტრშეტევა სცადა და ქერჩის სადესანტო ოპერაცია წამოიწყო (1941 წლის 26 დეკემბერი — 1942 წლის 20 მაისი). თავდაპირველი წარმატების შემდეგ, საბჭოთა ჯარებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. საბოლოოდ, ყირიმის გერმანიისგან დაბრუნება წითელმა არმიამ 1944 წელს შეძლო და იმავე წელსვე დაიწყო ნახევარკუნძულიდან ყირიმელი თათრების, სომხების, ბერძნებისა და ბულგარელების გასახლება. მათ ბრალი დასდეს ნაცისტურ გერმანიასთან აქტიურ თანამშრომლობაში.

1954 წელს ნახევარკუნძულზე მძიმე ეკონომიკური ვითარება შეიქმნა, რაც ომის შემდგომმა მდგომარეობამ და მუშახელის ნაკლებობამ გამოიწვია (ყირიმელ თათართა დეპორტაციის გამო) და საბჭოთა მთავრობამ ყირიმი უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შეუერთა. 1991 წლის

20 იანვრის რეფერენდუმით, ყირიმელთა 92,26%-მა ხმა მისცა ყირიმის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას, თუმცა იმავე წლის 24 აგვისტოს უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ყირიმის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დეკლარაცია რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტზე, რომლის მიხედვით ყირიმი რჩებოდა ავტონომიურ რესპუბლიკად, მაგრამ შედიოდა უკრაინის შემადგენლობაში. 1991 წლის 1-ელი დეკემბრის რეფერენდუმში, რომელშიც უკრაინელთა უმეტესობამ დამოუკიდებელ უკრაინაში ისურვა ცხოვრება, ყირიმელებმაც მიიღეს მონაწილეობა. მათმა 54%-მა საბჭოთა კავშირში დარჩენას უკრაინა ამაჯობინა. 1992 წელს უკრაინასა და ყირიმს შორის ვითარება დროებით დაიძაბა, რადგან ყირიმის უმადლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია ყირიმის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ, რამაც უკრაინის მთავრობის გაღიზიანება გამოიწვია. იმავე წელს ყირიმმა მიიღო კონსტიტუცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა უკრაინის კანონმდებლობას. რამდენიმე წლის შემდეგ უკრაინის მთავრობამ ყირიმის სახელმწიფო დამოუკიდებლობის დეკლარაციაც გააუქმა და ყირიმის კონსტიტუციაც. 1992 წლის ბო-

ლოს კი ვითარება ისე დაიძაბა, რომ უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი ომსაც არ გამორიცხავდა. ამჟამად დროს, რუსეთის პარლამენტმა გადახედა 1954 წლის დადგენილებას ყირიმის უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისთვის გადაცემის შესახებ და მისი გაუქმება გადაწყვიტა.

1998 წელს ყირიმმა ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც უკრაინის პარლამენტმაც დაამტკიცა, თუმცა ნახევარკუნძულზე პრორუსული ძალები კვლავ მძლავრობდნენ, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მოსახლეობის 60%-ს რუსები შეადგენდნენ.

2013 წლის დასასრულს უკრაინაში დაიწყო საპროტესტო აქციები, რაც გამოიწვია პრორუსული ორიენტაციის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის უარმა, ხელი მოეწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე. ქვეყანაში ფაქტობრივად რევოლუცია დაიწყო. უკრაინაში მიმდინარე არეულობით, იანუკოვიჩის გაქცევისა და ახალი მთავრობის მოწყობის პერიოდში, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მომენტით ისარგებლა და ყირიმში პრორუსული პროპაგანდა გააძლიერა. 2014 წლის 6 მარტს ყირიმის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში გადასვლის შესახებ და რე-

ფერენდუმი დანიშნა. რადგან მოსახლეობის უდიდეს ნაწილს რუსები შეადგენენ, შედეგად რუსეთის სასარგებლო აღმოჩნდა. 11 მარტს ყირიმისა და ქალაქ სევასტოპოლის უმაღლესმა საბჭოებმა მიიღეს დეკლარაცია ყირიმის რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის ავტონომიის შესახებ. ყირიმის რეფერენდუმი, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველთა 96% რუსეთის შემადგენლობაში შესვლას უჭერდა მხარს, არ აღიარა არც ერთმა დიდმა სახელმწიფომ, რუსეთის გარდა. 18 მარტს რუსეთსა და ყირიმის რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ყირიმის რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ. რუსებმა შტურმით დაიკავეს ის პუნქტები, სადაც ჯერ კიდევ უკრაინის სამხედრო ძალები იდგნენ. უმრავლესობას წინააღმდეგობა არ გაუწევია. 24 მარტს ყირიმის ოფიციალური ვალუტა რუბლი გახდა, თუმცა დროებით გრივნასაც შეუნარჩუნდა ყირიმის ვალუტის სტატუსი.

ყირიმის მოვლენები მსოფლიოს ყურადღების ეპიცენტრში მოექცა და პერიოდი, რომელსაც პირობითად ყირიმის კრიზისი უწოდეს, ჯერაც არ დასრულებულა. ეს ყველაფერი ნელ-ნელა გადაიზარდა უკრაინის სამოქალაქო ომში, რომლის მთავარი ხელშემწყობი რუსეთის სახელმწიფოა.

ნიკა სოფიანი

რუსული ჯავშანტექნიკა ყირიმში, 2014 წ.



**Auto
Bild**
საქართველო

№1

საავტომობილო
ჟურნალი
მსოფლიოსა
და საქართველოში



ყველაფერი ავტომობილების შესახებ

www.autobild.ge



მონტრეს კონვენცია შავი ზღვის „კანკორტი“ თითქმის 80 წლისაა

ბოსფორის სრუტეზე აგებული მესამე, ახალი ხიდი, იაუზ სულთან სელიმის სახელობისა
(ნაწილი III. დანაწიხისი იხ. „ისტორიანი“ №№ 37, 38)

1936 წლის 22 ივნისიდან 20 ივლისამდე, შვეიცარიის ქალაქ მონტრეს კონფერენციაზე შეიქმნა ახალი კონვენცია, რომელიც ისტორიაში „მონტრეს კონვენციის“ სახელით შვეიდა. მან შავი ზღვის სრუტეებზე — ბოსფორსა და დარდანელზე კონტროლის ბერკეტები თურქეთის რესპუბლიკას გადასცა. კონვენციას ხელს აწერდნენ: თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, ავსტრალია, იაპონია და საბჭოთა კავშირი.

სავაჭრო მიმოსვლა სრუტეებში

მონტრეს კონვენციის I ნაწილი არეგულირებს სავაჭრო ხომალდების მიმოსვლას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში. მშვიდობიანობის ჟამს, ნებისმიერი ქვეყნის სავაჭრო ხომალდს, ნებისმიერი სახის სავაჭრო ტვირთით, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლია ისარგებლოს სრუტეებით, ყოველგვარი გადასახადის გარეშე. მათი ერთადერთი ვალდებულება სანიტარიული შემოწმების გავლაა, რომელსაც თურქეთის სახელმწიფო აწევობს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. ყველა გემი, რომელიც შედის შავ ზღვაში, სრუტეებთან სანიტარიულ სადგურზე უნდა გაჩერდეს, სადაც საერთაშორისო სანიტარიული კანონმდებლობის თანახმად შემოწმდება — სხვადასხვა ვირუსისა თუ გარემოსთვის

მაგნე ტვირთის გადატანის თავიდან ასაცილებლად. პროცედურის გავლის შემდეგ ხომალდები გზას განაგრძობენ შავ ზღვაში.

სავაჭრო გემზე შავი ჭირი, ქოლერა, ტიფი ან სხვა ინფექციები თუ აღმოჩნდა, ან ბოლო შვიდი დღის განმავლობაში ბორტზე თუ შეინიშნებოდა ამ ვირუსების შემთხვევები, გემები სანიტარიულ სადგურებში საჭირო ხნით შეყოვნდებიან. გზას ისინი პრობლემის მოგვარების შემდეგ განაგრძობენ. რამე გადასახადი სანიტარიული შემოწმებისთვის დაწესებული არ არის.

მონტრეს კონვენციის მე-4 მუხლი არეგულირებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში სავაჭრო გემების მიმოსვლას ომიანობისას, იმ შემთხვევისთვის, როცა თურქეთი ომის მონაწილე არ არის. ასეთ

დროს ნებისმიერი ტიპის სავაჭრო ხომალდს, ნებისმიერი სახის სავაჭრო ტვირთით, უფლება ეძლევა, ისარგებლოს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით, ზემოაღნიშნული ფორმალობების დაცვით.

კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, ომია-ნობის ჟამს, როცა თურქეთი მეომარი მხარეა, შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის უფლება აქვს ყველა იმ ქვეყნის სავაჭრო ხომალდს, რომელიც არ არის ჩაბმული ომში თურქეთის წინააღმდეგ და არც თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ რომელიმე ქვეყანას ეხმარება. ამ ხომალდებს სრუტეებში შესვლა დღისით შეუძლიათ, დანიშნულების პუნქტამდე მისასვლელ მარშრუტს კი თურქეთის რესპუბლიკა არეგულირებს.

ტერმინი „სავაჭრო ხომალდი“ აღნიშნავს ყველა არასამხედრო ტიპის ხომალდს. სამხედრო გემებს კონვენციის მეორე ნაწილი ეძღვნება.

უზულდები სამხედრო ხომალდებისთვის

მონტრეს კონვენციის II ნაწილის მე-13 თავში საუბარია იმ შეტყობინებების ვადებზე, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო ხომალდებმა უნდა გაუგზავნონ თურქეთს, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში სამხედრო

ხომალდების გასატარებლად. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა საკუთარი სამხედრო გემის შავ ზღვაში შეყვანამდე რვა დღით ადრე უნდა შეატყობინონ თურქეთის რესპუბლიკას ამის შესახებ. არაშავიზღვისპირა რეგიონის ქვეყნებისთვის, შეტყობინება 15 დღით ადრე უნდა გაიგზავნოს. შეტყობინებაში მითითებულია დანიშნულების ადგილი, სახელი, ხომალდების ტიპი და რაოდენობა, შავ ზღვაში შესვლისა და შავი ზღვის დატოვების დრო.

კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, სრუტეებში ტრანზიტით გამავალი სამხედრო ფლოტის მაქსიმალური ტონაჟი არ უნდა იყოს 15 ათას ტონაზე მეტი, ფლოტში შემავალი ხომალდების რაოდენობა კი — არაუმეტეს 9 ხომალდისა. რაც შეეხება შავი ზღვის ქვეყნებს, მათ შეუძლიათ სრუტეებში მეტი ტონაჟის შეყვანა, ოღონდ გემებს ორ საესკადრო ნაღმოსანზე მეტი არ უნდა ახლდეს.

მე-18 მუხლში მიმოხილულია პირობები არაშავიზღვისპირა ქვეყნის სამხედრო ფლოტისთვის მშვიდობიან დროს, რის მიხედვითაც, შავ ზღვაში მყოფი ხომალდების წყალწყვა 30 ათას ტონას არ უნდა აღემატებოდეს. იმავე მუხლის ბ) პუნქტის მიხედვით, თუკი შავი ზღვის რეგიონის რომელიმე ქვეყნის სამხედრო ფლოტი გაიზრდება სულ

მდიდრული სასტუმრო „მონტრე პალასი“ შვეიცარიის ქალაქ მონტრეში, სადაც 1936 წელს კონვენცია გაფორმდა



რუსული კრეისერი „მოსკვა“
(წყალწვევა 11 490 ტონა)
სამხედრო სწვლელების დროს



ცოტა 10 ათასი ტონით, იმ წყალწვევასთან შედარებით, რაც ამ ქვეყნის ფლოტს მონტრეს კონვენციის ხელმოწერისას ჰქონდა, მაშინ არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ფლოტისთვის დაწესებული 30-ათასტონიანი შეზღუდვა გაიზრდება 45 ათას ტონამდე. ამ პარამეტრის რეგულირებისთვის, შავი ზღვის რეგიონის ყველა ქვეყანას ევალება, ყოველი წლის 1-ელ იანვარსა და 1-ელ ივლისს აცნობოს თურქეთს საკუთარი სამხედრო ფლოტის წყალწვევის შესახებ. თურქეთის რესპუბლიკა კი, თავის მხრივ, იმ დროისთვის ვალდებული იყო, მიღებული მონაცემები გადაეცა შესაბამისი ინსტანციისთვის ერთა ლიგაში.

მონტრეს კონვენციის მე-18 მუხლის ც) პუნქტის მიხედვით, არაშავიზღვისპირა ქვეყნის სამხედრო ფლოტის წყალწვევა არ უნდა აღემატებოდეს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს

შორის ყველაზე დიდი სამხედრო ფლოტის წყალწვევის ორ მესამედს.

პრივილეგირებულია ჰუმანიტარული დახმარების მიზნით შავ ზღვაში შემომავალი არაშავიზღვისპირა სამხედრო ფლოტი, რომლის წყალწვევაც, მე-18 მუხლის დ) პუნქტის მიხედვით, 8 ათას ტონას არ უნდა აღემატებოდეს. ამ შემთხვევაში სრუტეებში გატარება შესაძლებელია თურქეთისთვის გაგზავნილი შეტყობინების გარეშეც.

იმავე მე-18 მუხლის თანახმად, შავ ზღვაში ნებისმიერი მიზნით შესული არაშავიზღვისპირა სამხედრო ხომალდი იქ 21 დღეზე მეტს ვერ დაყოფს.

ომიანობისას, როცა თურქეთი მებრძოლი მხარე არ არის, მე-19 მუხლის მიხედვით, არამებრძოლ ქვეყანათა სამხედრო ფლოტებს სრუტეებით სარგებლობა შეუძლიათ. რაც

ბოსფორის სრუტე, შავი ზღვის „ჭიშკარი“





ამერიკული ზომადი
„მონტ უიტნი“ შავ ზღვაში
2008 წლის აგვისტოს ომის
დასასრულს შემოვიდა
(წვალწყვა — 18400 ათასი ტონა)

შეეხება ომის მონაწილე ქვეყნებს, აქ საქმე შედარებით რთულადაა. შავ ზღვაში შესვლა შეუძლია იმ ქვეყნის სამხედრო ფლოტს, რომელიც, ერთა ლიგის წესდებისა და კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე თურქეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმდინარე ომში აგრესიის მსხვერპლი მხარის დახმარებას ლამობს.

საომარ ვითარებაში, როცა თურქეთი მებრძოლი მხარეა, მე-20 მუხლის თანახმად, შავ ზღვაში ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო ფლოტის მოძრაობის რეგულირება მთლიანად თურქეთის განკარგულებაში გადადის.

კონვენციის მეორე ნაწილი 22-ე მუხლით სრულდება, რომელიც მე-3 მუხლის მსგავსად, ზომალდზე ვირუსული ინფექციის თუ სხვა რამ გარემოსთვის მავნე და მაინფიცირებელი ნიშნების შემჩნევის შემდეგ, ზომალდს კარან-

ტინის გავლას ავალდებულებს, რის შემდეგაც იგი გზას განაგრძობს.

* * *

მონტრეს კონვენციის მესამე ნაწილი, რომელიც მხოლოდ 23-ე მუხლისგან შედგება, სამოქალაქო ავიაციას ეხება. ამ მუხლის მიხედვით, თურქეთის რესპუბლიკამ უნდა დაადგინოს მარშრუტი ხმელთაშუა ზღვასა და შავ ზღვას შორის მფრინავი სამოქალაქო საავიაციო რეისებისთვის. განსაკუთრებული შემთხვევების მიზეზით ფრენასთან დაკავშირებით, თურქეთმა რეისის შესახებ ინფორმაცია სამი დღით ადრე უნდა მიიღოს. რეგულარული ფრენის რეჟიმისთვის კი თურქეთს ფრენის განრიგი უნდა ჰქონდეს, რეგიონში საფრენი ზოლების უსაფრთხოების რეგულირებისთვის.



მოქმედების ვადები

კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, მისი რატიფიცირება უახლოეს ვადებში უნდა მომხდარიყო. თავად დოკუმენტი იგზავნებოდა პარიზში. მონტრეს კონვენციაზე ხელის მოწერის საშუალება, მისი რატიფიცირების შემდეგ, ეძლეოდა ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც 1923 წლის 24 ივლისს ლოზანის კონფერენციაში მონაწილეობდა. საინტერესოა, რომ ყველა ხელმოწერა კონვენციაზე უნდა მომხდარიყო ოფიციალურ პარიზთან შეთანხმებით.

მონტრეს კონვენცია, 28-ე მუხლის მიხედვით, ძალაში დარჩებოდა 20 წელიწადს და ავტომატურად გაგრძელდებოდა, თუ არც ერთი ხელის მომწერი მხარე არ მოითხოვდა მის დენონსაციას ვადის გასვლამდე ორი წლით ადრე. 20 წლის გასვლის შემდეგ დენონსაციის მოთხოვნისას კი კონვენცია ძალაში რჩებოდა კიდევ ორი წლის განმავლობაში. ნებისმიერი ასეთი მოთხოვნა უნდა შეთანხმებულიყო ოფიციალურ პარიზთან, კონვენციის დენონსაციის შემდგომ მოიწვეოდა საგანგებო კონფერენცია, რომელიც ახალი კონვენციის შემუშავებაზე იმსჯელებდა.

მონტრეს კონვენციის გაფორმებიდან ხუთწლიანი ვადის გასვლამდე, კონვენციის

უკანასკნელი, 29-ე მუხლის მიხედვით, ყოველ ხელის მომწერ სახელმწიფოს უფლება ეძლეოდა, ერთი ან რამდენიმე მუხლის შესწორება-გაუმჯობესებაზე ემუშავა. სარევიზიოდ წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი გამაგრებული უნდა ყოფილიყო დანარჩენი წევრების თანხმობით (ხუთწლიანი ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე), აგრეთვე საკითხის წამოჭრელი მხარის მიერ წერილობითი ახსნა-განმარტებით.

მონტრეს კონვენცია 1936 წლის 20 ივლისს გაფორმდა. დამზადდა თერთმეტი ასლი. პირველი, რომელზეც ქვეყნების წარმომადგენელთა ხელმოწერები იყო დასმული, შესანახად პარიზში გაიგზავნა, ხოლო დანარჩენი ათი ასლი ხელის მომწერ ქვეყნებს გაეგზავნა.

„ყვარი“ დოკუმენტი

მონტრეს კონვენციის მიღების შემდეგ, ხელის მომწერ მხარეთაგან რევინია არ მომხდარა (მიუხედავად იმისა, რომ რევინიის მცდელობა რამდენჯერმე იყო). მოხდა მხოლოდ მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი ჩასწორებანი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, რამაც შავი ზღვის სრუტეებზე თურქეთის გავლენა კიდევ უფრო განამტკიცა.

1982 წლის 24 აპრილს მიიღეს გაერთიანებული ერების კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (United Nations Convention on the Law of the Sea), რომლის 41-ე მუხლი თურქეთს ანიჭებს უფლებას, გარკვეულწილად საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები მშვიდობიანობის პერიოდშიც. ეს უფლება თურქეთმა გამოიყენა და სრუტეების მიმართ პოლიტიკა გაამკაცრა 1994 წლის 13 მარტს დარდანელის სრუტესთან მომხდარი ავარიის შემდეგ, როცა ორი კვიპროსული ზომალდი (მათ შორის ერთ-ერთი დატვირთული 98,6 ათასი ტონა ნავთობით) შეჯახებისას აფეთქდა და დაახლოებით 18 ათასმა ტონა ნავთობმა დარდანელის სრუტის ზედაპირის თითქმის 60% დაფარა. ინციდენტის საპასუხოდ, თურქეთმა 1994 წლის 1-ელ ივლისს დამატებით აამოქმედა თურქეთის სრუტეებსა და მარმარილოს ზღვაში მოძრაობის წესები.

კახაბერი მალინაძე

თსუ ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრანტი



თურქეთში პირველი ქართული კლასის მასწავლებელი მუსტაფა კოლატაშვილი (კოლატი).
სოფელი ნურუსმანიე

„დადა ენა“ თურქეთში

„ჩაურ ქართველებს არ სჯეროდათ, რომ
ეს პროექტი ბანხორციელებოდა“

თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ ქვეყნის საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა დაამტკიცა. თუ სკოლაში ქართული ენის შემსწავლელი ათი და მეტი მოსწავლე იქნება, ისინი V, VI, VII და VIII კლასებში ქართულ ენას 244-საათიანი პროგრამით შეისწავლიან.

ქართული ენის სწავლების პროგრამის შედგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თურქეთში ქართული კულტურის სახლის ხელმძღვანელ ერდალ ქუჩუკსა (ელიზბარ ციმნარიძეს) და ცნობილ ანკარულ მწერალ ქევსერ რუპის (ქეთევან ხანთაძეს). პროგრამის თარგმნაში, ქევსერ რუპისთან ერთად, მონაწილეობდნენ პროფესორი ნანა კაჭარაუა და ანკარის უნივერსიტეტის მაგისტრანტი მარიამ გაფრინდაშვილი.

ელიზბარ ციმნარიძე (პროექტის ორგანიზატორი): — თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის ეს პროექტი ისტორიული მნიშვნელობისაა. ქართული კულტურის სახლის ინიციატივითა და თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მოთხოვნის

შესაბამისად, მათთან თანამშრომლობის საფუძველზე, მომზადდა „ქართული ენის სასწავლო პროგრამა“ (ნუსხა), როგორც არჩევითი საგანი თურქეთის სკოლების V, VI, VII და VIII კლასების მოსწავლეებისთვის. პროგრამა განათლების სამინისტროს სწავლებისა და აღზრდის საბჭომ დაამტკიცა.

მთელი თურქეთის მასშტაბით, ჩვენი სურვილია, საშუალო და რელიგიური სკოლების V, VI, VII და VIII კლასების მოსწავლეებმა ქართულ ენას მიანიჭონ უპირატესობა, როგორც არჩევით საგანს. მთავარია, ინფორმაცია სწორად და დროულად მიწოდოს ქართული წარმოშობის იმ მოსწავლეებსა და მათ შმობლებს, ვისი მშობლიური ენა ქართულია. ამ მიმართულებით ვმუშაობთ, ინფორმაციას



ელიზბარ ციმნარიძე: ჩვენი სურვილია, მთელი თურქეთის საშუალო და რელიგიური სკოლების V-VIII კლასების მოსწავლეებმა ქართულ ენას მიაჩვენონ უპირატესობა, როგორც არჩევით საგანს

ვაცნობთ ყველას, ვისაც ქართული ენის შესწავლა აინტერესებს, რადგან სკოლაში ქართული ენა რომ ისწავლებოდეს, სულ ცოტა, ათმა მოსწავლემ მაინც უნდა გამოთქვას სურვილი. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია სკოლის ხელმძღვანელობას სპეციალური კლასის გახსნა.

მწერალი ქვესერ რუპი, ქართული ენის პროგრამის ავტორი



თურქეთის საგანმანათლებლო სისტემის მსგავს სასწავლო პროგრამებს შორის ქართული ენა პირველია, რომელიც საკუთარი ანბანით შემოდის. გარდა ამისა, ქართული ალიარბულია როგორც საერთაშორისო ენად, ისე — ადგილობრივ, ცოცხალ ენად.

— როგორც ვიცით, ამ საკითხზე კარგა ხანია მუშაობთ...

— პირველად 2004 წელს მოვითხოვეთ თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროსგან მშობლიურ ენაზე განათლების უფლება. 2012 წელს კი მივმართეთ მოთხოვნით, არჩევითი საგანი ქართული ენა ყოფილიყო. მწერალმა და თარჯიმანმა ფაჰრეთინ ჩილოღლუმ მოამზადა სასწავლო პროგრამა და ქართული ენის სწავლების ნუსხა. ეს სამუშაოები თურქეთისა და საქართველოს პედაგოგთა, სპეციალისტთა და თარჯიმანთა ჯგუფმა განაგრძო. ამისთვის მადლობას ვუხდით თურქეთის ეროვნული განათლების მინისტრს ნაბი აჯჯის, ეროვნული განათლების სამინისტროს, სწავლებისა და აღზრდის საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორ ემინ ქარიფს, დაწვევითი განათლების გენერალურ დირექტორატსა და სამინისტროს ყველა იმ თანამშრომელს, ვინც წვლილი შეიტანა ამ საქმეში; ასევე, ყველა იმ სპეციალისტს, საქართველოსა და თურქეთიდან, ვინც მოამზადა ქართული ენის სასწავლო პროგრამა, მათ შორის, მწერალსა და პედაგოგს ქვესერ რუპის. მნიშვნელოვანი იყო ახმედ ოზქანის (მელაშვილის) და მისი მეგობრების მიერ თურქეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმის წამოწყება, რომელთა მიერ ანთებული ცეცხლი დღესაც გვაჩვენებს გზას... ქართული კულტურის სახლი არის ძალიან ამაყი და ბედნიერი, რადგან ამ დიდ სიხარულს იზიარებს როგორც თურქეთის ქართველებთან, ისე ყველა ქართველთან ერთად.

ქვესერ რუპი (ქართული ენის პროგრამის ავტორი): — ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, მეტად საჭირო პროექტია. ქართველი სპეციალისტების მომზადებული პროგრამა თურქულად მარიამ გაფრინდამვილმა თარგმნა. მე თარგმანის რედაქტორი ვარ. თარგმნისა და რედაქტირების დასრულების შემდეგ მივხვდი, რომ პროგრამა არასრულყოფილი იყო. ამას მაშინ მივხვდი, როდესაც ქურთული, ჩერქეზული და აფხაზური ენების პროგრამებს გადავხედე, რომლებიც უფრო ადრე მომზადდა. ქურთული ლათინური ან-



საქარაიას ილის ცენტრი, ქალაქი ადაფაზარი ▲

პირველი ქართული კლასი სოფელი ნურუოსმანიეში გაიხსნა ►

ბანით ისწავლება, ჩერქეზული და აფხაზური კი კირილიცაით. ქართულს საკუთარი ანბანი აქვს და პროგრამაც ამის გათვალისწინებით უნდა მომზადებულიყო... თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტრო ითხოვდა პროგრამის მომზადებას „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტის“ კრიტერიუმების შესაბამისად. საქართველოში პროგრამა სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა, მაგრამ ჩემი აზრით, მას დახვეწა სჭირდებოდა. ნიმუშად „ევროპული ენების საერთო ჩარჩო-დოკუმენტი“, სხვა ენებისა და კილოკავების პროგრამები ავიღე და ქართული ენის პროგრამა მოვაშადადე, რომელიც თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს ოთხმა სხვადასხვა თანამშრომელმა დაწვრილებით შეისწავლა. საბოლოოდ, პროგრამა დამტკიცდა, რის შემდეგაც საქარაიას ილის გეიფეს ილჩეს სოფელ ნურუოსმანიეში ქართული ენის არჩევით საგნად სწავლება დაიწყო... პროგრამა კოლექტიური შრომის შედეგია. მუშაობაში ქართული კულტურის სახელიც ჩაება. ერთად ქუჩუქის დამსახურებაა სოციალური კავშირების უზრუნველყოფა და სამუშაოს კოორდინირება. მადლობას ვუხედი ყველას, ვინც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო და დახმარება აღმოგვიჩინა.

მუსტაფა კოლათი (ქართული ენის მას-




წავლებელი): — ეროვნული განათლების სამინისტრომ ქართული ენის შესწავლის პროგრამა შარშან დაამტკიცა. ველოდით, რომ ქართული კლასი გასულ სეზონზე გაიხსნებოდა, მაგრამ დამტკიცება სექტემბრის ბოლომდე ვერ მოესწრო და ჯგუფების გახსნა გადაიდო... ერთი სიტყვით, იფინის პირველ კვირაში მივედი მშობლებთან, ვთხოვე, განცხადებები შეეტანათ სოფელ ნურუოსმანიეს სკოლაში, სადაც მასწავლებლად ვარ წარდგენილი. ეს საკმაოდ რთული პროცესი იყო და უნდა ვაღიარო, ძალიან გამიჭირდა.

— **რატომ?**

— აქ მცხოვრებ ქართველებს ვერ წარმოედგინათ, რომ პროექტი რეალური იყო და გაცეცხული მეკითხებოდნენ, — როგორ, აქაურ სკოლაში ქართული ენა შეისწავლებაო?! ძალიან ბევრი ვიმუშავეთ მათ დასარწმუნებლად და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანეს განცხადებები.

გარდა ამისა, არაერთი შეხვედრა მქონდა რაიონის განათლების განყოფილების დირექტორთან და საბოლოოდ შეთანხმებასაც მივაღწიეთ... უკვე ორი კლასი არსებობს სოფლის სკოლაში, რომლებშიც 25 ქართველი მოსწავლე ეუფლება ქართულ ენას.

— **ბავშვებმა ქართული ანბანი ზომ არ იცოდნენ?**



მასწავლებელი და მოსწავლეები ქართულ კლასში



— არა. მეტიც, უმეტესობას საერთოდ არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა, მაგრამ ახლა უკვე ქართული ანბანიც იციან და წერა-კითხვაც. საბედნიეროდ, ძალიან დაინტერესებული არიან. მჯერა, სასწავლო წლის ბოლომდე, ანუ 2015 წლის ივნისამდე წერა-კითხვასთან ერთად, ქართულად ლაპარაკსაც შეისწავლიან. მომავალ წლებში კი გამართულად ილაპარაკებენ წინაპართა ენაზე. როცა მშობლები მოვიდნენ სკოლაში და გაკვეთილებს დაესწრნენ, ძალიან კმაყოფილი დარჩნენ, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც არ ცდილობს ამ პროექტში ჩართვას და ვცდილობთ, საკუთარი წარმომავლობის შესახებ მეტი რამ გავაცნოთ...

მუშაობის პროცესში მივხვდი, რომ მშობლიურ ფესვებთან მიბრუნება არც ისე ადვილი ყოფილა, მაგრამ ეს აუცილებელია და რადგან დავიწყეთ, გაგაგრძელებთ კიდევ...

— სათანადო კადრები თუ გვაყო, კვალიფიციური მასწავლებლები?

— მასწავლებლების პრობლემა მართლაც არსებობს და აუცილებლად მოსაგვარებელია. მაგალითად, მე მაქვს ჩემი ბიზნესი, რის გამოც დრო არ მყოფნის, იმავედროულად, არც პროფესიით ვარ ქართულის მასწავლებელი, მაგრამ სხვა გზა არ იყო. თანაც, ქართული ბრწყინვალედ თუ არა, ნორმალურად ვიცი და ამიტომ როცა მასწავლებლობა შემომთავაზეს, უარი არ მითქვამს. ეს ჯერ პირველი



ნაბიჯებია, საგაისოდ მეტი ამბიციები გვაქვს და იმედიც, რომ მათ ხორცშესხმას შევძლებთ. გვინდა, ეს პროექტი სხვა რაიონებშიც გავრცელდეს, დაინტერესება გაიზარდოს და მასწავლებლების დეფიციტის პრობლემაც მოგვარდეს.

ოსმან კამურადე (თურქეთელი ქართველი):

— ქართული წარმომავლობის მოსახლეობას ადგილობრივი მთავრობა დიდ პატივს სცემს. ჩვენ ყველგან ვართ, ქალაქის მერიამში, პარლამენტში. ქართველებს გუბერნატორებადაც ირჩევენ, სამხედრო სფეროშიც ვართ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბუნებრივია სადაც ვცხოვრობთ, იმ ქვეყნის, თურქეთის კანონებს, დროშას პატივს ვცემთ. მე ვარ თურქეთის მოქალაქე — პირადობის მოწმობით, მაგრამ სისხლითა და გენით ქართველი ვარ. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ თურქეთში ქართველებს გვეძახიან გურჯებს, ბათუმში კი — თურქებს ან თათრებს. თურქეთის რესპუბლიკაში, მაგალითად, თუ ვიკითხავ ვინმეზე — ეს ვინ არის, მეუბნებიან — „ეს ბეშირის შვილია, ჩვენებური რომ არის, გურჯი“, ბათუმში ჩამოდიხარ და თურქაო, — ამბობენ... 2006 წელს ინტერვიუ მივეცი ერთ-ერთ ჟურნალისტს, რომელმაც მითხრა, ბატონო ოსმან, ალბათ მაინც თურქი ხარო, რადგან თურქეთში დაიბადეთო. მე ვუთხარი, გემლებათ, ქალბატონო, თუ ადამიანი ავტობუსში დაიბადა, „ავტობუსელი“ იქნება-მეთქი?! რა მნიშვნელობა

აქვს, სად დავიბადე, თუ ქართველი ამერიკაში დაიბადა, ამერიკელია?! ეს არასწორი მიდგომაა და ალბათ ახალი თაობა ამას აღარ იტყვის. ალბათ გადავლახავთ ამას. ძალიან მიხარია, რომ ქართული ენის სწავლება დაიწყო. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს ჩვენს ხალხს თავის მშობლიურ ადგილებთან, დამძებთან ურთიერთობას გაუადვილებს. მინდა, ჩემი შვილები და შვილიშვილები, თურქეთის კვალდაკვალ, თავიანთ ენაზე გამართულად ლაპარაკობდნენ, ასე უფრო შეინარჩუნებენ საკუთარ ფესვებს. მაღლობა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, რომ აქაური ქართველების უფლებებსა და თვითმყოფადობას პატივისცემით ეკიდება.

ფარნა-ბექა ჩილაშვილი (მწერალი):

თურქეთის რესპუბლიკაში ქართული ენის პროგრამის დამტკიცებას მთავრობა ბოლო დრომდე ხელს უშლიდა. მეტიც, პატარა ქალაქებში, მაგალითად ტაო-კლარჯეთის ქართულ მოსახლეობაში ქართული ენის კურსების გახსნაც ძნელდებოდა. ასეთი კურსები მხოლოდ ისეთ დიდ ქალაქებში თუ იხსნებოდა, როგორც სტამბოლი და ანკარა. პროგრამის დამტკიცების უკან დგას ევროკავშირის მოთხოვნა თურქეთისადმი, როგორც კანდიდატი ქვეყნისადმი, შეასრულოს ადებული ვალდებულება. ის ითვალისწინებს თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხისთვის მშობლიური



ქართველი საბავშვო ბლოგერის, თამუნა ვაბისონიას სახალისო პროექტში („ანბანი ქვებზე“) შექმნილი ეს კომპოზიცია ჩვენებურმა მურღულელმა (ართვინი) ოსმან სეიფოლლუმ (კუტუბიძემ) მოგვარდა და ისიც მოგვწერა, რომ თბილისელი ბავშვების ამეტიველებული რიყის ქვები ყველაზე უკეთ ეზიანება თურქეთში მცხოვრები ქართველების ახლანდელ განწყობას



ფარნა-ბექა ჩილაშვილი: იქნებ მართლაც, ქართველმა ბავშვებმა ქართული ენა იმ სკოლებშიც შეისწავლონ, სადაც მათი ბაბუები და მამები კუთხეში ცალ ფეხზე დგომით ისჯებოდნენ ქართულად საუბრის გამო

ენის შემსწავლელი კლასების გახსნას ადგილობრივ სკოლებში. თურქეთის მიღებული ჰქონდა შესაბამისი კანონი და რამდენიმე ენის შესწავლის (ქურთული, ლაზური, ჩერქეზული და აფხაზური) პროგრამაც დამტკიცებული იყო. ქართული ენა კი რატომღაც გააჭიანურეს. ქართული კულტურის სახლისა და ქალბატონ ქეთევან ხანთაძის ფასდაუდებელი შრომით, ეს დაგვიანებული საქმე ადგილიდან დაიძრა. ახლა უნდა დაველოდოთ, როგორ ჩაერთვება ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ქართულის, მშობლიური ენის „უკან დაბრუნებაში“ და იმედი მაქვს, მთელ თურქეთში თუ არა, ქართველებით დასახლებული სოფლების (ქალაქებისაც) უმეტეს სკოლებში გაიხსნება ქართული ენის შემსწავლელი კლასები. იქნებ მართლაც, ქართველმა ბავშვებმა ქართული ენა იმ სკოლებშიც შეისწავლონ, სადაც მათი ბაბუები და მამები კუთხეში ცალ ფეხზე დგომით ისჯებოდნენ ქართულად საუბრის გამო.

როზეტა გუჯეჯიანი, (ეთნოლოგი, პრო-

ფესორი): — ამ ბოლო ხანებში თურქეთის ქართული კულტურის ცენტრებში არსებულ დედა ენის შემსწავლელ კურსებს კიდევ ოთხი მიემატა. დუზჯეს უნივერსიტეტში მეორე წელია, მოქმედებს ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება (პროფესორ მაკა სალიას ხელმძღვანელობით). წლეულს კი დამტკიცდა საჯარო სკოლებში მსურველთათვის ქართული ენის სწავლების პროგრამა და რაც მთავარია, უკვე პირველი კლასიც გაიხსნა. საქართველომ „ოქროს საწმისის“ ორდენებით დააჯილდოვა პირველი ქართული კლასის პედაგოგი მუსტაფა კოლატაშვილი (კოლათი), ასევე ამ პროგრამის ავტორები, მწერალი ქვესერ რუპი (ქეთევან ხანთაძე) და ცნობილი პროდიუსერი ერდალ ქუჩუკი (ელიზბარ ციმნარიძე). ვულოცავთ მათ ამ ჯილდოს და იმედი გვაქვს, მშობლიურ მივიწყებულ ენას კიდევ ბევრი თურქეთელი ქართველი შეისწავლის და წინაპართა ფესვებს შთამომავლობას არ დაუკარგავენ.

ლალი პაპასკირი

week



მატალკოლიგრაფიული, სპორტული შურნალი, ყოველ შაბათს
შექმნილია გაცემით „ლალოს“ გაცემა

კანიბალი, რომელმაც იმპერატორი გახდა

— გაიცანით, ეს ჩემი დაცვის უფროსია, ეს მღვანი, ეს ექიმი, ეს კი... ჩემი საუზმეა, — ასეთი ანეკდოტები დადიოდა ცენტრალური აფრიკის დიქტატორ ბოკასაზე, რომელიც აფრიკის კონტინენტზე მარქსიზმის ერთ-ერთ პიონერად მიიჩნეოდა. ოფიციალურად კანიბალიზმის ბრალდება მას მოგვიანებით წაუყენეს.

კრიმლის ფსონი ბოკასაზე

დეკოლონიზაციის პროცესი ცივი ომის პირობებში მიმდინარეობდა. როგორც რუსეთი, ისე დასავლეთი მის გამოყენებას საკუთარი ინტერესებისთვის ლამობდა. აფრიკა უმწვავესი ბრძოლების ასპარეზად გადაიქცა. დაიღვარა უამრავი სისხლი. ამ დროს ბევრი ავანტიურისტი თუ სადისტი აღზვედა — ბოკასა, სავიმბი, კადაფი, ჰაბრუ, ჩომბე, ლუმუმბა... ბოკასა მათ შორისაც კი გამოირჩეოდა.

ჟან-ბედელ ბოკასა 1921 წელს დაიბადა.

ეროვნული მოძრაობის ლიდერს, ბერტელეში ბოგანდას, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დამფუძნებელ მამად მიიჩნევენ



ჟან-ბედელ ბოკასა

მამამისი თავის დროზე ფრანგმა კოლონიზატორებმა დახვრიტეს, დედამ თავი მოიკლა. ხუთი წლის ბოკასა ბიძამ გაზარდა. მას სურდა, ბიჭი მღვდელი გამოსულიყო, მაგრამ ბოკასამ სამხედრო კარიერა აირჩია. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში (იბრძოდა საფრანგეთის არმიასში), 1950-1952 წლებში კი ინდოჩინეთში, ფრანგული კოლონიური ჯარების შემადგენლობაში იმყოფებოდა. ცენტრალური აფრიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში 1954 წლიდან ჩაება. ეროვნული მოძრაობის ლიდერი ბერტელეში ბოგანდა მისი უახლოესი ნათესავი იყო. სწორედ მან დააარსა „მოძრაობა შავი აფრიკის სოციალური ევოლუციისთვის“. ბოკასამ შესთავაზა, თავი მარქსისტებად გაესაღებინათ. ბოგანდას გაცეცხას საზღვარი არ ჰქონდა:

— მარქსიზმი ხომ უტოპიაა?

— ჰო, მაგრამ რუსეთი დაგვეხმარება! — მიუგო ბოკასამ.

— და მოსკოვის კოლონია გავხდებით, არა? — ბოგანდამ თავი გააქნია, — არავითარ შემთხვევაში!

ბოგანდამ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას მიაღწია. ფაქტობრივად, მისი დამფუძნებელი მამა გახდა. თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ცოტა ხნით ადრე ის ავტოვარიამში დაიღუპა. სანამ ბოგანდა ცოცხალი იყო, ქვეყანას



ცენტრალური აფრიკის პრეზიდენტი დევიდ დაკო და ისრაელის პრეზიდენტი იცჰაკ ბენ-ცვი

სამომავლოდ დიქტატურის ან საბჭოელების შესვლის არაფერი ეტყობოდა. ბოგანდას სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტი მისი ნათესავი დევიდ დაკო გახდა. მან თავისი ბიძაშვილი ბოკასა გენშტაბის უფროსად დანიშნა.

— ბოკასამ ამბიციებითა და პატემოყვარობით ჩვენი ყურადღება მიიპყრო. ის აბსოლუტურად უპრინციპო გახლდათ და ძალაუფლების გამო ყველაფერზე წავიდოდა, — წერს სუკის ყოფილი ოფიცერი ოლეგ გორდივესკი. „ბოკასაზე ფსონი უნდა დავდოთ“, — ასე გადაწყვიტეს მოსკოვში.

საახალწლო პუტჩი

1964 წლის აგვისტოში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (ცარ) სუკის სპეციალური მისია ჩავიდა. მას პოლკოვნიკი ალექსანდრე შურავლიოვი მეთაურობდა. შურავლიოვი საიდუმლოდ შეხვდა ბოკასს და განუცხადა:

— თქვენი რესპუბლიკის ჟანდარმერიის მეთაური გადატრიალებას ამზადებს!

ბოკასა უმაღლეს ყურძინს დასწვდა. შურავლიოვი ჩუმად იჯდა და გენშტაბის უფროსს მრავლისმეტყველი მზერით შესცქეროდა.

— სად აპირებთ დარეკვას?

— თქვენ მითხარით, რომ გადატრიალება მზადდება. ჩემი ვალია ყოველივე პრეზიდენტს მოვახსენო.

— რატომ? — შურავლიოვმა გაიღიმა, — მოსკოვში მიიჩნევენ, რომ თქვენ ბევრად ღირსეული ლიდერი ხართ.

ბოკასამ ყურმილი დადო, თუმცა შურავლიოვს განუცხადა, საბჭოთა კავშირის პირველ პირებთან საუბარი მსურსო. მოსკოვში იგი 1964 წლის დეკემბერში ჩავიდა, სადაც პირადად ბრეჟნევემ მიიღო.

— შეხვედრა საიდუმლო ვითარებაში გაიმართა, — წერს აკადემიკოსი ევგენი ჩაზოვი.

სამშობლოში ბოკასა ფრთაშესხმული დაბრუნდა. მალე ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სუკის სპეცრაზმი გადასხეს.

— მათ ბოკასას მხარდაჭერა ჰქონდათ დაფალებული, — წერს გორდივესკი.

ცენტრალური აფრიკის ჟანდარმერიის შეფმა პუტჩი 1965 წლის 30 იანვარს, საღამოს დაიწყო. ბოკასა ამას საფრთხით მომზადებული შეხვდა. 31 იანვარს, გამთენიისას, სუკის სპეცრაზმმა პრეზიდენტის სასახლე დაიკავა. პრეზიდენტი დაკო დააპატიმრეს. გენშტაბის მეთაურმა ბოკასამ თავი პრეზიდენტად გამოაცხადა.

— ეს გადატრიალება ისტორიაში საახალწლო პუტჩის სახელით შევიდა, — წერს საერთაშორისო საკითხებზე მომუშავე საბჭოთა და რუსი ჟურნალისტი და პროზაიკოსი პენრიხ ბოროვიკი.

გაოგნებული მზარეული

ხელისუფლებაში მოსულმა ბოკასამ ყველა ოპოზიციური პარტია აკრძალა. მათი ლიდერები დააპატიმრეს და სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს. უკვე მაშინ დაირხა ხმები, რომ ბოკასა ოპოზიციონერთა ხორცს საკვებად იყენებდა. ბოკასამ ეს, ბუნებრივია, უარყო:

— ასეთ ხმებს ჩემი მტრები მივრცელებენ!
— განაცხადა მან.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოკასამ ე.წ. მარქსისტული რეფორმები დაიწყო. საბჭოთა კავშირის მსგავსად, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაშიც კოლმეურნეობები შეიქმნა. მათ სახელმწიფო საწარმოები დაერქვათ. მოსკოვში ეს მაშინვე დააფასეს. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს. ამან ბოკასას ძალაუფლება კიდევ უფრო განამტკიცა.

— მან თავი მუდმივ პრეზიდენტად გამოაცხადა, — წერს საბჭოთა მწერალი იულიან სემიონოვი.

1970 წელს ბოკასა მოსკოვში ჩავიდა. აქ ის უმაღლეს დონეზე მიიღეს. ცენტრალური აფრიკის დიქტატორმა მოსკოვში მკურნალობის კურსიც გაიარა. რუსული კერძები ბოკასას ძალიან შეუყვარდა, ამიტომ ბრეჟნეფს სთხოვა, თქვენი მზარეული გამომიგზავნეთო.

— ბრეჟნეფმა თხოვნა შეუსრულა, — წერს ევგენი ჩაზოვი.

მზარეული ბოკასას მართლაც გაუგზავნეს,

თუმცა მან ცენტრალურ აფრიკაში დიდხანს ვერ გაძლო და ზარდაცემული საბჭოთა საელჩოში გაიქცა:

— წამიყვანეთ აქედან! მეტი აღარ შემიძლია!

— რა იყო, რა მოხდა?

— ბოკასას მაცვიარში ადამიანის ხორცს წავაწყდი! ის კანიბალია, გესმით?

მზარეული რუსეთში დააბრუნეს, თუმცა საბჭოთა კავშირი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასთან მეგობრულ ურთიერთობას მაინც ინარჩუნებდა:

— ბრეჟნეფმა თქვა, მთავარი ის არის, რომ ბოკასა გვჭირდებაო, — წერს აკადემიკოსი ჩაზოვი.

იმპერატორი

რუსების დახმარებით ბოკასამ სრულყოფილი პოლიციური რეჟიმი შექმნა. მისი ძალაუფლება განუზომელი იყო. 1976 წელს მან თავი იმპერატორად გამოაცხადა.

— გაიმართა მმართველი პარტიის ყრილობა, რომელმაც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა იმპერიად გამოაცხადა, ხოლო ბოკასას იმპერატორის ტიტული მიანიჭა, — წერს იულიან სემიონოვი.

კორონაციის პომპეზური ცერემონია 1976 წლის 4 დეკემბერს მოეწყო. ბოკასას იდეალი ნაპოლეონ ბონაპარტე იყო და ცერემონიალიც ნაპოლეონის კორონაციას ზუსტად იმეორებდა.

დედაქალაქ ბანგის ქუჩებში





ბოკასს კორონაცია





ბავშვები ბოკასას კორონაციაზე



ბოკასა გვირგვინის დადგმის მოლოდინში



იმპერატორი ბოკასა I

ბოკასას ძველი სოფელ ბარენგოში,



— გვირგვინი ევროპის წამყვანმა ფირმებმა დაამზადეს! იგი 2000-მდე ბრიალიანტის თვლით იყო მოოჭვილი, — წერს სემიონოვი.

კორონაციაზე ბოკასამ აშშ-ის და საფრანგეთის პრეზიდენტები, გერმანიის კანცლერი, რომის პაპი და ბრუქელის დედაქალაქი. არც ერთი მათგანი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში არ ჩასულა.

— ბოკასას ყველა შეშლილად მიიჩნევდა. თვით ბრუქელშიც კი კორონაციაზე ჩასვლა ვერ გაბედა, — წერს საბჭოთა და რუსი ჟურნალისტი, საერთაშორისო მიმომხილველი ლეონიდ მლეჩინი.

მიუხედავად ამისა, კორონაცია გაიმართა. ბოკასაც იმპერატორი გახდა.

რატომ დაამხმს ბოკასა I

ბრუქელის დემარშმა ბოკასა გაანაწყენა და მან პარიზთან დაახლოებისკენ გადადგა ნაბიჯი. ცენტრალურაფრიკელი იმპერატორი მოსკოუსა და დასავლეთს შორის ლაღირებდა. ამან კრემლი შეაშფოთა.

— ბრუქელმა ბოკასასთან დიპლომატიური დესანტი აფრინა, — წერს იულიან სემიონოვი. შედეგად მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ბოკასა თავის ე.წ. „ანტიიმპერიალისტურ პოლიტიკას“ გააძლიერებდა. კერძოდ, ლაპარაკი იყო ლიბიასთან ალიანსსა და ერთობლივ კოორდინირებულ მოქმედებაზე. საფრანგეთში მიიჩნიეს, რომ ბოკასას ხელისუფლებაში დატოვება აღარ შეიძლებოდა.

— საფრანგეთმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სპეცოპერაცია მოაწყო, — წერს ლეონიდ მლეჩინი.

ფრანგ მედესანტებებს ხალხი ზარ-ზეიმით შეეგება. იმპერატორი ბოკასა ქვეყნიდან გაიქცა, სხვაგვარად მას უბრალოდ ჩაქოლავდნენ.

მაცივარში ვიღაც იღო...

ბოკასა ერთხანს ლიბიაში გადავიდა. ბრუქელმა ის მოსკოვში მიიწვია, თუმცა ექს-იმპერატორმა უარი განაცხადა. ბოკასა პარიზში გაემგზავრა. საფრანგეთის დელაქალაქის ფეშენებელურ გარეუბანში მეფური ციხე-კოშკი შეიძინა. აქ იგი სხვისი გვართ ცხოვრობდა, ჰყავდა მსახურების მთელი შტატი, 80-მდე მდიდრული ავტომობილი, დაცვა, მზარეულები.

— სამშობლოში ბოკასა დაუსწრებლად გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. ბო-

კასას ინტერპოლი დაემებდა, — წერს ლეონიდ მლეჩინი.

1986 წელს ბოკასა სამშობლოში დაბრუნდა. ეს ამერიკის დახვეწის დამსახურება იყო, რომელმაც ექს-იმპერატორი დაარწმუნა, დაბრუნდები თუ არა, ხალხი კვლავ იმპერატორის ტახტზე აგიყვანსო. იმ დროისთვის ბოკასა უკვე ფსიქიკურად დაავადებული იყო და საკუთარი ღვთიური მისიისა ბრმად სწამდა. ამერიკელებმაც ამაზე ითამაშეს.

— სამშობლოში დაბრუნებული ბოკასა მცისვე დააპატიმრეს, — წერს ლეონიდ მლეჩინი.

ექს-იმპერატორი გაასამართლეს. მას ბრალი წაუყენეს კანიბალიზმში, საკუთარი მოქალაქეების გენოციდში, სახელმწიფო სახსრების მითვისებაში. ბოკასა ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფდა:

— მან განაცხადა, მაცივრებში ჩემი მტრების ცხედრებს მართლაც ვინახავდი, მაგრამ არა იმიტომ, რომ შემეჭამა! მათ ღვიძლს თვალთ ვხედავდი, რადგანაც ჩვენს ხალხში არსებობს რწმენა, რომ თუკი მტერს ღვიძლს ამოაცლი და შეინახავ, ეს ბედნიერებას მოგიტანსო, — წერს მლეჩინი.

სასამართლომ ბოკასას სიკვდილი მიუსაჯა. შემდგომში ეს განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

ხალხს კაცობა... მნატრება?!

გადიოდა წლები. პატიმარი იმპერატორის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ბოკასას სამუდამო პატიმრობა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს, 1993 წელს კი საერთოდ გაათავისუფლეს. ექს-იმპერატორი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. 1996 წელს ბოკასა გარდაიცვალა.

— აფრიკელები თავისებური ხალხია! დემოკრატია მათთვის უცხო ხილია. საკუთარ სიცოცხლესაც მაინცდამაინც არ აფასებენ, — წერს ფრედერიკ ფორსაიტი, ინგლისელი მწერალი.

ცენტრალურ აფრიკის მოსახლეობაში ბოკასას მმართველობის წლებს იხსენებდნენ, მაშინ მეტი წესრიგი იყო. „ბოკასა რუსეთს ეკონომიკურად წურავდა, უბრალო ხალხიც ბევრად უკეთესად ცხოვრობდა. ახლა კი თავს ძლივს ვიძინებ. ასეთი თავისუფლება რად გვინდა!“ — ამბობენ ექს-იმპერატორის თანამემამულენი.

2010 წელს ბოკასა რეაბილიტირებულ იქნა...



„ბოკასა ჩვენი ერის უდიდესი შვილი იყო“ — ასე განაცხადა პრეზიდენტმა ბოზიზემ

— ბოკასა ჩვენი ერის უდიდესი შვილი იყო, — განაცხადა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრანსუა ბოზიზემ. თავის მხრივ, ის ცარ-ის გენშტაბის უფროსი იყო 2001 წელს, როცა პრეზიდენტ ანჟ-ფელიპ პატასას აუჯანყდა. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე დაპირისპირება 2003 წელს დასრულდა, როცა ბოზიზემს ძალებმა, არტილერიის მხარდაჭერით, დედაქალაქი ბანგი დაიკავეს. გადატრიალებამ სამოქალაქო ომი გამოიწვია, ქვეყანაში გაეროს ჯარებიც შეიყვანეს. თუმცა 2004 წელს გაიმართა რეფერენდუმი და მიიღეს ახალი კონსტიტუცია, 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კი ფრანსუა ბოზიზემ გაიმარჯვა. 2007 წელს დაზავებით შეწყდა სამოქალაქო ომიც.

ბოკასას რეაბილიტაციის შემდეგ, 2011 წელს ბოზიზემ მეორე არჩევნებში მოიგო, თუმცა 2012 წლის მიწურულს აჯანყებულებმა მას ბრალი დასდეს 2007 წლის შეთანხმებების დარღვევაში და მრავალი მსხვილი ქალაქი



ქვეყანაში უსასტიკესი ძალადობა იყო გამეფებული

დაიკავეს. 2013 წლის იანვარში დაიდო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება — ოპოზიციამ აღარ მოითხოვდა პრეზიდენტის გადადგომა, მან კი ერთი კვირის შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენელი პრემიერ-მინისტრად დანიშნა. თუმცა 2013 წელს 24 მარტს აჯანყებულთა ისლამიტურმა კოალიციამ „სელეკამ“ ბანგიში პრეზიდენტის სასახლე დაიკავა. ბოზიზე კამე-

რუნში გაიქცა. აჯანყებულთა ლიდერმა მიშელ ჯოტოდიამ თავი პრეზიდენტად გამოაცხადა და არჩევნების დანიშვნის პირობა დადო. 1-ელ აპრილს მან დროებითი მთავრობის ფორმირება გამოაცხადა, 2014 წლის იანვარში კი გადადგა. მის გადადგომას დიდი რეზონანსი აღარ გამოუწვევია — 2013 წლის დეკემბერში მოხდა დაუნდობელი შეტაკებები „სელეკასა“



ძალადობა ყველა მხრიდან ჩვეულ ამბად იქცა



ცენტრალურ აფრიკაში მილიონზე მეტი დევნილია

და აჯანყებულ ქრისტიანებს, აგრეთვე სამთავრობო ძალებს შორის. უსასტიკეს სისხლისღვრას, რომელმაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა, ათასობით ადამიანი შეეწირა, მილიონზე მეტი დევნილად იქცა. ქვეყანაში შეიფანეს ევროკავშირის სამხედრო ძალებიც, იქ ექვს თვეს, ივნისიდან დეკემბრამდე იმსახურა ქართულმა ასეულმაც...

ბოკასას 19 ცოლი და 77 შვილი დარჩა. მისი უფროსი შვილი ჟან ბედელი აცხადებს, რომ ცენტრალური აფრიკის იმპერატორია. მას ჰყავს მომხრეები და ტახტის დაბრუნებისათვის იბრძვის.

ნიკა თევზაძე
ისტორიის დოქტორი

ღელაქალაქ ბანგის ქუჩებში ბურუნდელი და ფრანგი ჯარისკაცები ეჭვმიტანილებს ჩხრეკენ



შამპანურის დაბადება



მარკიზა დე პომპადურმა სახელი არა მხოლოდ თავის საყვარელს, ლუდოვიკო XV-ს გაუთქვა (სწორედ მისი „წყალობით“ მიიწვედნენ არც მთლად გონიერ და ნაკითხ მეფეს ყოვლისშემძლედ), არამედ შამპანურსაც. ჟანა-ანტუანეტა დ'ეტიოლ მარკიზა დე პომპადური ამტკიცებდა, რომ შამპანური ერთადერთი ღვინოა, რომელიც ქალს მშვენიერს ხდის. მსოფლიო მოდის მითად აღიარებული კოკო შანელი კი წერდა: „შამპანურს მხოლოდ ორ შემთხვევაში ვსვამ: როცა შეყვარებული ვარ და როცა არ ვარ შეყვარებული“. შუმსუნა, მოთამაშე, მსუბუქი ღვინო, ურომლისოდაც ვერც ახალი წელი და ვერც გამარჯვებულთა დღესასწაული წარმოგვიდგენია, უკვე რამდენიმე ასწლეულია, ქალთა საყვარელ სადღესასწაულო სასმელს წარმოადგენს.

შამპანური დაახლოებით 350 წლის წინ შეიქმნა. თვითონ სახელიც გვეუბნება, რომ მისი სამშობლო საფრანგეთის პროვინცია შამპანია. 1668 წელს რეიმსის ტაძრის აბატმა გოდინომ თავის მემუარებში („შამპანში ყურძნის კულტივირება და ღვინის წარმოება“), თეთრი შეფერილობის „გაზით გამდიდრებული“ ღვინის შესახებ მოგვითხრო. წიგნის დაწერა აბატს შამპანურის არნახულმა

პოპულარობამ და მეღვინეთა უეცრობამ აიძულა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საფრანგეთში შუმსუნა ღვინოების ნამდვილი ბუმი დაიწყო. ის მოღური გახდა, რამაც წარმოებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებას შეუწყო ხელი.

სასმლის გამოჩენას მოჰყვა უამრავი კითხვა, საიდან გროვდებოდა ბოთლში აირის ბურთულები. ზოგი ამას მთვარის ციკლს



ვენახები შამპანის პროინციაში, საფრანგეთში

დიდი როლი ითამაშა შამპანურის ისტორიაში ბენედიქტელმა ბერმა დომ პიერ პერინიონმა. საფრანგეთის სააბატოებში დაწურული შუშუნა ღვინო ძალიან პოპულარული გახდა, თუმცა პერინიონის შამპანურზე განსაკუთრებული მოთხოვნა იყო.

1750 წლამდე შამპანის ღვინო კასრებით იგზავნებოდა და ახლდა მითითება, როგორ უნდა ჩამოესხათ ბოთლებში, რათა ისინი არ დახეთქილიყო.

დიდი ხნის განმავლობაში მეღვინეთა პრობლემა იყო სითხის გაუმჭვირვალობა და ნალექი. ამ ნაკლის აღმოფხვრა შესაძლებელი გახდა შანტალის (მხოლოდ გვარია ცნობილი) მიერ გამოცემულმა წიგნმა („ღვინის წარმოების ხელოვნება“).

ჯერ დაიწყო სითხეში შაქრის ლიქიორის დამატება, XIX საუკუნეში კი სხვადასხვა ღვინის სიტკოს გამოყენება. ღვინის დასაყენებლად იყენებდნენ მუდმივი ტემპერატურისა და სინოტივის სარდაფებს. 1825 წელს გამოჩნდა პირველი ჩამომსხმელი, ხოლო 1827 წელს საცობის ჩასარტობი მანქანები. 1844 წელს უკვე იყენებდნენ ცარიელი ბოთლების გასაწმენდ და ლიქიორის დოზირების ხაზებს, 1846 წელს კი მანქანას, რომელიც საცობებს კანაფის ძაფით ამაგრებდა. დამზადდა ბოთლები, რომლებიც უძლებდა საკმაოდ დიდ წნევას. 1927 წელს კანონით განისაზღვრა 36 450 ჰექტარი მიწა რეიმსის ჩრდილოეთითა და მდინარე სენის სამხრეთით და მხოლოდ აქ მოყვანილ ყურძენს დაერქვა „შამპანური“.

* * *

შამპანურის მამად არის მიჩნეული ბენედიქტელი ბერი პიერ პერინიონი, რომელიც 1670 წლიდან ოტვილიერის სააბატოს ღვინის სარდაფებს განაგებდა. დღეს დადგენილია, რომ პერინიონი შამპანურის პირდაპირი შემქმნელი თუნდაც არ იყოს, მისმა შრომებმა კუპაჟირებისა და დუდილის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ამ სასმელის დაბადებასა და ევოლუციაში. მან მიაგნო ყურძნის წითელი ჯიშებისგან თეთრი, შუშუნა ღვინის მიღების ხერხს. საუცხოო დეგუსტატორი ქმნიდა ღვინის კუპაჟს „საფირმო“ გემოს მისაღებად. მის მნიშვნელოვან გამოგონებად მიიჩნევა მუხის

აბრალებდა, ზოგი — დაუმწიფარ ყურძენს; იყენენ ისეთებიც, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ღვინოს რაღაცას უმატებდნენ. იმასაც ამბობდნენ, ვინ იცის, შამპანურის „შუშუნება“ სრულიად შემთხვევით მოხდაო. ყურძნის ზოგიერთი ჯიშის წვენი დაღვინების შემდეგ, გაზაფხულზე კვლავ იწყებდა დუდილს, რის გამოც ბოთლებში გაზი ჩნდებოდა. ამ თვისებას კი სულაც უარყოფით ეფექტად მიიჩნევდნენ. სენ-ილერის სააბატოს ბერებმა იცოდნენ, რომ ახალგაზრდა თეთრ ღვინოში შაქარი უნდა აერიათ, ბოთლებში დაეებჯდათ და მთელი ზამთარი დუდილი დაეცლიათ. პროცესი უმართავი იყო — ბოთლების ნახევარი ფეთქდებოდა, დიდ ნაწილში ღვინო ძალიან მწკლარტე გამოდიოდა, საფურის გემოთი. ბოთლების მცირე ნაწილში კი ღვთაებრივი სასმელი დგებოდა. ასეთ არასაიმედო საქმეზე მუშაობა სენტ-ილერის ბერებმა მალევე გადაიფიქრეს...



დომ პერინონი შამპანურის დამზადებისას

დომ პერინონის ძველი შამპანურის მწარმოებელი ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიასთან



გარსიდან საცობის შექმნა, რომელიც ღვინისგან იბერებოდა და ბოთლიდან ჰაერს არ უშვებდა. ამ შრომისმოყვარე ბერმა შეძლო სხვა ბოთლში გადაუღებლად მიედღვია სითხის გამჭვირვალობისთვის. სამწუხაროდ, მისი ეს საიდუმლო დღემდე დაკარგულია. იმ დროს ბერი-მეღვინეები ჩანაწერებს არ აკეთებდნენ და ყველა საიდუმლო მხოლოდ ზეპირად გადაიცემოდა. ასევე ცნობილი იყო მეორე ბენედიქტელი, სახელად უდარი, რომელიც ღვინოს სენ-პიერის სააბატოში წურავდა. ეს ღვინო უფრო ძვირად ფასობდა, მაგრამ მცირე რაოდენობით აყენებდნენ. ამიტომაც ყველა შუშხუნა ღვინოს დაერქვა ძირითადი მწარმოებელი პროვინციის — შამპანის სახელი.

კლიკოს სახელი მსოფლიოშია ცნობილი. 1772 წელს ფილიპ კლიკომ ღვინის წარმოებისა და გაყიდვის ფირმა დააარსა, რომლის ძირითად პროდუქციას შუშხუნა ღვინოები წარმოადგენდა. ფილიპის სიკვდილის შემდეგ კომპანიას სათავეში ჩაუდგა მისი შვილი ფრანსუა, რომელმაც მეგობრებისა და თანამოაზრეების მეშვეობით ფირმას რეპუტაცია გაუმყარა. 1805 წელს ფრანსუა გარდაიცვალა და საქმე მისმა ქვრივმა, კლემენტინამ გააგრძელა. ძალიან მალე სახელი კლიკო ცნობილი შეიქმნა არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში. 1812 წელს ფირმას საქმე ცუდად წაუვიდა საფრანგეთ-რუსეთის ომის გამო. ქვეყანაში ქაოსი იყო გამეფებული და მაღამ კლიკომ გადაწყვიტა, ღვინის მარაგის ნაწილი მაინც გადაერჩინა, მან 1814 წელს 20 ათასი ბოთლი რუსეთში გაგზავნა. რისკმა გაუმართლა და ფირმას 73 ათასი რუსული რუბლის მოგება დარჩა, იმ დროისთვის ეს ძალიან დიდი თანხა იყო. ფირმა გაკოტრებას გადაურჩა.

1815 წელს მთელი რუსეთი შამპანურ ღვინოებს სვამდა. ოფიცრები და პუსარები ნებებრობდნენ ამ ღვითური სითხით. შამპანური აქ ისეთი პოპულარული გახდა, რომ რუსეთში ვაჭრობა კლიკოს ფირმისთვის ძირითად შემოსავლის წყაროდ იქცა. 1831 წელს მმართველად დანიშნულმა ახალგაზრდა მეღვინე ედუარდ ბარნიემ კლიკოს სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახადა. დროთა განმავლობაში კლიკოს სახელი მსოფლიომ გაიცნო.

რუსეთში პირველი პროდუქცია XVII საუკუნეში, დონეცკის სტანიცებში გამოჩინდა. 1812 წელს კი პირველი მეღვინეობის



ჟან-ფრანსუა დე ტროის „ხამანსკებით სადილი“ (1745 წ.) ჯერჯერობით პირველად სურათად არის მიჩნეული, სადაც შამპანურია გამოსახული

მეურნეობა შეიქმნა. XIX საუკუნის 40-ანი წლებიდან თავადმა ვორონცოვმა გამოუშვა შამპანური ღვინო „აი დანილი“. 1853-1856 წლების ყირიმის ომმა კარგა ხნით შეაჩერა და მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ აღადგინა შამპანური ღვინოების წარმოება თავადმა გოლიცინმა. 1870 წელს საფრანგეთიდან მოწვეული სპეციალისტის, ტიებოს დახმარებით ტბა აბრაუსა და მდინარე დიურსოსთან შეიქმნა ნაკვეთები, სადაც გაშენდა სათანადო ყურძნის ჯიშები: ალიგოტე, კაბერნე, რის-ლინგი, სოვინიონი, პინო და შარდონე. 1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე გრანპრი მოიპოვა რუსულმა შამპანურმა და მას

შემდეგ შეიქმნა ტერმინი „რუსკოე“ და შემდეგ „სოვეტსკოე შამპანსკოე“.

საქართველოში შამპანურის წარმოებას საფუძველი თავადმა ბაგრატიონ-მუხრანელმა დაუდო. ეს 1876 წელს მოხდა და უკვე 1889 წელს პარიზის ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე ქართული შამპანური პირველი პრემიით დაჯილდოვდა. 1884 წელს პრინცმა ალექსანდრე ოლდენბურგმა ქუთაისში დაიწყო შამპანურის წარმოება. აღსანიშნავია მეწარმე გიორგი ერისთავის პროდუქცია, რომელიც ჩინურის, გორული მწვანესა და ციცქას ჯიშების ბაზაზე იქმნებოდა. შამპანურის წარმოების ქარხანა ასევე არსებობდა ველისციხეში,



ოტვილიერის სააბაჯოს ღვინის
სარდაფებს დომ პერიონი
1670 წლიდან განაგებდა

სადაც აწარმოებდნენ „კიუვე მარგოს“, „კიუვე სპესიალსა“ და „კარტ ბლანშს“. ნედლეულად გამოიყენებოდა ციცქას, პინოსა და შარდონეს ჯიშის ყურძენი.

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ დიდი ქარხანა აშენდა თბილისში, რომელიც 20

ზალპით გახსნისას შამპანურის გემო ილახება



მლნ ბოთლზე მეტ შუშხუნა ღვინოს ასხამდა როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე (მუდმივი შამპანიზაცია) მეთოდებით. 1983 წელს შამპანური ღვინოების ქარხანა თერჯოლაშიც აშენდა. გამოიყენებოდა ჯიშები შარდონე, პინო, ალიგოტე, ჩინური, გორული, მწვანე და ციცქა.

შამპანური ვერ შეიქმნებოდა საცობის გარეშე, რომელიც იწარმოება კორპის ხის ქერქისგან. აქვს ცილინდრული ფორმა და გაგანიერებული ძირი. ძველად მას ცხელი წყლის ორთქლით არბილებდნენ და ისე ახურავდნენ ბოთლს. გაციებული საცობი ბოთლის ყელს მჭიდროდ ეკვროდა და აირიც ვეღარ გამოდიოდა. ზემოდან საცობი კანაფის ძაფით მაგრდებოდა, შემდგომ კი ფოლადის მავთულით.

დღევანდელ ჩამომსხმელ დაზგებში გამოიყენება მოწყობილობა, რომელიც საცობს 17 მმ-მდე ავიწროებს და ბოთლში 2-ტონიანი წნევით არჭობს.

შამპანურის გახსნა სულაც არ გულისხმობს აუცილებელ ზალპს. პირიქით, ამ დროს გემო ილახება და სასმელშიც ნაკლები აირი რჩება. საცობი ნელ-ნელა უნდა ამოვიდოთ ისე, რომ ბოთლი ტრიალებდეს და არა საცო-

ბი. ამ დროს გაისმის სუსტი ხმა და პატარა ბოლიც დგება.

გახსნის წინ სასმელი 7-9 გრადუსამდე უნდა გაცივდეს. შამპანურს სწრაფად გაცივება არ უყვარს, ამიტომაც ამაზე ზრუნვა ერთი დღით ადრე უნდა დაიწყოთ.

ამბობენ, თითქოს შუშხუნა ღვინო ისე უნდა დაფასხათ, რომ ბოკალი განსაზღვრული კუთხით იყოს დახრილი. თუმცა სპეციალისტები გვირჩევენ ჭიქების ვერტიკალურად დაჭერას, რათა შევსებისას სითხე მის კედლებს არ ეხებოდეს. ჭიქა უნდა იყოს გამჭვირვალე, მოგრძო, ტიტას ფორმის.

რამდენიმე სიტყვა ფალსიფიკირებაზე.

ტრადიციულად, აყალბებენ ძვირფას ღვინოებს „კლიკოს ქვრივს“ და „პერინიონის სახლის კიუვეს“. ფალსიფიკაცია იმდენად მაღალი დონისაა, რომ მის დასადგენად ზოგჯერ სპეციალისტია საჭირო. თუმცა სიყალბის აღმოჩენა რიგით მყიდველსაც შეუძლია. მაგალითად, ძვირფასი ფრანგული შამპანური ღვინოები ყოველთვის კორპის საცობიანია და არა პლასტმასისა, როგორც „სოვეტსკოე შამპანსკოე“ იყო. ეტიკეტები ისე უნდა იყოს დაწებებული, რომ არსად ჩანდეს წებოს, სადებავის ან ბეჭდვის დეფექტი. ბოთლის ყელზე ვერცხლის ქაღალდი გლუვი უნდა იყოს და არა ხაოიანი. ბოთლს არსად არ უნდა ჰქონ-



შამპანური ვერ შეიქმნებოდა საცობის ვარეშე, რომელიც იწარმოება კორპის ხის ქერქისგან. აქვს ცილინდრული ფორმა და გაგანიერებული ძირი

დეს განაკაწრი. ესეც სიყალბის ნიშანია და საერთოდ, აჯობებს საეჭვო საქონელი საეჭვო ადგილებში არ ვიყიდოთ...

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ძვირფასო მკითხველებო!

ლევან ჭუბაპრია

შამპანური ღვინისთვის იყენებდნენ მუდმივი ტემპერატურისა და სინოტივის სარდაფებს



ანგკორ-ვატი

ანგკორ-ვატის სატაძრო კომპლექსი ქმდერთა
ძველი დედაქალაქის — ანგკორის ნაწილია.
თვით სატაძრო კომპლექსის გარე მართკუთხედი
შემოსაზღვრულია
1,5 X 1,3 კმ სიგრძისა და
4,5 მ სიმაღლის კედლებით. ღოთოსის ფორმის
შიდა ანსამბლში კი ზუთი კოშკია



1 მბილიონი პაცის ტანჯარი-მთა და ქალაქი XII საუკუნეში აიგო



კამბოჯაში, ღვთაება ვიშნუს სახელზე აგებული გიგანტური ინდუისტური სატაძრო კომპლექსი, დედამიწის უდიდესი საკულტო ნაგებობა და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია, რაც კი ოდესმე შექმნილა. იგი აიგო XII საუკუნის პირველ ნახევარში, მეფე სურიავარმან II-ს ზეობისას (1113-1150), რომელიც აქვე უნდა იყოს დაკრძალული. მომდევნო პერიოდში კომპლექსს იყენებდნენ ბუდისტები, XV საუკუნიდან კი აღარ უმოქმედია. ანგკორ-ვატის კომპლექსის სილუეტი გამოსახულია კამბოჯის ეროვნულ გერბზე. ანგკორ-ვატი და მისი კომპლექსი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

ანგკორ-ვატი მდებარეობს კამბოჯის პროვინცია სიემრიპის (ქმერულად: „გამარჯვება სიამელებზე“) იმავე სახელწოდების დედაქალაქიდან 5,5 კმ ჩრდილოეთით. ანგკორ-ვატის სატაძრო კომპლექსი ქმერთა ძველი დედაქალაქის — ანგკორის ნაწილია. მთლიანად ანგკორს 200 კვკმ უჭირავს. როგორც მცირე ხნის წინანდელი კვლევებით დადგინდა, სრული ფართობი შესაძლოა 3 000 კვკმ ყოფილიყო. მეცნიერთა შეფასებით, იმპერიის ზეობის პერიოდში კომპლექსში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, რაც იმ დროის ნებისმიერ ევროპულ ქალაქზე მეტი იყო. ანუ, ინდუსტრიამდელ ეპოქაში, სუარაუდოდ, ეს ყველაზე დიდი დასახლება უნდა ყოფილიყო.

ანგკორ-ვატი ქმერთა იმპერიის (სადაც პირველი ტაძრები VI საუკუნეში ააგეს) არ-

ქიტექტურის უბრწყინვალესი ნიმუშია. დაუჯერებელია, მაგრამ გიგანტური კომპლექსი დაახლოებით 40 წელიწადში აიგო. სამუშაოები სურიავარმან II-ის გარდაცვალებიდან მალე, 1152 წელს დასრულდა და ბარელიეფების რამდენიმე შემკულობა დაუმთავრებელი დარჩა. ანგკორ-ვატი, ანგკორის სხვა ტაძრებისგან განსხვავებით, XV საუკუნის შემდეგ მთლიანად არ მიუტოვებიათ. ის ნაწილობრივ იმითაც გადარჩა, რომ წყლიანი თხრილით ჯუნგლის ბინადართაგან კარგად იყო დაცული.

ერთ-ერთი პირველი ევროპელი, ვინც ტაძარს ეწვია, იყო პორტუგალიელი დიდგაჭარი დიოგუ ლუ კოუტუ, რომლის სამგზავრო ჩანაწერებმა დღის სინათლე 1550 წელს იხილა. 1586 წელს კი ტაძარს ეწვია პორტუგალიელი ბერი ანტონიუ და მადალენა. მისი თქმით,

ანგკორ-ვატს 3,6 კმ სიგრძისა და 190 მ სიგანის წყლიანი თხრილი არტყვია გარს




ვნა, ამიტომ ანგკორ-ვატში გაერთიანებულია ორგანიზაციული არქიტექტურული ტიპოლოგია — ინდუისტური მითური მერუს მთისა (სადაც ღვთაებები ბინადრობენ) და გალერეისა, რომელიც უფრო გვიანდელი პერიოდისთვის არის დამახასიათებელი.

ქვეყნის ტაძრები არასდროს ყოფილა მორწმუნეთა შეკრების ადგილი. ისინი ღვთაებათა საცხოვრებელ ადგილად მიიჩნეოდა. ცენტრალურ ნაგებობებში შესვლის უფლება მხოლოდ რელიგიურ და პოლიტიკურ ელიტას ჰქონდა. ანგკორ-ვატს კი ის გამოარჩევს, რომ მეფეთა დასაკრძალავად იყო განკუთვნილი.

კომპლექსი შედგება კედლით გარშემორტყმული უზარმაზარი გარე ეზოსა და ცენტრალური პლატფორმისგან, რომელზეც საკუთრივ ტაძარია აღმართული. იგი სამი ნაგებობისგან შემდგარი 200 ჰა ფართობის ანსამბლია, რომლის სიმაღლე ცენტრისკენ იმატებს. გარე მართკუთხედი შემოსაზღვრულია 1,5 X 1,3 კმ სიგრძისა და 4,5 მ სიმაღლის კედლებით, რომლებსაც 3,6 კმ სიგრძისა და 190 მ სიგანის წყლიანი თხრილი არტყვია გარს.

„ანგკორ-ვატი ისეთი უჩვეულო ნაგებობაა, რომლის კალმით აღწერა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ის არ ჰგავს მსოფლიოში არც ერთ ტაძარს. აქვს კოშკები და ჩუქურთმები და ყველანაირი დახვეწილობა, რაც კი შეუძლია ადამიანის გენიამ წარმოიდგინოს“. ევროპულმა ცივილიზაციამ ანგკორ-ვატი საბოლოოდ 1860 წელს აღმოაჩინა, როცა იქ ფრანგი მოგზაური ნატურალისტი ანრი მუო მოხვდა — მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი სტუმრები ტაძარს მანამდეც არ აკლდა. მაგალითად, ფრანგმა მისიონერმა შარლ-ემილ ბუიეომ ანგკორის აღწერილობა 5 წლით ადრე ორ წიგნად გამოაქვეყნა. 1970-იან წლებში კომპლექსის ზოგი ნაგებობა და ქანდაკება პოლ პოტის სამხედროების ვანდალური მოქმედებების გამო დაზიანდა. 1992 წლიდან ანგკორს იუნესკო პატრონობს და კამბოჯის მთავარ ტურისტულ ღირსესანიშნაობას წარმოადგენს.

ტაძარი აგებულია ე.წ. ანგკორულ სტილში, რომელიც დამახასიათებელია ქვეყნის არქიტექტურის სიმწიფის ეტაპისთვის, თუმცა აქვს ინდუისტური არქიტექტურის აშკარა ნიშნებიც. ნაგებობა „ტაძარი-მთის“ ტიპისაა. თავდაპირველად ტაძარი ვიშნუს მიეძღ-



„სპილოების ტერასა“ მეფის სასახლის ეზოში ანგკორში



გალერეებში განთავსებულია ბარელიეფები ძველინდური ეპოსებიდან და ქჰმერთა ისტორიიდან



მეფე სურიჯარმან II შემადღებულ ტახტზე ფეხმორთხმით ზის, ხოლო მონა ქალები მარაოებითა და მზის ქოლგებით აგრილებენ

ლოტოსის ფორმის შიდა ანსამბლში ხუთი კოშკია. ცენტრალური კოშკი წმინდა ადგილიდან 42 მეტრზეა აღმართული, მიწის ზედაპირიდან კი მისი სიმაღლე 65 მ-ია. ტაძარში შესასვლელი დასავლეთის მხრიდანაა. შესასვლელი კოშკიდან ტაძრისკენ გზას ბალუსტრადა და შეიღოთიანი გველების ქანდაკებები მიუყვება. ოთხივე კოშკი, რომლებიც ქვეყნიერების ოთხ მხარეს განასახიერებს, კარიბჭის ფუნქციას ასრულებდა. სამხრეთ კოშკის ძირში ვიშნუს ქანდაკებაა, სადაც, მეცნიერთა ვარაუდით, იყო თავდაპირველად ტაძრის ცენტრი. კოშკები შეერთებულია გალერეებით, რომლებსაც გარე მხრიდან მთლიანი კედელი აკრავს, ხოლო შიდა მხრიდან — კვადრატული ფორმის სვეტები. გალერეები საკმარისი ზომისაა სპილოების გასატარებლად, ამიტომ კოშკებთან ყოფილ გასასვლელებს „სპილოების კარიბჭეებს“ ეძახიან.

ტაძრის არქიტექტურას ურიცხვი ქანდაკება ერწყმის. გალერეების სამ იარუსზე განთავსებულია ბარელიეფები ინდუისტური მითოლოგიიდან, ძველინდური ეპოსებიდან — „რამაიანადან“ და „მაჰაბჰარატადან“, აგრეთვე, ქჰმერთა ისტორიის თემებზე. განსაკუთრებით ცნობილია რვა უზარმაზარი პანო პირველ იარუსზე, კომპოზიციებით — „რძის ზღვის ამღვრევა“, „ბრძოლა კურუქშეტრესთან“. ამ ბარელიეფებს მოსდევს „ვიშნუ, რომელიც ამარცხებს ასურებს“. ჩრდილოეთის გალერეა წარმოადგენს კრიშნას გამარჯვებას ბანაზე და ინდუისტური ღმერთების ბრძოლას ასურებთან. ბარელიეფების საერთო ფართობი 1200 კვმ-ს შეადგენს. ბარელიეფები შესრულებულია ასევე ტაძრის კედლებზე, რომლებიც სასახლის კარის ცხოვრების სცენებს გადმოგვცემს. ერთ-ერთ მათგანში თავად მეფეა გამოსახული — შემადღებულ ტახტზე ფეხმორთხმით მჯდარს მიღება აქვს, ხოლო მონა ქალები მარაოებითა და მზის ქოლგებით აგრილებენ. მეორე იარუსის კედლები შემკულია 2 ათასი ციური ქალწულის ქანდაკებით.

ქვეები, რომლითაც გრანდიოზული კომპლექსია აგებული, იმდენად გლუვია, რომ პოლირებულ მარმარილოს ჰგავს. წყობისას ხსნარი არ გამოყენებიათ, თუმცა ქვიშაქვის ლოდები იმდენად ზუსტადაა ერთმანეთს მორგებული, მათ შორის ნაპრაღის მონახვაც კი ხშირად შეუძლებელია. ბლოკები არაფრით არაა შეერთებული და მხოლოდ საკუთარ წონას უჭირავს. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში შესაერთებლად გამოყენებულია ქვის კბილი, მერცხლის კუდის ან წვეტის ფორმის. საუარაუდოდ, ქვის თავის ადგილზე დასაყენებლად იყენებდნენ სამშენებლო ბლოკებს, ხოლო გამწვევ ძალად — სპილოებს. ქვეების უმრავლესობას 3 სმ სიღრმისა და 2,3 სმ დიამეტრის პატარა ხვრელები აქვს, თანაც ქვის ბლოკი რაც უფრო დიდია, მით მეტია ამ ხვრელების რაოდენობა. თუმცა, ამ ხვრელების ზუსტი დანიშნულება საბოლოოდ დადგენილი არ არის.

კომპლექსის ასაშენებლად უზარმაზარი რაოდენობის — 5 მლნ ტონაზე მეტი ქვიშაქვა გამოყენებული, რაც ხეფრენის პირამიდის სამშენებლო მასალის ზარჯის ტოლია. ქვიშაქვა კულენის პლატოს სამტეხლოებიდან, მდინარე სიემრიპის საშუალებით მოჰქონ-



სპილოების
ერთ-ერთი კარიბჭე

სპილოების ერთ-ერთი კარიბჭე

დათ. მეცნიერთა შეფასებით, მშენებლობას იმდროინდელი ტექნოლოგიით რამდენიმე ასწლეული უნდა დასჭირვებოდა, თუმცა ანგორ-ვატის მშენებლობა 40 წელიწადში დასრულდა.

თითქმის ყველა ზედაპირი, სვეტები, შემაერთებული კედლები და სახურავებიც კი ქვაში ნაკვეთი ჩუქურთმებითაა დაფარული. კილომეტრებზეა გადაჭიმული სცენები ინდური ლიტერატურიდან, რომლებიც მოიცავს გრიფონებს, ეტლებში შებმულ ფრთიან დრაკონებს, მებრძოლთა რაზმებს სპილოებზე ამხედრებული მეთაურების წინამძღოლობით, მომწუსხველ მოცეკვავე ქალებს გასაცარი ვარცხნილობით. გალერეის კედლები შემკულია ათას კმ-ზე მეტი ფართობის ბარელიეფებით. ანგორის ზოგ კედელში არსებული ნაშთები აჩვენებს, რომ ადრე კედლები ბრინჯაოს ფურცლებითაც იყო შემკული, რაც განსაკუთრებულ პატივად ითვლებოდა ძველ დროს, მაგრამ მძარცველთა სამიზნეც პირველ რიგში ბრინჯაო ხდებოდა.

ქმპერების იმპერიის ყოფილი დედაქალაქ ანგორის ტერიტორიაზე, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით 24 კმ-ზე, ხოლო

ჩრდილოეთიდან სამხრეთით 8 კმ-ზე იყო გადაჭიმული, ანგორ-ვატის გარდა შენარჩუნებულია ქმპერების კიდევ ერთი სახელგანთქმული ძეგლი — ანგორ-თომის ქალაქი-ტაძარი, რომელიც ასევე იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია. ქმპერთა იმპერიის დიდება 1431 წელს ჩაქრა, როცა სიამელთა არმიამ ანგორი მთლიანად დაიპყრო. ქალაქი დაიცალა და ჯუნგლებმა შთანთქა — ტაძრების გარდა, ანგორში მრავლად იყო საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობები, ანგორ-ვატის ჩრდილოეთით კი მეფის სასახლე იდგა. მაგრამ ყველა შენობა (რელიგიურ ნაგებობათა გამოკლებით) ხის მასალით იყო აგებული და ნესტიანი და ცხელი ტროპიკული კლიმატის გამოისობით, მათგან აღარაფერი დარჩა, რამდენიმე ქუჩის კონტურის გარდა.

ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყემ დაფარა. ქვიშაქვით აგებული ტაძრები და ტუფით ნაშენი საფორტიფიკაციო ნაგებობი კი გადარჩა, თუმცა ნაგებობათა უმრავლესობა ტროპიკული მცენარეებითაა დაფარული და დაზიანებული. ანგორ-ვატისა და ანგორ-თომის ტერიტორიაზე განუწყვეტლვ მიმდინარეობს მცენარეებისგან გაწმენდისა და ნაგებობათა სარესტავრაციო სამუშაოები. სპეციალური კომპიუტერული პროგრამების დახმარებით ამზადებენ დაზიანებულ-დაშლილი ქვების ზუსტ ასლებს და ცვლიან. ამ გზით აღადგინეს, მაგალითად, იაპონელმა რესტავრატორებმა ერთ-ერთი ბიბლიოთეკა. ამჟამად ყველაზე დიდი მოცულობის რესტავრაცია კი ანგორ-თომის ცენტრალურ მოედანზე მდებარე ტაძარ ბაპჰუნში მიმდინარეობს.

საინტერესოა, რომ ფრანგი ნატურალისტი ანრი მუო, რომელსაც ზვდა პატივი მსოფლიოსთვის ანგორი ხელმეორედ აღმოეჩინა, წერდა: „რაც ანგორში ვნახე, ეს არის ყველაზე მაღალი დონის სამშენებლო ხელოვნება რაც კი უძველესი დროიდან შემონახულა. არასოდეს ვყოფილვარ ასე ბედნიერი, როგორც ახლა ვარ, ამ ტროპიკებში. ზუსტად რომ ვიცოდე — აქ მოგვკვები, მაინც არაფრის დიდებით არ გავცვლიდი აქაურობას ცივილიზებული სამყაროს კომფორტზე“. თითქოს იწინასწარმეტყველო, ამ სტრიქონების დაწერიდან რამდენიმე თვეში მოგზაურს მალარია შეეყარა და 20 დღეში გარდაიცვალა...

რამაზ გურგენიძე



სატაძრო კომპლექსის არქიტექტურას ურიცხვი ქანდაკება ერწყმის





ანგორ-თომის ქალაქი-ტაძარიც იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი

ნაგებობათა უმრავლესობა ტროპიკული მცენარეებითაა დაფარული და დაზიანებული



მერაბ თავაძე:

ჩემთან ხომ მოხვედით და ინახეხვიუს იღებთ, მბრის ბიჯითის დაბსახუხებან...

სახლი, რომელიც უნდა აეშენებინა — ააშენა... მერე რა, რომ ბინა, სადაც ცხოვრობს, მოკრძალებულია. კედლებზე მთელი ის საუნჯეა თაემოყრილი, რაც შექმნა, რაც უფალმა არ უნა. პირველ რიგში — დიდი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... მერე როლები, კადრები მეუღლის — იხა გიგოშვილის შემოქმედებიდან. აქვეა შვილების შემოქმედების ამსახველი კადრებიც, მათი წარმატებების „მატიანეც“... აქ იკითხება ის დღეებიც, რომლებიც სამეფო უბნის თეატრის მშენებლობას შეაღია... ცხადია, ოჯახთან ერთად, რადგან მერაბ თავაძე არასოდეს ყოფილა მარტო... და თუ სახლი ის გახლავთ, რასაც ადამიანმა თავი უნდა შეაფაროს, რაც ერთგვარი სიმშვიდეც არის და განვლილი ცხოვრების ნაყოფიც — ეს მართლაც არის სახლი, რომელიც ააშენა; ცხოვრება, რომელიც ცხოვრებად ღირდა...



მერაბ თავაძე. კადრი ფილმიდან „თოჯინები იცინიან“ (1963 წ.)

— მყავდა უფროსი ძმა, რომელიც დაიღუპა, მერე გავიდა ხანი და ჩემმა მშობლებმა მომავლინეს ამ ქვეყანას.

გავინარდე მარტო, სხვა დედამამიშვილი არ მყოლია...

მახსოვს მთაში გატარებული ბავშვობის დღეები. დეიდაჩემი ქლუხორის მთავარი ექიმი იყო. მასთან ჩავდიოდი ხოლმე. ქლუხორი კავკასიონის ქედზე მდებარეობს, ადრე საქართველოს ტერიტორია იყო. მერე მოგვაჭრეს, როგორც ბევრი სხვა ტერიტორია... მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ ისე მძაფრად მახსოვს ბუნება, ეტეობა, ძალიან დიდ ზემოქმედებას განვიცდიდი. ახლოს იყო ტბებრდა, ულამაზესი ტბა... შორეული მოგონებაა ბოგირი, რომლიდანაც წმირად ვზტებოდი ხოლმე.

საერთოდ, ბავშვობა საინტერესოდ გავატარე, მამაჩემი ბუნებით მოგზაური კაცი

იყო. მთელი საქართველო შემომატარა. მერე ცხადია, გავაგრძელე მისი გატაცება... სტუდენტობისას ბევრს დავდიოდი. შორეული ბავშვობიდან დამრჩა ჩვენი ყოველი კუთხის სიყვარული.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი. განსაკუთრებით — მათემატიკას. თითქოს, განსაზღვრული იყო ჩემი მომავალიც, სად უნდა მესწავლა... მაგრამ...

ცხოვრებაში ასეც ხდება, შეიძლება რაღაცას წამოჰკრა ფეხი და ამ ერთმა ფაქტმა აბსოლუტურად შეცვალოს შენი მომავალი, სხვანაირი სამყარო მოგველინოს. ასე მოხდა ჩემი მგლის ბილეტის ამბავი.

ზრუშჩოვის შეურაცხყოფის გამო სკოლიდან გამრიცხეს. მან, პრაქტიკულად, ჩემი მომავალი შეცვალა. დღეს რომ თქვენ ჩემთან მოხვედით და ინტერვიუს იღებთ, ეს იმ

მგლის ბილეთის დამსახურება... რომ არა ის, ცხადია, ხელოვნებაში არამც და არამც არ წავიდოდი. ჩემ გარშემო არავინ იყო ხელოვანი. მეც სულ სხვა გაქანებისა და ინტერესის მქონე ბავშვი ვიყავი. ინჟინრობას ვაპირებდი, მაგრამ... მომიხდა თეატრალურ ინსტიტუტში შესვლა. მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩემი მგლის ბილეთით სხვაგან არ მიმიღებდნენ. ან აქ უნდა შევსულიყავი და ან უცხო ენათა ინსტიტუტში, სადაც სულ გოგონები მიდიოდნენ. ამიტომაც ვარჩიე თეატრალური. ეს კი რთული იყო. მეტიც, გაუგებარი იყო საერთოდ, რას წარმოადგენდა თეატრალური ინსტიტუტი. არ მომწონდა, მიმაჩნდა, რომ არასერიოზული იყო იქ სწავლა. მერე ისე მოხდა, რომ თვალნათლივ დავინახე, რა არის მსახიობის პროფესია. ეს კი ბატონი სერგო ზაქარაიძის დამსახურებაა.

„ზღვის ბილიკს“ იღებდნენ და ამირჩიეს, რადგან კარგად ვცურავდი. ამ ფილმში შევხვდი ბატონ სერგოს. იმას, რაც მე ბატონმა სერგომ მასწავლა, ვერ ისწავლი ვერც ერთ ინსტიტუტში. თავისი ქმედებით, საქციელით, დამოკიდებულებით თითქოს თვალი ამიხილა... მერე ვნახე, რეზო ჩხეიძესა და სულიკო ჟღენტთან ერთად, სცენარს როგორ ამუშავებდა, როგორ ქმნიდა ახალ სახეს. „ჯარისკაცის მამა“ გადასაღებ მოედანზე კი არ იქმნებოდა, როცა გრიმი გაუკეთეს და


როლს ასრულებდა, ყველაფერი სცენარზე მუშაობიდან იწყებოდა. ამ ყოველივემ კი განაპირობა, რომ სრულიად სხვა თვალით შევხედე მსახიობის პროფესიას.

იმას თუ ვაქცევდი ყურადღებას, რომ გარეგნობის გამო ყველა ყურადღებას მაქცევდა? კარგი, რა! რა გარეგნობა მქონდა ისეთი... ვიყავი ჩვეულებრივი ბიჭი... მაგალითად, ფილმი რომ იყო „თოჯინები იცინიან“, გახსოვთ ალბათ. იცი, რა ბიჭები მოვიდნენ იქ გადაღებაზე გასასინჯად? ვერ წარმოიდგენთ! ვფიქრობდი, ამათთან რა უნდა გაგაკეთო, ვინ ამირჩევს-მეთქი! სხვათა შორის, ჩვენი თაობა იყო გამორჩეული, ბიჭები განსაკუთრებით! ახლა ხომ გოგონები არიან ძალიან კარგები და ბიჭები მთლად ისეთები ვერა. ჩემი თაობის ბიჭები მართლა საუკეთესოები იყვნენ. ამაში მათ სპორტი ეხმარებოდა. არასოდეს მიგრძნია, რომ სხვებზე უკეთესი ვიყავი. არც მჭირდებოდა... არც ნარცისობა მომწონს.

„თოჯინები იცინიან“ როგორ დამამახსოვრდა?

გულახდილად გითხრათ, თავიდან მრცხვენოდა. პლექსანოველი ვიყავი. სხვანაირად ვიზრდებოდი. მუსიკაზე სიარულს თავი დავანებე მარტო იმიტომ, რომ ვიოლინო არ მეტარებინა. ახლა რა თქმა უნდა, ვნანობ! მაშინ (ახლა არა) რატომღაც მეჩვენებოდა, სირცხვილი იყო ასეთი როლის თამაში.

ქელუხორის რაიონი საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში (1943-1955 წწ.)





„მეუღლე რომ შემხვდა იზა გიგოშვილი, ესეც გახდა ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი. ის მარტო თეატრით ცხოვრობდა. ამიტომაც გადავდე თავი და თეატრი შევქმენი“



ვეიქრობდი, მერაბ თავაძე არასოდეს ყოფილა დედიკოს ბიჭი. პირიქით, დამოუკიდებელი ვიყავი, ძალ-ღონეც არ მაკლდა, ვჩხუბობდი კიდეც. აქ კი დედიკო და ბებიკო და... მამიკო და... ეს ისე მქვამუშებოდა, ვერ წარმოიდგენთ! ფილმი რომ ეკრანებზე გამოვიდა, მერე წამოვიდა უამრავი წერილი. ის უხერხულობა ნელ-ნელა გამინელდა, თორემ თავიდან რომ გამოვიდა ფილმი და პირველად ვნახე, საშინელი შეგრძნება მქონდა.

ინსტიტუტის შემდეგ რუსთაველის თეატრში მოვხვდი. იქ ნანახმაც გამოაცა. ეს მართლა უნიკალური პროფესიაა. ღიმილით მახსენდება: რუსთაველის თეატრში იდგებოდა მიხეილ თუმანიშვილის „ფედრა“. მე და ბადრი კობახიძე ამოვდიოდით სცენაზე, ვდგებოდით და იწყებოდა მონოლოგი. მოკლე ქიტონი მეცვა, ბადრის — გრძელი სამოსი. პრაქტიკულად შიშველი ვიყავი. წინა ორი რიგი იყო გავსებული გოგონებით... მიყურებდნენ, თვალს არ მაშორებდნენ. მერე რამდენსაც ვთამაშობდი, სულ ამ რიგებს ვაკვირდებოდი და აღმოვაჩინე: ერთი და იგივე გოგონები მოდიოდნენ... ვბრაზობდი... მსახიობები იცინოდნენ, მერაბ თავაძეს თავისი მაყურებელი ჰყავსო...

მეუღლე რომ შემხვდა იზა გიგოშვილი — ჩემი იზო, ესეც გახდა ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი. ის მარტო თეატრით ცხოვრობდა. ამიტომაც გადავდე თავი და თეატრი შევქმენი. იზასთვის გადავკეთე ეს პრაქტიკულად. მისთვის მინდოდა ყველაფერი... მაგრამ არ დასცალდა...

კანონზომიერება არსებობს ცხოვრებაში. ყველაფერი თავის თავს უბრუნდება. მოხდა ისეთი რაღაც, რომ მე და ჩემი პირველი მეუღლე დავშორდით ერთმანეთს... და ის ურთიერთობა, რაც გვქონდა მე და იზას, გაგრძელდა. ვიქორწინეთ და მერე უკვე ერთად ვიყავით დაახლოებით 40 წელიწადს.

რა იყო ის, რაც მასში ყველაზე მეტად მიყვარდა?

მართლა არასოდეს მითქვამს. იზა იყო ძალიან პირდაპირი. ამბობენ, კახელები ასეთები არიანო... იზა იმდენად პირდაპირი იყო, ეს ხელს უშლიდა კიდეც ცხოვრებაში. ვინმე თუ არ მოსწონდა, ამბობდა, რომ არ მოსწონდა. თუ არ ესალმებოდა, ამბობდა, არ მინდა და არ ვესალმებო! არასოდეს მლიქვნელი არ ყოფილა, რაც ხშირად შემიმჩნევია ჩვენს სფეროში. იზა დიდი პროფესიონალიც გახლდათ.

როგორ ახერხებდა იმას, რომ ოჯახი მისთვის ყოფილიყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს თეატრშიც მაქსიმალურად დახარჯულიყო, არ ვიცი... არ ვიცი, როგორ აგროვებდა ფულს, როგორ ყიდულობდა საგზურებს. ჩვენ ვმოგზაურობდით საზღვარგარეთ ხან მანქანით, ხან გემით... სულ ვეკითხებოდი, როგორ ახერხებ ამას-მეთქი და ეცინებოდა. რაც დრო გადის, მით მეტად ვაფასებ მის უნიკალურობას. ის არ იყო ჩვეულებრივი...

ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, — ეს არის ის, რაც უმნიშვნელოვანესია... უნდა ააშენო სახლი, უნდა დარგო ხე...

რომ ვფიქრობ, რა გავაკეთე ცხოვრებაში მნიშვნელოვანი, — ვითამაშე კინოში, თეატრში ბევრი მთავარი როლი შევასრულე. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც სხვაა. მაგალითად, იერუსალიმში წასვლა. ეს ჩემს ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო.

დღევანდელ დღეს ეს ცოტა სასაცილოა, რა მოხდა მერე, წახვედი იერუსალიმში... დღეს არაერთი პრობლემა არ არის, მაგრამ მაშინ, როცა ჩვენ გავემგზავრეთ, ეს რა იყო, იცი? ყველას ვუხსნიდი: წარმოიდგინეთ, რომ ეს არის ჩვენი წინაპრების პილიგრიმული გზა, და როგორ მიკვირდა, რომ ვერ ხვდებოდნენ ამას, ვერც ის გაგოთ, რატომ მივდიოდით, და რატომ მივდიოდით მაინცდამაინც ფეხით. იზას სურვილი იყო, რომ ფეხით წასულიყო. პატრიარქმა დაგვლოცა ამ გზაზე. მასსოვს ისეთი სიტყვა გვითხრა: როცა ჯგუფი მიდის, ბუნებრივია ამ ჯგუფში იქნებიან სხვადასხვა მოსაზრების ადამიანები; რომ უნდა იცოდეს პატიება; რომ შეიძლება ადამიანი შეცდეს; შეიძლება რაღაც შეემთხვეს, დააშავოს, მაგრამ უნდა მიუტეო... ამას განსაკუთრებით



კადრები ფილმიდან „ბრაგო, ალბერ ლოლიში“
(რეჟისორი მერაბ თაგაძე, 1987 წ.)



კადრი ფილმიდან „ბატერფლაის დაბრუნება“
(ა. დოფენკოს სახელობის კინოსტუდია, 1984 წ.)



კადრი ფილმიდან „ორშაბათი ჩვეულებრივი დღეა“
(1984 წ.)



სამეფო უბნის თეატრის შესასვლელი

მეუბნებოდა, რადგან ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი...

მეორე მნიშვნელოვანი გასვლა იყო 1993 წელს, გერმანიაში... საქართველოში არანაირი გამოწვევა არ იყო... მახსოვს ბნელი ღამეები, თოვლი, რომელიც არ იწმინდებოდა, თეატრი გაჩერებული იყო, მოვაროვე მსახიობები სხვადასხვა თეატრიდან და წავიყვანე გერმანიაში. იქ დავდგი სპექტაკლი. მახსოვს, მსახიობები რა ბედნიერები იყვნენ... უცებ ამ სიბნელიდან და ამ გაჭირვებიდან მოხვდნენ აბსოლუტურად განსხვავებულ სამყაროში, სადაც შეიქმნა ყველანაირი პირობა, ემუშავათ მთელი ოთხი თვის განმავლობაში.

და უმთავრესი — როდესაც მე, ჩემი ოჯახი და მეგობრები შევუდევით სამეფო უბნის თეატრის შექმნას... ვამბობ ხოლმე: თეატრი არასოდეს ყოფილა მარტო შენობა, თუ მასში არ დევს სული, ყველაფერი იშლება ნელ-ნელა. ყველაზე რთული, რაც მე, ჩემმა მეუღლემ, შვილებმა მოვახერხეთ — სული ჩავბერეთ

დანგრეულ, დაღწილ შენობას. დღეს ეს თეატრი არსებობს.

დედაჩემი 98 წლის იყო, როდესაც გარდაიცვალა. და გახსოვთ თქვენ... სულ ვეხვეწებოდი: დედა, ორი წელიწადი მე მაჩუქე-მეთქი. ძლიერი ქალი იყო. იმდენად გახსნილი გონება ჰქონდა, ჩემი შვილიშვილები ამბობენ, ნეტა ჩვენს ბებიას დავემსგავსოთო. ბოლომდე კითხულობდა, 98 წლის ქალი იჯდა და კითხულობდა...

ძალიან მიყვარდა და ჩემს შვილებსაც ასევე უყვარდათ. დედაჩემის წასვლა იყო ტრაგედია. იცი, რა იყო? დედაბოძიო, რომ ამბობენ... სტამბული იყო ყველასთვის... ბურჯი გამოგვეცალა მისი გარდაცვალებით. დღეს მე ვარ ბურჯი. მყავს ხუთი შვილი, შვიდი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი. ახლა რომ არ დაიბნეთ იზას ქალიშვილი — ია არის ჩემი შვილი, ჩემი გაზრდილი. სულ ვუბნებოდი, ვინმემ რომ თქვას, რომ შენ ჩემი შვილი არ ხარ და ჩემი გაზრდილი არ ხარ, არ ვიცი, რას ვიზამ-მეთქი! ყველამ იცის, მაგაზე არ ინერვიულო. გათხოვდა, გაუჩნდა შვილები, რომლებიც ბაბუას მემახიან და ასეც იყო. ახლა იმით გაუჩნდათ შვილები... დიდი ბაბუა ვარ მათი!

მყავს კიდევ სამი ვაჟი: ზვიადი, გიორგი და ნიკა... და ერთი გოგონა — ელუკი! ელუკი არის ძველი აფხაზური სახელი, რომელიც ჩემს დიდ ბებიას ერქვა და დედაჩემმა მთხოვა, გოგონა თუ მეყოლებოდა, დამერქმია...

ელუკი 12 წლისა და ჩემსავით მოცურავეა. კარგი გოგოა.

ყველაზე მძიმე დღეებზე მეკითხებით?

ამის განსენება მართლა ძალიან მიჭირს. შეიძლება ადამიანი დაჟაღდეს, მაგრამ რომ ხედავ, როგორია ამ მდგომარეობაში, კი არ წუწუნებს, იბრძვის, ეს სულ სხვაა... ჩემს გადაღებაზე იზა ყავარჯნებით იღვა. როცა დავიძახებდი, — მატრო! — გაუშვებდა ყავარჯნებს ხელს და იყო ჩვეულებრივი იზა... ერთხელ ვთქვი და გავიმეორებ, არ მინდოდა მეთქვა, სტოპ! როგორც კი ვიტყვოდი სტოპ! — ისევ ყავარჯნებზე დგებოდა.

მე ვრწმუნდები, ჩვენი სიყვარული არც ყალბი ყოფილა, არც — მოჩვენებითი. ჩვენი ცხოვრება გავატარეთ ერთად. ბოლოს არაუვის ახლოს გაკარება არ უნდოდა. ქალი, რომელიც მიყვარდა, ძალიან შეიცვალა, სიყვარულში კი არაფერი შეცვლილა... ყოველთვის

ფიზიკურად ვიყავი, რომ დამიძახებდა თუ არა, მასთან გაგჩენილიყავი. ასე ღიძხანს გრძელდებოდა.

ხშირად მეუბნებიან, ეს ფარდა დაძველდა, რატომ არ ცვლიო... ვერ ცვლი, რადგან იზას ნაყიდი და ჩამოკიდებულია. მე არ ვიცი, ეს რა არის, კონსერვატულია... ყველაფერი, რაც იზას უყვარდა, ისევე არის ამ სახლში, გარდა იმისა, რომ სურათები შევმატე, ეს სურათები მაცოცხლებს და მაგონდება...

როცა მეუბნებიან, ცოლი რატომ არ მოგყავსო, — აქ ვერ მოვიყვან ვერავის! მეც ისევე უნდა წავიდე, როგორც იზა... უნდა ვიყო ისეთი ძლიერი, მეც ისევე ვიბრძოლებ. შვილები, შვილიშვილები თუ ჩემ გვერდით იქნებიან, ხომ კარგი და კარგი... თუ არა და... ესეც არა უშავს. ისე, მგონი იქნებიან, დარწმუნებული ვარ, — იქნებიან...

როგორია გაბრაზებული მამა მერაბ თავაძე?

ხშირად მეუბნებიან, გურული ხარ და ბუზღუნა ხარო. ჩემი გაბრაზება არის ბუზღუნა. რაღაც თუ არ მომიწონს, ავბუზღუნდები და ამით მთავრდება. ღვთის წყალობით, არ მაქვს ისეთი თვისება, რაღაც ცუდი ღავი-მახსოვრო...

არასოდეს მიცემია შვილი, რადგან მიმაჩნდა, ეს არის ყველაზე დამამცირებელი. მახსოვს, 5 წლის ვიყავი, მამაჩემმა მოფერებით, — უხ, შენ რას გიზამო, — ხელი მომითათუნა... მეწყინა. მას მერე ვიცი, არასოდეს არავის ხელით არ უნდა შეეხო... განსაკუთრებით ქალს. რაც უნდა დამნაშავე იყოს, დაგამციროს, ქალზე რომ ხელი აღმართო — ეს ფსკურია...

მიმაჩნია, რომ კაცი ბოლომდე უნდა იბრძოდეს...

და მაინც ამ გადასახედიდან რომელი როლი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი? თეატრში — თარაშ ემხვარი, რომელიც მარჯანიშვილის სცენაზე ვითამაშე. კონსტანტინე გამსახურდია მოვიდა ოჯახთან ერთად... ეს ის თარაშია, რომელიც დაეწერეო... ეს იყო უდიდესი შეფასება. მაშინ ახალგაზრდა, 26-27 წლის ვიყავი. თარაშ ემხვარი დარჩა ჩემთვის მნიშვნელოვან როლად, მიუხედავად იმისა, რომ 55 მთავარი როლი ვითამაშე თეატრში.

კინოში... „თოჯინები იცინიან“ — ხალხს უყვარს, იმიტომ, რომ ისეთი ჯგუფია შეკრებილი: სესილია, იპოლიტე, მარინა თბილელი,



„ელდუკი არის ძველი აფხაზური სახელი, რომელიც ჩემს დიდ ბებბას ერქვა და დედაჩემმა მიზოფა, გოგონა თუ მყოლებოდა, დამერქმია...“


სანდრო ჟორჟოლიანი. ღღეს მარტო ეს ახსოვთ... რას იზამ, ასეა...

რაც შეეხება ჩემს ფილმებს, ბოლო სამ ნამუშევარს, როგორც ტრილოგიას, ისე აღვიქვამ — საუკუნის დასაწყისი, შუა და ბოლო პერიოდები. ეს არის „მე დავბრუნდები“, „ბრაჟო, ალბერ ლოლიშ“ და „ხვეული კიბით“. ამათგან ყველაზე პოპულარულია „ბრაჟო, ალბერ ლოლიშ“, როგორც ჟანრობრივად გამართული... ამას წინათ ვუყურებდი რუსულ ვერსიას. კარგად გაგვიხმოვანებია... საინტერესო ფილმია და რაც მთავარია, აზრია მნიშვნელოვანი: საკმარისია ოდნავ აფრინდე, იმწუთას გესვრიან და ჩამოგაგდებენ...

ძალიან მინდა, რომ თაობა რომელიც მოდის, ბედნიერი იყოს. მინდა განათლებული, წიგნიერი ახალგაზრდობა გვყავდეს. და კიდევ ჩვენს ქვეყანას მინდა ვუსურვო გამარჯვება. საქართველო ღირსია, რომ ბედნიერი იყოს...

ლელა ჯიყვაშვილი

ისტორიული ამბები ქველი ჟურნალ- გაზეთებიდან



გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერის“ დამაარსებელი

და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენზურო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

საინგილო-ღამ

სოფელ კახიდან აღმოსავლეთისკენ რვა ვერსის მანძილზედ, ხეობაში, მდებარეობს ლეკების სოფელი ილისო, სადაც არის თბილი სამკურნალო წყლები. ამ წყლებზედ აქამდისინაც ბევრნი დადიოდნენ და ბევრნიც რჩებოდნენ სხვადასხვა ავადმყოფობისა სენისაგან, მაგრამ ამას იქით უფრო ბევრნი ივლიან როგორც ახლო-მახლო სოფლებიდან, აგრეთვე ტფილისიდან. წარსულს შემოდგომასზედ ილისოში იყო, მთავრობის განკარგულებით, იქაურის წყლების გამოსაკვ-

ლევად გამოჩენილი ქიმიკოსი, ბატონი სტრუვე, რომელმაც სთქვა, რომ ილისოს მადნის წყლები აბასთუმნის სამკურნალო წყლებს თუ არა სჯობია, არაფრით ჩამორჩებაო. თუ ეს მართალი გამოდგა და დამტკიცდა, კახი და ილისო თავის წყლებით ტფილისის მცხოვრებლებს აბასთუმნის მაგიერობას გაუწევს. იქ წასვლისათვის და წამლობისათვის ერთს კაცს ეხარჯება 300-400 მან. აქ ამის მესამედიც არ დაეხარჯება, რადგანაც სასმელ-საჭმელი აქ უფრო იეფია.

„ივერია“, 1888 წ. №77

დღევანდელი სოფელი ილისუ კახის რაიონში (აზერბაიჯანი)



სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

ინფორმაცია

ნამდვილი მამაკაცებისთვის!



ყოველთვიური ჟურნალი!

იკითხეთ კრემის გამავრცელებლებთან!





მეფე ვახტანგ VI

დამაკვირდი!

გული ცოტას დააჯერე,
როცა მოგცეს ღმერთმან მდევრად,
სულის თვალი დაიფახვე
სინარბისა გზათა დევრად.

(მეფე ვახტანგ VI)

თავს ასეთხედ ნუ იხარებ
ბოლოს ინანდლო,
ასეთს ნუ რას მოიფატრებ,
რომ დაზიანდლო.

(დავით გურამიშვილი)

თვით ჯაბანს კაცსა გაამხნობს
კარგის კაცისა სარდლობა.

(არჩილ მეფე)
„ივერია“, 1887 წ. №7

ავი ენა ავის გულის ნიშანია.

(სირუსი)

ცრუ კაცის ენასა მუნჯის ენა სჯობს.

(ოსმალური ანდაზა)

უბედურება ავს ხასიათს უფრო აავეებს
და კარგს კი უფრო აკეთებს.

(ლედი მორგან)

სინარული მწუნარებისა უნახავად არ
იქნების და ჭირ-უნახავად კარგი სახელი
არ იპოვების.

(ვისრამიანი)

თუმცა რისხვა მოგერიოს,
შეცდომასა წყრომა სავსე, —
დაითმინე გონებითა,
ბორგვის ცეცხლი სწრაფად ავსე.

(მეფე ვახტანგ VI)
„ივერია“, 1887 წ. №15

ერთ მოხუც-არშიეს უთხრა ახალგაზრდა
ქალმა:

— რალა დროს შენი არშიეობაა, თმა გაგ-
თეთრებიაო?

— განა გრძნობა თმაშიაო, — მიუგო მო-
ხუცმა, — მაღლა თმას რას უყურებ, დაბლა
გულშიაც ჩამოიხედეო.

— კი, მაგრამ მაღლა მთაზე რომ ჭირხლს
დასდებს, დაბლა ბარშიაც აგრილდებაო, —
მოუჭრა სიტყვა.

დედამთილი შესჩიოდა ერთს თავის მე-
ზობელს:

— ჩემი რძალი ურიგო სიტყვებით მიხ-
სენიებსო.

რძალიც ამ დროს იქვე იდგა და უთხრა
დედამთილს:

— შე ამაღლებულო, ურიგო როდის რა
მითქვამსო!

გლეჯური ლექსები
(გაგონილი და დაწერილი სოფელ ხიზაბაგ-
რაში (ჯაჯახეთი) იაკობ ლაზარაშვილის მიერ)

თუმი ატირდა მთაზედა,
ბახტრიონ გალაგანზედა;
რაც რომ მოეკლა ღუმმანი,
ზედ დაქწერა ხმაღზედა.

თუშო, ნუ ჩახვალ ოშორას,
ოშორა ეკლიანია;
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ,
შენი ამოსვლა ძნელია.

„ივერია“, 1887 წ. №216

მორწერილი ამაზაპი

სოხუმი

რაოდენად უზრუნველად ვეკიდებით ჩვენის ძველის ცხოვრების საისტორიო და საარხეოლოგიო ნაშთებს და რა მცირე ყურადღებას ვაქცევთ ისეთს მონუმენტალურს საბუთებს, როგორიც არიან ძველი ნიფთულობანი ხშირად ღირს-შესანიშნავის ზედწარწერებითურთ, ამას ცხადად ამტკიცებს მაგალითები ატენის ტაძრის მხატვრობისა და ზედწარწერისა. ეს შენიშვნა ამას წინად იყო დაბეჭდილი თქვენს გაზეთ „ივერიაში“. მეორე მაგალითი, რომელსაც მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება, გახლავთ აფხაზეთში ახლად აღმოჩენილი ძველის-ძველი საყდარი. ეს საყდარი იმყოფება ერთს უდაბურს ტყეში, სოხუმიდან 35 ვერსზედ, წებელდამი. აქ ეხლა რუსები სდგანან და ნიკოლაევის სტანცია ჰქვიან. საყდარს მინგრეულ-მონგრეული გალაგანი არტყია. შუაში ეკლესია სდგას, შიგ სხვადასხვა ხატები ვიპოვეთ, ვერცხლით მოჭედილები, აგრეთვე სპილენძის ნიფთულობა შევნიერის სურათებით შემკული. ხატებს ძვირფასი თვლები ჰქონდათ ჩასმულნი. სულ

ვერცხლი აღმოჩნდა 2 ფუთი და სპილენძი 4 ფუთი. პირველად რომ რუსის გლეხებს ენახათ ეს ეკლესია, შიგ მიცვალებულის ჩონჩხი დებულიყო და მიკარების უმაღლე ფერფლად ქცეულიყო. ყველაზედ შესანიშნავი აქ არის სამალავი, რომელსაც ეკლესიის ერთის კედლიდამ გამოყვანილი ხვრელი მიგაგნებინებთ. მე შიშის ზარმა დამკრა, როცა ამ ბნელს ხვრელში ჩავედი. თან სანთლები მქონდა. უცებ ბნელი განათდა და შეველი სამალავს ოთახში. აქ სამი მიცვალებულის გვამი იდო. შიში უფრო მომემატა, რადგან ამ ოთახიდგან კიდევ რაღაც ხვრელი მისდევდა და მე ვსთქვი, რომ ვაი თუ იქ ნადირი რამ იყოს დაბუნაგებული მეთქი. მიცვალებულნი მეტად დიდის ტანისანი იყვნენ. თავები დიდის საზამთროს ტოლანი ჰქონდათ, წვეინი მუხლქვეით არშინის სიგძისანი ჰქონდათ. ფრიად გაკვირდი, ნუთუ ასე ახოვანნი ყოფილან უწინდელი ხალხი.

აქაურს რუსის გლეხებს გამოუცხადებიათ მთავრობისთვის, ხატები და ნიფთულობა კი მამასახლისის წაუღია და სოხუმიში მთავრობისათვის წარუდგენია.

ამ ეკლესიის შესახებ ერთს რუსულს გაზეთში ვწერა, რომ ძველი ხელნაწერებიც უპოვიათო. იქნება მართლა ხელნაწერებიც იპოვებოდეს სადმე. მით უმეტეს ღირსია ყურადღება მიაქციოს ამ ეკლესიას, ვისაც ჯერ არს.

„ივერია“, 1886 წ. №28

მოამზადა თუა ცაგურიშვილმა

წებელდის ეკლესიის ნანგრევები



ბახიობა შინ

ბამოგონებისთანავე რადიო და ტელევიზია შინ გართობის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. ტელერადიომასშვებლობის დახმარებით ათასობით ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, ტელეკომპანიატორებით დაწყებული და დიქტორებით დამთავრებული. მილიონობით ადამიანისთვის ახალი ამბები, გართობა და განათლება ხელმისაწვდომი გახდა. დღეს ინტერნეტის მეშვეობით ყოველდღიურად, 24 სთ-ის განმავლობაში მთელ მსოფლიოში ადამიანები ახალი ამბების, სპორტული მოვლენების, მუსიკალური სიანხლებისა და ცნობილი ადამიანების ცხოვრების საქმის კურსში არიან.



XX ს-ის ბოლოს ტელევიზიამ კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებების სატელევიზიო ფილმებად გადაღება დაიწყო. ასეთმა ნამუშევრებმა, როგორც იყო, მაგალითად, ჯეინ ოსტინის რომანის მიხედვით გადაღებული „სიამავე და ცერურწმენა“, ახალი მყურებელი შეიძინა. ამგვარი კონსტიუმირებული ტელესპექტაკლების უმრავლესობა ბრიტანეთში მზადდება, შემდეგ მათ თარგმანი სხვა ენებზე და სხვადასხვა ქვეყანაში ყიდიან.

ტელევიზია

ნამდვილ კინოდარბაზში ახალი ბლოკასტერის ყურება დიდ ეკრანზე და გაძლიერებული ხმით ნამდვილად სასიამოვნოა. მაგრამ უკანასკნელი 20 წელია სულ უფრო მეტად პოპულარული და უკეთესი ხარისხის ხდება სახლის კინოთეატრი. მისი უმთავრესი ელემენტებია ფართოეკრანიანი დისპლეი ან ტელევიზორი, რამდენიმე გამაძლიერებელიანი ხმის სისტემა და თავად ფილმი, რომელსაც ხშირად დი-ვი-დი-პლეიერით უყურებენ.



- XX საუკუნის 50-იან წლებში, ტელევიზიის საყოველთაოდ გავრცელებამდე, რადიო შინ გართობის პოპულარული საშუალება იყო. 1938 წელს ორსონ უელსმა სენსაცია მოახდინა ფანტასტიკის ფანრის რადიოსპექტაკლით „სამყაროთა ომი“. მასში აღწერილი იყო დედამიწელებზე უცხოპლანეტელების თავდასხმა. სპექტაკლი ისეთი დამაჯერებლობით იყო დადგმული, რომ მრავალ შიშით დაზაფრულ მსმენელს ეგონა, ასეთი ომი ნამდვილად დაიწყო.
- XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მყოლებული სატელევიზიო

გადაცემების მიზანი გართობასთან ერთად მაყურებლის ინფორმირებაცაა. პროგრამები უცხო ქვეყნების, ეგზოტიკური ბუნების, ხელოვნების, არქეოლოგიის, ძველი ძეგლების შესახებ მაყურებელს საშუალებას აძლევს ისეთი არანაწვეულებრივი რამ ნახოს, რასაც სხვაგვარად ვერანაირად ვერ იხილადა.


○ ტელევიზიამ გადატრიალება მოახდინა პოლიტიკური დებატების წარმოებაში. პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც უკეთ გამოდიან ტელევიზიით არჩევნების მოგების მეტი შანსი აქვთ.

ბასაონარია

ჯერი სინფელდმა 1998 წელს დაახლოებით 267 მლნ დოლარი გამოიმუშაა შოუთი „სინფელდი“. ეს არის მსახიობის მიერ ტელევიზიაში ან ფილმში წლიურად გამოიმუშავებული ყველაზე მაღალი ჰონორარი.

ღღეს რადიო და ტელეგადაცემების უმეტესობის კომპიუტერთი მოსმენა და ნახვა, ასევე პერსონალურ MP3-პლეიერზე გადმოწერა შესაძლებელია. გადაცემების უმეტესობა ინტერაქტიურია: ისინი მაყურებელს სთავაზობს საყვარელ გადაცემაში მოხვედრას იმეილის მეშვეობით, ინტერნეტ-დებატებში მონაწილეობას, საკუთარი პროგრამის შექმნასაც კი.





დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ № 34-48

ნაწყობები წიბნიდან „ცოლნის სამყარო“. ბამოცემლობა „კალიტრა L“


○ ცოცხალი მუსიკის – საოპერო წარმოდგენის ან როკფესტივალის – სატელევიზიო გადაცემა მილიონობით მუსიკის მოყვარულს, რომელსაც არა აქვს მოგზაურობის ან ბილეთის შეძენის საშუალება, სიამოვნებას ანიჭებს. თუმცა, მუსიკის ზოგიერთი მოყვარულის აზრით, ტელევიზიით ნახაზი ვერ შეედრება ცოცხალი შესრულების მოსმენას.

○ ტელეპროდიუსერები ქმნიან სერიალებს და მათ სატელევიზიო ქსელების დახმარებით ვიდიან. ასეთი სერიალების მოკვანებით თავიდან გაშვება შეიძლება დამატებითი შემოსავლის მისაღებად.

○ საპნის ოპერები 1920-1930-იანი წლებიდან არსებობს დღის რადიოგადაცემების სახით, რომელთა მიზანი დიასახლისების ყურადღების მიპყრობა იყო. მათ საპნებისა და სხვა კოსმეტიკური საშუალებების მწარმოებელი კომპანიები აფინანსებდნენ. გადაცემებში აღწერილი იყო ჩვეულებრივი ადამიანების მოვლენებით მდიდარი ცხოვრება. დღეს საპნის ოპერები ყველაზე პოპულარული სატელევიზიო გადაცემებია.

○ ტელემაუწყებლობის მოდა ნშირად იწვევს უკმაყოფილებას, რადგან პროგრამების შემქმნელები რაც შეიძლება მეტი მაყურებლის მისაზიდად გამართულ რეიტინგების ომში არიან ჩაბმული. ამიტომ იქმნება მრავალი ერთმანეთის მსგავსი გადაცემა, მაგალითად, კულინარიული და მებღვლების შესახებ, რომლებსაც სხვადასხვა არხი ზშირად ერთსა და იმავე დროს უზენენებს.

○ ტელეკომუნიკაცია ელექტროტალღებით ბგერის, სიტყვების, გამოსახულებისა და ინფორმაციის ერთდროულად გადაცემაა. დღეს ტელევიზიის, რადიოსა და ტელე-



○ 1990-იანი წლების მიწურულს კომპაქტდისკების საფუძველზე განვითარდა DVD (Digital Versatile Discs) დისკები. კომპაქტდისკის მსგავსად, ისიც პლასტიკისგან მზადდება, დაფარულია ლითონის თხელი ფენით და მას ლაზერული სხივი კითხულობს. მასზე უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია ინახება – ტექსტები, მუსიკა, მაღალი ხარისხის სურათები – ეს ყველაფერი ციფრულ ფორმატში. პირველი DVD-წამკითხველები 2000 წელს გაიყვინა. დღეს მათ ჩანაცვლეს ვიდეოპლეიერები და მათი დახმარებით შესაძლებელია შინ როგორც ტელეგადაცემების, ისე ფილმების ყურება.



○ 2005 წელს გამოშვებული PlayStation-ის ამ მოწყობილობით თამაში უფრო სასიამოვნო პროცესია ხელში მოთავსებადი პატარა ეკრანისა და საკონტროლო დაფის მეშვეობით. ავტობოლის (იხ. ზემოთ) გრაფიკა არსებული პორტატიული მოწყობილობების სხვა ვერსიებთან შედარებით ერთ-ერთი საუკეთესოა.

სახლის კინოთეატრი

ვიდეოპლეიერების გამოშვებამდე მათეებელს პროგრამის ნახვა მხოლოდ მაშინ შეეძლო, როცა ის გადიოდა. პირველი ვიდეოპლეიერი 1956 წელს შეიქმნა, მაგრამ სახლისთვის განკუთვნილი მოწყობილობები მხოლოდ 1972 წლიდან გახდა ხელმისაწვდომი მყიდველისთვის. ვიდეომ გადატრიალება მოახდინა ტელემაუწყებლობაში. ყველა ტელევიზორი ამჟამად სახლის კინოთეატრიცაა, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს, სავარულ გადაცემას მისთვის სასურველ დროს უყუროს.



ფონის სარელო ხაზები ერთმანეთისგან განცალკევებულია, მაგრამ კაბელები თითქმის ერთმანეთის პარალელურად გადის ხოლმე. მხოლოდ დანიშნულების ადგილზე ხდება მათი გაყოფა.

○ 1960-იანი წლების მიწურულს ვიდეოთამაშები შეიქმნა. გამოიგონეს რამდენიმე სისტემა, მაგრამ ყველა მათგანს სჭირდება პულტი, რომელიც კომპიუტერულ პროგრამას ან ტელევიზორს უერთდება. ვიდეოთამაშების სისტემაში გადატრიალება მოახდინა 1989 წელს იაპონური კომპანია „ნიტენდოს“ მიერ გამოგონებულმა მოწყობილობამ Game Boy. ეს იყო პატარა, მსუბუქი და გადასატანად ადვილი პორტატიული სათამაშო მოწყობილობა მცირე ზომის ეკრანით, შეიცავდა მრავალ განსხვავებულ სათუგადასავლო თამაშსა და პაზლს.

○ Game Boy 1995 წელს ჩაანაცვლა იაპონური ელექტროსაქონლის გიგანტის, „სონის“ მიერ გამოშვებულმა მოწყობილობამ PlayStation. თამაშებს უკეთესი გრაფიკა, რეალისტური ფონი და კონტროლის მდიდრული, დახვეწილი სისტემა ჰქონდა.

პიხვენი ფილმები

კინემატოგრაფი ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა დარგია. პირველი ფილმი საჯაროდ 1895 წელს უჩვენეს. XX საუკუნის 30-იან წლებში ევროპასა და აშშ-ში მილიონობით ადამიანი ყოველკვირეულად სტუმრობდა კინოთეატრებს. დღეს ვიდეო, DVD და ელექტრონული მედიის სხვა საშუალებები საშუალებას აძლევს ადამიანებს, მთელ მსოფლიოში ფილმებს სასურველ დროს შინ უყურონ.

○ თანამედროვე კინონდუსტრია XIX საუკუნეში გამოგონებული ფოტოგრაფიის, სლaidების საპროექციო აპარატისა და ზოოპრაქსისკოპის გარეშე ვერ იარსებებდა.

○ უძველესი შემორჩენილი ფოტო 1827 წელსაა გადაღებული. იგი მიღებულია მინის ფირფიტაზე ქიმიური ნივთიერებების შეფრქვევის გზით. ფირფიტაზე არეკლილია გამოსახულება, რომელიც მასზე სინათლის დასხივების შედეგად ჩნდება.


○ პირველმა ფოტოგრაფებმა აღმოაჩინეს, რომ მინის ფირფიტით გადაღებულ ფოტოს თუ სინათლის წყაროს მიუხედავად, გამოსახულება სხვა სიბრტყეზე ირეკლებოდა. ასე შეიქმნა მაგიური სინათლის შოუები, როდესაც მაყურებელი ჩაბნელებულ დარბაზში იჯდა და კედელზე არეკლილი ფოტოების ჩვენებას ადევნებდა თვალს.

○ XIX საუკუნის 80-იან წლებში



ცელულოიდის ფირი

მძევი ლუმიერების კინემატოგრაფიულ აპარატში დებდნენ გრძელ ფირს, რომელზეც ფოტოგრაფიული გამოსახულებები იყო აღბეჭდილი. მკვეთრი სინათლისა და გამადიდებელი ლინზების ქვეშ მოქცეული, გამოსახულება ეკრანზე აღიბეჭდებოდა. 1889 წლისათვის ფირები ცელულოიდისგან მზადდებოდა. ეს არის ხის რბილი მასის, მჭაეისა და სპირტის ნარევი. ცელულოიდის ფირები მოქნილი და გამჭვირვალე იყო, მაგრამ ფეთქებადიც! ბევრი ძველი ფირი განადგურებულია, რადგან მათ ცეცხლი იოლად ეკიდებოდა.



ამერიკელმა ელუარდ მეიბრიჯმა (1830-1904) ფოტოობიექტივები ცხენების სარბენი ბილიკის გასწვრივ დაამაგრა, ხოლო მათ ჩამკეტებზე გამობმული ძაფები ტრეკის გასწვრივ იყო გადაჭიმული. ექსპერიმენტში მონაწილე ცხენის ძაფთან შეხებისთანავე კამერა ფოტოს იღებდა. მეიბრიჯი ადამიანებისა და ცხოველების მოძრაობას სწავლობდა, მაგრამ გადაღებული ფოტოების ერთიმეორის მიყვლივით ჩვენებით ცხენის რბოლის მოძრავე გამოსახულება მიიღო.

○ მეიბრიჯმა თავისი მოძრავე სურათების საჩვენებლად გამოიგონა მოწყობილობა ზოოპრაქსისკოპი. ეს იყო გრძელი ღრუ ცილინდრი, რომელიც დაუსრულებლად ტრიალებდა და შიგნადა გადაღებული სურათები.

ბასანოვარია

„ტექნიკოლორის“ სამფერიან ფირზე გადაღებული პირველი ფილმი 1935 წელს შექმნილი „ბეკი შარპი“, რომელშიც მთავარ როლს მირიამ ჰოპკინსი ასრულებდა.

○ საფრანგეთში ორი ძმა, ოგიუსტ (1862-1954) და ლუი (1864-1948) ლუმიერები გენიალურ იდეას ახორციელებენ: მათ გააერთიანეს ფოტოაპარატი და პროექტორი. 1895 წელს დაწვეწეს კინემატოგრაფიული აპარატი. იგი გამოსახულებებს გრძელ ფირზე აფიქსირებდა და შემდეგ მათ ეკრანზე უჩვენებდა. მძებმა კინემატოგრაფი გამოიგონეს.

○ ჩარლი ჩაპლინი (1889-1977) კინოს ერთ-ერთი პირველი და ყველაზე სახელგანთქმული ვარსკვლავია. კარიერა ინგლისში, მიუზიკ-ჰოლში დაიწყო, მაგრამ შემდეგ ამერიკაში გადავიდა და მალე დიდი წარმატება ხვდა წილად უზნო ფილმებში. ბრწყინვალე მიმმა უდიდესი კომედიური ნიჭით, შექმნა ცნობადი, დაუვიწყარი პერსონაჟი, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცნობენ. ფართოხუნა სამოსსა და ქვაბურა ქულში გამოწყობილი, წვრილი უღვაშით, სასტიკი, სულელ ან მედიდურ ადამიანებს სასაცილო მდგომარეობაში ავდებდა და მუდამ ჯობნიდა „პატარა ადამიანის“ უძლეურების მიუხედავად.



ფილმი და ხმომანება

კინემატოგრაფის გარიჟრაჟზე ფილმის ჩვენებას თან ახლდა ფორტეპიანოზე მუსიკის ცოცხალი შესრულება ან გრამოფონზე დარული მუსიკალური ფრაგმენტები. 1911 წელს ამერიკულმა უფროსი კომპანიამ შექმნა უზარმაზარი ორგანის მსგავსი მოწყობილობა, რომელიც ხმამაღალ, დრამატულ მუსიკას უკრავდა და ფილმისთვის საჭირო ხმოვანი ეფექტების გადმოცემაც შეძლო. პირველი ფილმი, რომელსაც ფონოგრაფმა (ბგერის ბილიკი ფირზე, რომელიც ფილმის ჩვენებასთან ერთად ისმის) ახლდა, მხოლოდ 1927 წელს გადაიღეს.



რაკი ცილინდრი ბრუნავდა, მაყურებელი ვერ არჩევდა, სად მთავრდება ერთი სურათი და სად იწყება მეორე. ამიტომ მიიღებოდა მოძრავი გამოსახულება.

○ ამერიკაში ტომას ედისონმა (1847-1931) უდიდამ დიკსონის დახმარებით შექმნა კინემატოგრაფი – პირველი ფოტოკამერა,

რომელიც წაშში 40 სურათს იღებდა. კინემატოგრაფით გადაღებული ფილმების საჩვენებლად ედისონმა გამოიგონა ხელსაწყო კინეტოსკოპი. ჩაბნელებულ კაბინაში მაყურებელი ლინზების წყვილით, მოგვიანებით ბინოკულად წოდებულით, იხედებოდა.

○ პირველი ფილმები უხიმო

ყო. მსახიობები ამბავს მიმიკის დახმარებით გადმოსცემდნენ. ამ ფილმების გაშვება მრავალ ქვეყანაში იყო შესაძლებელი. ფილმის ჩვენება ხდებოდა შესაბამისი განწყობის მუსიკის აკომპანემენტით, რომელიც ფორტეპიანოზე ან უფროსი ორგანოზე სრულდებოდა.

○ პირველი ხმოვანი ფილმი 1927 წელს გადაიღეს. მას მაყურებლის დიდი მოწონება ხვდა, მაგრამ მუხჯი კინოს ზოგიერთი მსახიობისთვის კატასტროფის ტოლფასი იყო. თუმცა ისინი შესანიშნავი მიმები იყვნენ, მათ სრულებითაც არ ჰქონდათ საუბრისთვის საჭირო სასიამოვნო ხმა. ისინი შეცვალეს მიწიდეკლი გარეგნობის მსახიობებით, რომლებსაც საკუთარი როლის სათანადოდ გახმოვანებაც შეეძლოთ.

○ პირველი ფილმების უძრავლესობა კომედია იყო. მაგრამ 1920-იანი წლებიდან დაიწყო დრამატული სათავადასავლო ამბების, ისტორიული ეპოსებისა და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოებების ფილმებად გადაღება.

პირველი ფილმები

- 1927 პირველი ხმოვანი — „ჯაჯის მონუმენტი“
- 1928 პირველი შავ-თეთრი ფილმი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო საუკეთესო ფილმისთვის — „ვრამპი“
- 1937 უოლტ დისნეის პირველი სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი — „ფიფთა და შვიდი ჯუჯა“
- 1939 პირველი ფერადი ფილმი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო საუკეთესო ფილმისთვის — „ქარვალმუშნი“
- 1939 პირველი აფროამერიკელი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო — ჰატი მაკდენიელი (საუკეთესო მეორეხარისხიანი როლისთვის ფილმში „ქარვალმუშნი“)
- 1940 პირველი სტერეოხმოვანი ფილმი — „ვანტაზია“
- 1942 პირველი ტყუპი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო — ჯულიუს და ფილიპ ეშმუტანი (საუკეთესო სცენარი ფილმისთვის „პასაბლანკა“)
- 1948 პირველი ბრიტანული ფილმი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო — „პაპალიტი“
- 1953 სინემასკოპის მიერ გადაღებული პირველი ფართოეკრანიანი ფილმი — „მანტია“
- 1963 პირველი აფროამერიკელი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო საუკეთესო როლისთვის — სიდნი პუტიეს ფილმში „მედიის შრომანები“
- 1964 პირველი ფილმი ჯეიმს ბონდის შესახებ, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო — „გოლდფინგერი“
- 1969 პირველი ფილმი გაბედული სცენებით, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო საუკეთესო ფილმისთვის — „შადადის კოვბოი“
- 1970 პირველი მსახიობი, რომელმაც უარი თქვა საუკეთესო როლისთვის „ოსკარის“ მიღებაზე — ჯორჯ კუმბელ სკოტი ფილმისთვის „პატონი“
- 1974 პირველი სიკველი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო საუკეთესო ფილმისთვის — „ნათლია“, II ნაწილი
- 1975 პირველი ფილმი, რომელიც ხმოვანი სპეცეფექტების გამოყენებით შეიქმნა — „მიწისძვრა“
- 1976 პირველი ქალი რეჟისორი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო საუკეთესო რეჟისურისთვის — ლინა ვერტიმულიერი „შვიდი ლამაზმანი“
- 1976 პირველი მსახიობი, რომელმაც სიკვდილის შემდეგ მიიღო „ოსკარი“ საუკეთესო როლისთვის — პიტერ ფინჩი ფილმში „ქაქალი“
- 1991 პირველი ანიმაციური ფილმი, რომელიც ნომინირებული იყო „ოსკარზე“ საუკეთესო ფილმისთვის — „შემთხვევები და ურჩხული“
- 1995 პირველი მთლიანად ციფრული ფორმატის ფილმი — „სათამაშოების ისტორია“
- 2001 პირველი აფროამერიკელი მსახიობი ქალი, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო საუკეთესო როლისთვის — პოლი ბერი ფილმში „ურჩხულითა მკვლისი“



○ შენობები, რომლებსაც კინოთეატრები უწოდეს, შენდებოდა მრავალრიცხოვანი მაყურებლის მისაღებად, რომელსაც ახალი ფილმები უნდა ენახა. ძალე კინოთეატრის უფრო პოპულარული და ბევრად იაფი ალტერნატივა გახდა. მიუზიკოლების მსგავსად, ისინი როგორც ჩვეულებრივი ადამიანების, ისე მდიდარი და განათლებული თეატრალების საყვარელ გასართობ ადგილად იქცა.

ფილმების ბადაუბა

ფილმის გადაღება მეტად რთული და ძალიან ძვირადღირებული პროცესია. ვიდრე გადაღება დაიწყება, საგულდაგულოდ იგეგმება და შეირჩევა ვიზუალური გამოსახულებები, როლების ტექსტი, მუსიკა, გადაღებები სტუდიაში, გადაღებები სტუდიაში გარეთ, მსახიობები.

„ბეჭდების მბრძანებელი: ბეჭდის სამო“ (2001) – გადაღებების ეპიზოდი. პროდიუსერი ბარი ოსბორნი და არაგორნის როლის შემსრულებელი ვიგო მორტენსენი გადაღებულ დუბლს უყურებენ.



ბრიტანელი კინორეჟისორი სერ ალფრედ ჰიჩკოკი (1899–1980) სახელგანთქმულია, როგორც სასპენსის ჟანრის, ჟურნალტილის მომგვრელი სამინილბათა ფილმებით. კინოინდუსტრიაში პროდიუსერი ფულს აგროვებს ახალი ფილმის შესაქმნელად და ფინანსურად უზრუნველყოფს გადაღებებს. ფილმის დირექტორი შემოქმედებით მხარეზე ზრუნავს, ხელმძღვანელობს ოპერატორებს და მიუთითებს გადასაღებ ხედებს, მასვე ექვემდებარებიან მსახიობები, რომლებმაც სცენარის მიხედვით უნდა ითამაშონ როლები.



გამნათებელს მეტად საპასუხისმგებლო პროფესია აქვს. სინათლის ხარისხი ფილმის ყოველ კადრში სტუდიაში ან სტუდიის გარეთ განსაზღვრავს ფერებს ფირის საბოლოო ვერსიაში. განათების გამოყენება შესაძლებელია დრამატული ეფექტისთვის, მაგალითად, მშფოთვარე, საშიში ატმოსფეროს შესაქმნელად ან პერსონაჟის უწყინარი ბუნების საჩვენებლად.

გარდა იმისა, რომ კინორეჟისორი პასუხისმგებელია მომავალი ფილმის კონცეფციის შექმნაზე, მას აკისრია ფილმის სცენარის დახვეწა, მსახიობების რეპლიკებისა და გადაადგილებებისთვის თვალყურის დევნება, სათანადო მითითებების მიცემა ოპერატორებისა და გამნათებლებისთვის, შემოწმება, როგორ ჩანს ესა თუ ის სცენა კამერაში, ხოლო გადაღების დასრულების შემდეგ, ფილმის მონტაჟი

(გამოსახულებების საბოლოო შერჩევა).

ბევრი კინორეჟისორი იყენებს კადრირებას, რომლითაც ჩანს, როგორ უნდა იყოს მომავალი ფილმი. ეს არის ესკიზების თანამიმდევრობა, რომლითაც ნაჩვენებია, როგორი იქნება ფილმის ესა თუ ის ეპიზოდი. ვიზუალურ დაგეგმვრებას ახლავს კომენტარები მცირე დეტალების შესახებ, როგორიცაა გამოსაყენებელი კოსტიუმი ან ფონი, რომ ისინი მთელი ფილმის



პოლიმუდი

1911 წელს კინორეჟისორები ვესტერნის გადასაღებად ლოს-ანჯელესის მახლობლად მდებარე დასახლება ჰოლივუდში ჩაიდინენ. პოლიმუდი მშრალი კლიმატის მქონე, ბუჩქნარით დაფარული ლანდშაფტით გამოირჩევა და ძალიან პავს ამერიკის ველურ დასავლეთს. ორი წლის შემდეგ ეს ადგილი ამერიკის კინოინდუსტრიის ცენტრი გახდა და მსოფლიო კინოინდუსტრიის ლიდერია დღესაც.





SHREK

დასრულებული ფილმი ბაზარზე გადის. კინოთეატრებთან გამოკრულია დიდი აფიშები ფილმის დრამატული ეპიზოდებითა და მასში მონაწილე მსახიობების გამოსახულებით. კინორეჟისორი და მსახიობები პრესისა და ტელევიზიისთვის ინტერვიუებს იძლევიან, სტუმრობენ კინოფესტივალებსა და ჯილდოების გადაცემის ცერემონიალებს.

მანძილზე ერთგვაროვანი იყოს და შეცდომით არ შეიცვალოს.

○ იმის მიუხედავად, ფილმს სტუდიის გარეთ იღებენ თუ სტუდიაში, განათება უმნიშვნელოვანესია. განათებით იქმნება მყუდრო, პირქუში, საშიში ან ძალიან დრამატული ატმოსფერო.

○ ზოგჯერ კინორეჟისორი გადასადებ მოედანზე ქმნის დეკორაციას – ოთახებს, შენობებს, პეიზაჟებს, ფანტასტიკურ გარემოს ან მოძრავი ურჩხულების მოდელებს. ხშირად ამგვარ

დეკორაციების ფონზე გადადება უფრო იაფი, იოლი და ეიზუალურად ეფექტურია.

○ ფილმის გადაღების დასრულების შემდეგ მისი რედაქტირება საჭირო. კინორეჟისორი იმაზე მეტ მასალას იღებს, ვიდრე სინამდვილეში სჭირდება, შემდეგ მემონტაჟეთა გუნდთან ერთად საუკეთესო ეპიზოდებს ირჩევს და მათ ამონტაჟებს. ვიზუალურ გამოსახულებასთან შეხამებულია ფონორამა, მუსიკა და ხმოვანი სპეცეფექტები.




ცინდოეთის ქალაქ ბომბეში, ბოლივუდში იღებენ ამაღლებულ სათავგადასავლო ან სასიყვარულო ფილმებს, რომლებშიც ჭარბადაა ცეკვა-სიმღერა. მსახიობ ქალებსა და მამაკაცებს მომიზნალები გარეგნობის მიხედვით ირჩევენ და მათ უამრავი თავყანისმცემელი ჰყავთ. ძლიერი ემოციების გამოსახატავად მიმიკასა და ცეკვის ილუთებს იყენებენ.

ბასანოცარია

თამაშისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად მსახიობები გადაღების დროს პირის მოძრაობით იმეორებენ კადრს მიღმა დარჩენილი პროფესიონალი მომღერლების მიერ შესრულებული სიმღერების ტექსტს.

ტაკეშნა

ტაკეშნა სატელევიზიო ან კინოფილმის გადაღების დროს გამოიყენება თითოეული დუბლის (ფილმის ერთი მონაკვეთი) გადაღების დაწყების და დასრულების აღსანიშნავად. დუბლის დეტალები აღნიშნულია ტაკეშნაზე. იგი გადაღების დაწყებამდე გამოჩნდება კადრში. კინოგადაღება ყოველთვის არ მიჰყვება ამბის რიგითობას. რეჟისორი, სცენარისტები, ოპერატორები და მსახიობები სცენებს მაშინ იღებენ, როდესაც ეს უფრო მოსახერხებელია – მსახიობები არ არიან სხვაგან დაკავებული ან ამინდია ხელსაყრელი. ზოგჯერ რამდენიმე დუბლის გადაღება ხდება საჭირო. მიღებულ დუბლებს ბოლოს რედაქტორი რიგითი ნომრების მიხედვით ალაგებს და მათგან საუკეთესოთა ამორჩევით მიიღება ფილმის საბოლოო ვერსია.




ახალი 7-ტომეული

ქართლის ცხოვრების ქრონიკები

ვახტანგ ჭელიძე

თანამედროვე ენაზე
მოთხრობილი
მხატვრულ-დოკუმენტური
ჟანრის უნიკალური ნაშრომი



IV ტომი
პურნალ
ისტორიანის
იანვრის
ნოემბრთან ერთად

ნიმუხის ფასი 7 ლ
პურნალთან ერთად 10 ლ

მაგარი ყლითა და შემოსაკრავი სუპერით

გაეცანი ისტორიას – შეეხე წარსულს



საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის 24 ტომეული

თვეში ერთხელ
გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად
წიგნის სპეციალური ფასი 7ლარი გაზეთთან ერთად 8 ლარი

- ტომი 3 -


ომი და მეომრები

ISSN 2233-3843



917722331384004

29 დეკემბრიდან



შემდეგი წიგნი:
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა